№049 (12 425)
29 თებერვალი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ხორვატი მეგობარი



**მიმაჩნია, რომ საქართველოს უკეთესი ნაკრები ჰყავს, ვიდრე ჩერნოგორიას...**

დინამოს პირველობა მიხარია, ნაკრების წარუმატებლობა მწყინს...

ინტერვიუ ივო შუშაკთან

5



# კოლხიდას პრეზენტაცია

უმაღლესი ხარისხის პირდაპირი რეპორტაჟები, ტურის მიმოხილვები და კიდევ არაერთი სიახლე

2

# ახალქაცის ფლექსიბელიტები და პოდიუმი პისკოვეცისთვის



3



# ახალი მწვრთნელი, ახალი იმედები

ინტერვიუ მერაბ კვირიკაშვილთან

11

გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge



გია კვარაცხელია

# კოლხიდას პრეზენტაცია

18 თებერვალს, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე მედია-კომპანია "კოლხიდას" საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის მატჩების ტრანსლირების უფლება 20 წლის ვადით გადაეცა. გუშინ, ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის დარბაზში "კოლხიდას" მესვეურებმა პრესკონფერენცია ჩაატარეს და საკუთარი გეგმების შესახებ ისაუბრეს.

**ლექსო თოფურია**
(კოლხიდას ერთ-ერთი ხელმძღვანელი):

- მოხარული ვარ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ასეთი ნდობა გამოგვიცხადა. დიდი ხანი, რაც ფედერაციასა და პროფლიგასთან ვთანამშრომლობთ, დარწუნებული ვარ, ეს გადაწყვეტილება ქართულ ფეხბურთს ძალიან წაადგება. ჩვენი მიზანი ჩემპიონატისა და თასის შეხვედრების მაღალ დონეზე გაშუქებაა, რაც ქართული ფეხბურთის განვითარებაში სერიოზულ წვლილს შეიტანს.

ტექნიკურ მხარეს "სპორტს მედია სერვისი" უზრუნველყოფს. იქ მომუშავე პროფესიონალები უმაღლესი ხარისხის პირდაპირი რეპორტაჟების გარდა, ტურის მიმოხილვასაც შემოგვთავაზებენ. "სპორტს მედია სერვისს" რასელ ისააკი წარმოადგენს, რომელიც ამ სფეროში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული მოღვაწეობს.

თანადგომისთვის დიდ მადლობას ვუხდით ტელეკომპანია "მზეს". სწორედ მისი ეთერით იხილა გულშემატკივარმა ჩვენი პირველი ნამუშევარი - "დინამო"-"ოლიმპის" მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია. მჯერა, ამ პროექტის წყალობით ქართულ ფეხბურთს გულშემატკივარი დაუბრუნდება.

**რასელ ისააკი**
(სპორტს მედია სერვისი):

- ამ პროექტის მიზანი ქართველი ქომაგის სტადიონზე დაბრუნება და ქართული ფეხბურთის შელახული იმიჯის აღდგენაა. თითქმის ორი წელიწადია, ამ პროექტზე ვმუშაობთ. მიკვირდა, რატომ არ დადიოდნენ ქართველები სტადიონზე. ვიცი, რომ დონე საკმაოდ დაბალია, მაგრამ ფეხბურთისადმი ხალხის დამოკიდებულება უფრო შემაშფოთებელია. საქართველოს ჩემპიონატი მაინც იმსახურებს დღევანდელზე გაცილებით მეტ მაყურებელს. ჩვენი რეპორტაჟებით ხალხი დაინახავს, რომ ფეხბურთის სანახავად სტადიონზე მისვლაც ღირს.

მჯერა, ჩვენი პროფესიონალთა გუნდი საქმეს თავს მაღალ დონეზე გაართმევს და ჩვენი საქმე არა მხოლოდ ქართულ ფეხბურთს, ქართულ ტელევიზიასაც წაადგება.

დღესდღეობით, 8 კამერით მუშაობა მხოლოდ ეროვნულ და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონებზეა შესაძლებელი. ზოგან სამი კამერით გადაღებაა შესაძლებელი, ზოგან კი მხოლოდ ერთით. ზაფხულში ასეთ სტადიონებზე ტექნიკურ სამუშაოებს ჩავატარებთ და მომავალი სეზონიდან ტელემაყურებელს კიდევ უფრო მაღალი დონის რეპორტაჟებს შევთავაზებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გუშინდელი პრეზენტაცია

ლეგიონერი

# კვარაცხელიას ულტიმატუმი

## ზაფხულში კრილიას ან სატურნს შემპირდნენ

აგერ უკვე მეორე წელია **გია კვარაცხელია** "კაუნასიდან" წამოსვლას ცდილობს. ლიტვური კლუბის პრეზიდენტი **ვლადიმირ რომანოვი** პირდებოდა კიდეც უკეთეს გუნდში მოწყობას, მაგრამ საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელს კვლავ ლიტვაში უწევს თამაში.

გუშინ გიას შევეხმიანეთ და საინტერესო ამბები გაგვიმხილა: *"რამდენიმე დღის წინათ ჩვენს პრეზიდენტს შევხვდი და ვესაუბრე. მეორე წელია მაიმედებს, რომ გამიშვებს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, "კაუნასიდან" ჩემი წასვლა პრობლემა ხდება ხოლმე. ამიტომაც ერთხელ და საბოლოოდ მსურდა გარკვევა, რა გეგმები ჰქონდა ჩემთან დაკავშირებით. რომ დავრჩე კიდევ ერთი წელი, რეგრესი მექნება და უნდა გამიშვათ. რაც მთავარია, ხომ ვიცი, რადგან ლიტვაში ვთამაშობ, საქართველოს ნაკრებში ჩემი არსებობა დაივიწყეს-მეთქი.*

*რომანოვთან ასე დალაპარაკებას ვერავინ უბედავს, მაგრამ ჩემთან ძალიან ახლოსაა და სალაპარაკოც იყო ჩემი მომავალი. მითხრა, რომ ახლა ნაღდად გამიკეთებდა გუნდს და კონკრეტული ვარიანტიც შემომთავაზა - ""კრილია სოვეტოვი" და "სატურნი". მაისამდე დაიცადე და ზაფხულში რომელიმე მათგანში აღმოჩნდებიო.*

*არ ვტრაბახობ, "თანამეგობრობის თასი" მართლა მაღალ დონეზე ჩავატარე და საერთოდაც, ახლა რომ ვარ, ასეთ ფორმაში არასდროს ვყოფილვარ და ვგრძნობ, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაშიც შემიძლია."*

გიამ მოსამზადებელ ეტაპზე "კაუნასისა" და დნეპროპეტროვსკის "დნეპრთან" შეხვედრა გავახსენეთ და უკრაინული გუნდის ქართველ ლეგიონერებზე შევეკითხეთ - **სანდრო კობახიძესა** და **ჯაბა კანკავაზე**.

*"სანდროს კარგად არ ვიცნობდი და მაინტერესებდა, როგორ თამაშობდა. ძალიან მომეწონა. ჯაბა კანკავა კი უკრაინის ჩემპიონატის ლიდერში წამყვანი ფეხბურთელია. ისე, ეს შეხვედრა ძალიან ცუდად დამამახსოვრდა. "დნეპრში" რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი როლან გუსევი თამაშობს. ფეხი თავში ჩამარტყა და ცოტა დააკლდა, თორემ თავი გამიტყდებოდა."*

**მერაბ მამულაშვილი**



ჯოვანი ტრაპატონი

მეტოქე

# ირლანდია კოლუმბიას გაეჯიბრება

**ჯოვანი ტრაპატონის** დებიუტი ირლანდიის ეროვნული ნაკრების რანგში 24 მაისს, სერბეთის წინააღმდეგ შედგება, გუშინ კი ირლანდიელთა კიდევ ერთი მეტოქე გაირკვა.

29 მაისს ტრაპატონის გუნდი ასევე ამხანაგურად კოლუმბიას დაუპირისპირდება. მატჩი ლონდონში, "ფულემის" "ქრევენ კოტეჯზე" ჩატარდება. შეგახსენებთ, საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს სწორედ ირლანდიასთან საშინაო შეხვედრით იწყებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო 2008 წლის 30 მარტს არგენტინაში ინვევს 17-18 წლის ასაკის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მაღალ დონეზე მოსამზადებლად.

მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. მომზადების სრული კურსის დაძლევის შემდეგ, ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს.

დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინის კლუბებში, შეეძლებათ გააგრძელონ თამაში და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის საფეხბურთო კლუბებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავია-ბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 10 მარტიდან 22 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# ახალკაცის ფლექსიბელიტეტი და პოდიუმი პისკოვეცისთვის



## ერთი კვირის ათასი წვრილმანი

თვალი ჭამს და თვალი სვამს. მეორე წრის პირველ ტურში რუსთავის "ოლიმპმა" შინ "დინამო თბილისს" 2:1 რომ მოუგო, მეორე დღეს ტურის მეორე ტოპშეხვედრაში "ვიტ ჯორჯიამ" "ზესტაფონი" გააკრა ბეჭზე. ტაიმებს შორის შესვენებაზე მცხეთის "არმაზზე" ანატოლი პისკოვეცი გამოჩნდა, ტრიბუნა გრძივად თუ განივად თითქმის მთელს პერიმეტრზე გადასერა. ჰალსტუხში, კლასიკურ კოსტუმში, მოდურ პალტოში გამოწყობილი უკრაინელი მწვრთნელი ყურადღებას და დაკვირვებულ თვალს მყის მიიპყრობდა. კოპწია პისკოვეცი სერიოზული და თავმომწონე გახლდათ - მისმა გუნდმა ხომ "დინამო" დაამარცხა - მიცნობდეთ, მე ანატოლი პისკოვეცი ვარ.

ფეშენ-მწვრთნელი, ცოტა არ იყოს, უცხოა ქართული ფეხბურთისთვის, რომელიც სხვათა შორის ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი. 35 წლის გიორგი დევდარიანმა საკუთარი თავი მოდური ფეხბურთის მიმდევრობით შექმნა "თბილისში" და ახლახან ისევ დაუბრუნდა ისეთ სარბიელს, სადაც მისი შესაძლებლობები ხელის გულზე დადებულივით უნდა გამოჩნდეს.

თქმა არ უნდა, ფეხბურთის ფედერაცია შეწუხებულია ჩვენი ნაკრებების ცუდი შედეგით და ასპარეზი დაუთმო ისეთ ახალგაზრდა მწვრთნელს, რომელიც ფედერაციის გუნდში არ ყოფილა და არც მოიაზრებოდა.

ცხადია, ნაკრებთა ჩაფლავებით ძალიან წამგებიან, უხერხულ სიტუაციაშია ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. ის საკმაოდ უნარიანი და წარმატებულია ჩვენი ეროვნული გუნდისთვის ამხანაგურ მატჩების მოწყობაში, მაგრამ ფედერაციის და მისი გუნდის მუშაობა პირველ რიგში ეროვნული და სხვა ნაკრებების შედეგით ფასდება. ახალკაცმაც მიმართულება შეცვალა - ასაკობრივი ნაკრებები თანდათან იცლება უცხოელი მწვრთნელებისგან, ხოლო ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიას მთავარმწვრთნელობისთვის მზადდება ნიადაგი.

ახალკაცი ფლექსიბელური პრეზიდენტი ხდება და ასეთი ტენდენცია, ზოგადად კარგია. ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სტუდენტებიდან ფედერაციის პრეზიდენტობამდე - მას არ გაუვლია ის გზა, რომელიც საპრეზიდენტოდ ისე გამოაწრთობდა, ოდენ მისხალი შეცდომები დაეშვა.

ახალკაცს უხერხული კითხვები დაუსვეს ინგა გრიგოლიას თოქ-შოუში. რეზონანსული შოუ გამოვიდა და ვინძლო ეს არის კიდეც შოუს მიზანი. არგუმენტირებული, სერიოზული კამათი კი ქართულ თოქ-შოუებში ისეთივე იშვიათობაა, როგორც ასე თუ ისე შევსებული ტრიბუნები ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე.

მაგრამ გრიგოლიას თოქ-შოუს აქვს ინტერაქტივი, ძალიან მკაცრი და თითქმის უტყუარი მაჩვენებელი იმისა, თუ რა განწყობაა საზოგადოებაში - გულშემატკივარი ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს - ასეთი გახლდათ ინტერაქტივის შედეგი. თუმცა, ჯერჯერობით არ ჩანს ახალკაცის სერიოზული მეტოქე და ალბათ, ეს საკითხი ჯერ არც არის აქტუალური.

საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამის განხორციელება კი ფერხდება. ჯერ იყო შარშანდელი ნოემბრის აქციები, მერე 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები - ამ აურზაურში დამუხრუჭდა პროგრამის განხორციელება. მაგალითად, პროგრამის ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქარველოში რვა ფინანსურად მდგრადი კლუბის შექმნაა, მაგრამ ეს პროცესი საპარლამენტო არჩევნების მერე თუ დაიწყება - ეს ინფორმაცია ფედერაციაშიც დაგვიდასტურეს.

ცხოვრება და შოუ კი გრძელდება - დამდეგ უქმეებზე ეროვნულის მორიგი ტურია, მარტის შუა რიცხვებისთვის საქართველოში ტოპი გვესტუმრება, მერე მისი გაწვრთნილი ნაკრები ბელფასტში ამხანაგურ მატჩს ითამაშებს და კიდევ რამდენი რამ...

**დავით თავართქილაძე**



ახალკაცს ინგა გრიგოლიას თოქ-შოუში უხერხული კითხვები დაუსვეს



მიცნობდეთ, მე ანატოლი პისკოვეცი ვარ



პაატა დათუნაიშვილი

# ვიტ ჯორჯიამ ჯენარო დაიბრუნა

"ვიტ ჯორჯიამ" 24 წლის **პაატა დათუნაიშვილი** ივნისამდე შეინარჩუნა - **ნესტორ მუმლაძის** გუნდი ამით ალბათ კიდევ უფრო მოლონიერდება.

დათუნაიშვილს "ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი პირველი წრის დასრულების შემდეგ დაუმთავრდა და მის გახანგრძლივებაზე კლუბის ხელმძღვანელობას ვერ შეუთანმხდა - პაატას უცხოეთში სურდა წასვლა.

საშუასეზონო პერიოდში დათუნაიშვილი ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, "ვიტ ჯორჯია" კი ანთალიის მზის გულზე ემზადებოდა მეორე წრისთვის. პაატას აგენტებმა ახალი გუნდი ვერ გამოუნახეს. მისი აყვანა "ზესტაფონს" მოუნდა და ფეხბურთელს ხანგრძლივი კონტრაქტი შესთავაზა, რაც დათუნაიშვილმა იუარა.

გუშინ კი გადაწყდა, რომ პაატა დათუნაიშვილი "ვიტ ჯორჯიასთან" სეზონის ბოლომდე გააგრძელებს ხელშეკრულებას.

გამორჩეული ბრძოლისუნარიანობის და შეუპოვრობის გამო თანაგუნდელები მას "ჯენაროს" ეძახიან. ის საკვანძო ფეხბურთელი იყო "ვიტ ჯორჯიაში" და ალბათ ახლაც ძალიან გამოადგება მუმლაძის გუნდს.

ცხადია, ამ დროისთვის მისი ფიზიკური კონდიციები ისეთივე ვერ იქნება, როგორც შეკრებაგამოვლილ სხვა ვიტჯორჯიელების, თუმცა სამატჩო განაცხადში ვიტჯორჯიელი გატუზოს გამოჩენას უახლოეს მატჩებშიც უნდა ველოდოთ.

**დავით თავართქილაძე**

## თორილი

**კოსტავა თამაზ.** დაიბადა 29.02.1956, ქუთაისი. ფეხბურთი, მცველი. თამაშობდა ქუთაისის "ტორპედოსა" (1973-76, 1983-84) და თბილისის "დინამოში" (1977-1982). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული (1981). სსრკ ნაკრებში ჩაატარა 3 მატჩი (1 გოლი), სსრკ უმაღლეს ლიგაში - 131 (1 გოლი). სსრკ ჩემპიონი (1978), მეორე (1978) და მესამე (1981) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1979) და ფინალისტი (1980). იყო საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების (1993-94) და თბილისის "ამერის" (2004) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.



GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

## მესხეთმა კიკნაძე დაიმატა

ახალციხის "მესხეთმა" კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატა - 21 წლის ფორვარდი **ირაკლი კიკნაძე**. თავდამსხმელი "მესხებმა" "ვიტ ჯორჯიიდან" ინათხოვრეს. ცნობა გუშინ ახალციხელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმაც** დაგვიდასტურა. "*ღონღაძის შემდეგ, ირაკლი კიკნაძის დამატებაც გვინდოდა. ჩვენ და "ვიტ ჟორჯიას" შორის მოლაპარაკებებმა შედეგიანად ჩაიარა. კიკნაძე მართალია ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ კარგი მონაცემებით გამოირჩევა. იმედია, ის ჩვენი გუნდის შემტევ პოტენციალს ჩვენ გააძლიერებს და თავის სიტყვას იტყვის*", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა "მესხეთის" თავკაცმა.

## ელიავას ამქარი იტოვებს

ახალი სეზონისთვის სამზადისში მყოფმა რიგის "სკონტომ" მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. ლატვიის არაერთგზის ჩემპიონი ეკატერინბურგის "ურალს" დაუპირისპირდა და 2:1 მოიგო. რიგელთა სასტარტო შემადგენლობაში არცერთი ქართველი არ ყოფილა. ეროვნული ნაკრების მცველი **ზაალ ელიავა** ანთალიურ შეკრებაზე მყოფ პერმის "ამკარშია" ტესტირებაზე. მეორე ქართველი მცველი **დავით გამეზარდაშვილი** კი ტრავმამ შეაწუხა. მეორე 45 წუთში "სკონტოში" სინჯებზე მყოფმა **ვლადიმერ დვალიშვილმა** ითამაშა.

რიგელები მომდევნო ამხანაგურ მატჩს, კვირას, 2 მარტს, კრასნოდარის "ყუბანთან" გამართავენ. რაც შეხება ზაალ ელიავას, ის "ამკარში" განაგრძობს ტესტირებას. ეროვნული ნაკრების ამ მცველის თაობაზე გუშინ ერთ-ერთმა ლატვიურმა ვებგვერდმა ჩვენთვის სასიხარულო ცნობა გაავრცელა – "სკონტო" მზადაა ზაალ ელიავას შეელიოს. თუმცა გასაოცარი ერთი რამაა. იმავე ინფორმაციაში მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ელიავა ფორმაში არაა და რიგელები მას ამიტომაც თმობენ.

ცოტა არ იყოს საოცარია. თითქმის კვირა გავიდა, რაც ზაალ ელიავა "ამკარშია" და მისი კონდიციებით რუსები კმაყოფილნი რომ არ იყვნენ ზაალს აქამდეც გამოემშვიდობებოდნენ. ესტონური "პოსტაიმსის" ინფორმაციით, "ამკარი" უკვე დატოვა გუნდის მარცხენა მცველმა და ესტონეთის ნაკრებში მოასპარეზე **დმიტრი კრუგლოვმა**, რომელიც ბაქოს "ნეფთჩიმ" წაიყვანა. მის სანაცვლოდ კი ესტონური წყაროს მტკიცებით, "ამკარი" კონტრაქტს გააფორმებს საქართველოს ნაკრების მცველ ზაალ ელიავასთან.

დაბოლოს, მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა თამაზ პერტიას "დინაბურგმა" - ალჩევსკის "სტალი" 2:1 დაამარცხა. **შოთა ბაბუნაშვილი** დინაბურგელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეხვედრაც ჩაამთავრა. 46-ე წუთიდან კი თამაშში მცველი **მამუკა გიორგაძე** ჩაერთო.

## ჭედიას ნახევარი საათი

ბელორუსულმა ჟოდინოს "ტორპედომ" ანთალიაში მორიგი მოსამზადებელი შეკრება დაასრულა. სამშობლოში დაბრუნებამდე ჟოდინოელებმა ამხანაგური მატჩი "ანთალიასფორთან" გამართეს და 2:0 მოიგეს. "ტორპედოში" ტესტირებაზე მყოფი ფორვარდი **გიორგი ჭედია** ძირითად შემადგენლობაში არ ყოფილა. მან მე-60 წუთზე **ზანემონეცი** შეცვალა. ქართველ ფორვარდს გატანილ ბურთებში წვლილი არ მიუძღვის, რაკილა ბელარუსებმა ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს.

## დვალმა ისევ გაიტანა

მოლდოვის ჩემპიონატში, პირველი წრის შემდეგ, მეორე ადგილზე მყოფმა "დაჩიამ" მეორე წრის წინ მოსამზადებელ ეტაპზე მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. **ჯაბა დვალის** გუნდი "პოლიტეხნიკას" გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. შეხვედრაში საბოლოო ანგარიში ქართველმა ფორვარდმა დააფიქსირა. ამ თამაშში "დაჩიადან" სამი ფეხბურთელი გამოარჩიეს. სამეულიდან ერთ-ერთი კი "დაჩიაში" ტესტირებაზე მყოფი ქართველი ნახევარმცველი **ლევან კორღალიძეა**. "მოლდოვფუტბოლის" ცნობით "დაჩიამ" ორ ახალწვეულთან გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ კორღალიძე მათ შორის არაა. ერთ-ერთს, ფორვარდ **ვიაჩესლავ სოფრონს, ვიტალი დარასელიას** წასვლის შემდეგ გუნდის შემტევი პოტენციალის გაძლიერება დაევალა.

ცხრილის ლიდერი, **ვაჟა თარხნიშვილის** "შერიფი" ბელგრადის "რადის" ძლევის (1:0, თარხნიშვილმა სრულად ითამაშა), დღეს, 29 თებერვალს დასკვნით ამხანაგურ შეხბვედრას "ოხუსთან" გამართავს.

კიდევ ერთ მოლდოვურ გუნდში, "ზიმბრუში" ასპარეზობს ქართველი მცველი **მამუკა ლომიძე**. "ზიმბრუმ" 4 ლეგიონერთან განყვიტა კონტრაქტი. მათ შორის ლომიძის გვარი არ ფიგურირებს.

## გიგიაძის ფასში სამი ბრაზილიელი

ინტერნეტ-გაზეთმა "სპორტმა" ინტერვიუ ჩამოართვა ლუგანსკის "ზარიას" მთავარ მწვრთნელ **ალექსანდრ კოსევიჩს**. მან გაურკვევლობას წერტილი დაუსვა და ღიად განაცხადა, რატომ ვერ მოახერხა ზამთრის სატრანსფერო შუალედში **ვასილ გიგიაძის** დამატება. "*გეტყვით, რა ვითარებაა გიგიაძესთან დაკავშირებით: მისი შეძენა დღეს ჩვენთვის მიუღწეველი სურვილია. ჩვენ კრივოი როგის "კრივბასთან" მოლაპარაკებას დიდხანს ვაწარმოებდით. თავად გიგიაძეც გადმოსვლის მომხრე იყო, მაგრამ "კრივბასმა" უზარმაზარი თანხა მოითხოვა. კრივოროგელებს რომ სურთ, იმ თანხაში სამ ბრაზილიელს ვიყიდით,*" - განაცხადა ალექსანდრე კოსევიჩმა.

## კიევის არსენალში ქართველი გამოჩნდა

კიევის "არსენალი" უცხოური შეკრებიდან უკრაინაში დაბრუნდა და ჩემპიონატის დაწყებამდე საკონტროლო შეხვედრებს ატარებს. კიეველები ჩერნიგოვში ჯერ ადგილობრივ "დესნას" შეხვდნენ, მეორე დღე კი ბორისპოლის ცსკა-ს.

**გიორგი დემეტრაძე** ორივე შეხვედრაში ძირითადში გამოჩნდა, მაგრამ გოლებით თავი არ გამოუჩენია.

ჩვენი ყურადღება მეორე მატჩში მომხდარმა ფაქტმა გამოიწვია, რომელიც "არსენალმა" ცსკა-სთან 3:1 მოიგო. არმიელებთან მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში დემეტრაძე ქართველმა ფეხბურთელმა შეცვალა, ვინმე **ვაშაკიძემ**, რომელიც ქართველი გულშემატკივრებისთვის უცნობია. მასზე მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ "არსენალის" ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გაზრდილია. მან არმიელებთან მეორე ტაიმი ითამაშა და ინფორმაციის თანახმად, 1991 წელსაა დაბადებული. კიეველთა საფეხბურთო სკოლა უკრაინის ჭაბუკთა ჩემპიონატში მეორე ადგილზეა და მხოლოდ თანაქალაქელ "დინამოს" ჩამორჩება.

უცნობი ფეხბურთელის გამოჩენაზე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს **ზაურ სვანაძეს** ვესაუბრეთ: "*თანამდებობაზე ორიოდე დღის წინათ კი დავინიშნე, მაგრამ უკვე ვცდილობ შესაძლო კანდიდატების მოძებნას, საქართველოშიც და უცხოეთშიც. საზღვარგარეთ მოთამაშე რამდენიმე ქართველი უკვე მირჩიეს, მაგრამ სანამ არ დავრწმუნდები, რომ ისინი მართლა საინტერესო ფეხბურთელები არიან, მანამდე მათზე საჯაროდ საუბარი არ ღირს. ვაშაკიძე კი ჩვენთვის მართლა საინტერესოა, 17 წლის ბიჭს როდესაც ასეთი დონის კლუბში, თუნდაც შეცვლაზე ათამაშებენ, ღირს ინფორმაციის გაგება.. მე გეგმაში მაქვს კიევში დემეტრაძესთან, "არსენალის" სკოლის და გუნდის ხელმძღვანელობასთან საუბარი.*"

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ კობა ჟორჟიკაშვილთან

# სანაკოევი ფეხბურთს მოუნამლავს

გასული წლის ზაფხულს, ცხინვალის „სპარტაკის" შექმნას სპორტულ საზოგადოებაში მოჰყვა ჭორები გუნდის მსუყე ბიუჯეტის თაობაზე. ვარაუდობდნენ, რომ კლუბის პრეზიდენტი, იმავდროულად სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის მეთაური დიმიტრი სანაკოევი „სპარტაკს" უხვად დააფინანსებდა და სამწვრთნელო შტაბსაც ჩემპიონობისათვის თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში ევროტურნირებისათვის ბრძოლას მაინც მოსთხოვდა. ვარაუდი არ გამართლდა. სანაკოევს სულაც არ გადაუსროლია „სპარტაკის" ბიუჯეტში გრანდიოზული (თუნდაც ქართული საზომებით) თანხები, არც მიღწევების ჩვენება მოინდომა სასწრაფოდ. მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშნულმა კობა ჟორჟიკაშვილმაც მოცემული ვითარებისა და საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მიზნად ახალგაზრდული კოლექტივის ჩამოყალიბება დაისახა. პირველი წრის შედეგებისა და ნაჩვენები თამაშის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „სპარტაკს" ნამდვილად არ დაუტოვებია ურიგო შთაბეჭდილება. მაშინ მწვრთნელი ხშირად აღნიშნავდა, რომ მის ფეხბურთელებს შესაძლებლობათა გამოსავლენად მცირე დრო კიდევ სჭირდებოდათ.

— **სეზონის განახლების პირველივე მატჩში თქვენი შეგირდების მიერ ნაჩვენები თამაშით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „სპარტაკი" თანდათან იზრდება?**

— მე ვფიქრობ, ეს აშკარაა. ამავე დროს „დინამოსთან" ასეთი ღირსეული ასპარეზობა სამომავლო თავდაჯერებული გარჯისათვის დიდი სტიმული იქნება.

— **„დინამოს" დიდ ხანს ჯობნიდით, ბოლოს კი ძალიან გაგიჭირდათ მეტოქის შეტევების გაუვნებელყოფა. ფიზიკურად ველარ დაუდექით?**

— ფიზიკურად ნამდვილად არ ვართ ურიგოდ მომზადებულნი. ამ მატჩში ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს ჩვენი ახალგაზრდული კოლექტივი ტოლ-სწორად ეპაექრა და სამწუხაროდ სამი-ოთხი ისეთი საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან, რომლის გამოუყენებლობა არ შეიძლებოდა. არ გამკვირვებია, რომ ამას ბოლოსკენ ჩვენი ფეხბურთელების გარკვეული იმედგაცრუების გრძნობა მოჰყვა. ახალგაზრდული კოლექტივი ვართ და ასეთ დროს ჩვენზე ბევრად ძლიერ გუნდებსაც ემართებათ მსგავსი რამ.

— **ამ მატჩის შემდეგ „სიონთან" უკვე საკმაოდ არასახარბიელოდ იასპარეზა „სპარტაკმა"...**

— ფეხბურთელებს „დინამოსთან" მატჩის მერე ვუთხარი, რომ ამ ერთი შეხვედრით, თუნდაც ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდთან ნაჩვენები დამაკმაყოფილებელი თამაშით ცაში არ უნდა ეფრინათ. "სიონთან" გარკვეულწილად ამანაც იმოქმედა საბოლოო მარცხზე და რასაკვირველია იმ შეცდომებმა, რომლებმაც ორივე ტაიმების დებიუტშივე სწრაფი გოლების მიღებაში გამოიხატა.

— **გამოუყენებელი საგოლე მომენტები პირველ წრეშიც „სპარტაკის" ხარვეზი იყო. ჩავთვალოთ, რომ ზამთრის მოსამზადებელ ეტაპზე ამას ვერაფერი მოუხერხეთ?**

— რასაკვირველია ყველა ხარვეზის აღმოსაფხვრელად სათანადოდ ვიმუშავეთ, მაგრამ ჩვენი თავდასხმის ხაზი თითქმის სულ ახალია. მჯერა, ბიჭები გუნდს მალე შეეწყობიან და გოლებსაც გაიტანენ.

— **„სპარტაკში" აღარ არიან ის თავდამსხმელები, რომლებიც პირველ წრეში მთავარ მეგოლეებად მოიაზრებოდნენ, მათ შორის იყვნენ საკმაოდ პერსპექტიულნიც...**

— ალბათ, 17 წლის დავით ჯანელიძეს გულისხმობთ, რომელიც მართლაც საკმაოდ პერსპექტიული გახლდათ. იგი ამჟამად „ზესტაფონშია". ფეხბურთს თავი დაანება ალან ტატაევმა, ხოლო ზაზა მედოევმა ლიახვის ხეობაში, ახლადშექმნილ ფეხბურთის ფედერაციაში დაიწყო მუშაობა. ორივე მათგანი ასაკიანი იყო და მათი ამ მიზეზით გუნდიდან წასვლა მოულოდნელი არ ყოფილა. მეორე წრეში უკვე მამუკა ღონღაძისა და ვახტანგ კვარაცხელიას გოლებისაც გვეიმედება. პირველი მათგანი თავისუფალი აგენტი იყო, მეორე „ოლიმპიდან" გადმოვიყვანეთ.

— **ერთ-ერთი წამყვან როლს „სპარტაკში" ნახევარმცველი ირაკლი ჩირიკაშვილი თამაშობდა, რომელიც დღესდღეობით „ბორჯომშია"...**

— ირაკლი ნამდვილად კარგი ფეხბურთელია, თუმცა იგი „დინამოდან" განათხოვრების წესით პირველი წრის ბოლომდე იმყოფებოდა ჩვენთან. ვადის გასვლის შემდეგ მშობლიურ კლუბში დაბრუნდა, საიდანაც „ბორჯომში" გაუშვეს და სამწუხაროდ ჩვენთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

— **ამჟამინდელი კონტიგენტით, ნაჩვენები თამაშით, ლიგაში ადგილის შენარჩუნება რამდენად ადვილად გადასაჭრელ პრობლემად მიგაჩნიათ?**

— სრულებით შესაძლებელია, რომ მოცემული კონტინგენტით და მინდორზე ნაჩვენები შესაძლებლობებით, რომელიც კიდევ უფრო დაიხვეწება, „სპარტაკს" ნამდვილად არ გაუჭირდება უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. მომავალ სეზონში კი ვნახოთ, რა იქნება.

— **კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი ძველებურად გიდგათ გვერდში?**

— მე ვიტყოდი ის ფეხბურთით „მონამლული" კაცია. სანაკოევის დიდი მადლიერი ვართ. სწორედ ამ ადამიანის დამსახურებით ზამთარში ორი სრულფასოვანი შეკრება გავიარეთ თბილისში. ჩვენ უბრალოდ ხელი შეგვიშალა ზედმეტად ცივმა ზამთარმა და საქართველოში არსებულმა უხარისხო მოედნებმა, რამაც, თავის მხრივ, ამხანაგური მატჩების სიმწირე მოიტანა. უვარგისი მოედნის გადამკიდე სულ სამი ამხანაგური შეხვედრა ჩავატარეთ.

— **მაშასადამე საჭირო იყო უცხოური შეკრების გახერხება...**

— მთავარია, რომ შეკრება ნაყოფიერი გამოდგა და რადგანაც ის უცხოეთში არ გაგვივლია, მერწმუნეთ მნიშვნელოვანი არაფერი დაკლებია გუნდს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სტუმარი. ინტერვიუ ივო შუშაკთან

# მწვრთნელობას სხვა ნიჭი სჭირდება

**ივო შუშაკი თბილისში ბოლოს შარშან იყო ჩამოსული კერძო ვიზიტით; დროის სიმცირის მიუხედავად, ქართველ ჟურნალისტებთან სასაუბროდ მაინც მოიცალა.**

**...და აი, ივო შუშაკი ისევ თბილისშია; თანაც, ხორვატიიდან კაცი იმიტომ ჩამოვიდა, რომ უკანასკნელი პატივი მიეგო ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნისათვის...**

**...ივო შუშაკმა მწვრთნელობაშიც ივარგა და კაცობაშიც; ამაშიც არაერთხელ დავრწმუნდით - მაშინაც, როცა მისი მეგობარი გივი ნოდია გარდაიცვალა და ახლაც...**

**...აქ ბევრ უცხოელს უმუშავია; აქედან რომ მიდიოდნენ, იტყოდნენ ხოლმე - ქართულ სტუმართმოყვარეობას არასდროს დავივიწყებთო. თუმცა საქმით, ალბათ, ერთეულებსაც არ დაუმტკიცებიათ - გარდა ერთი კაცისა, რომელიც დღეს ხორვატიაში ცხოვრობს და ქართველების მიერ მიღებულ სიყვარულსა და პატივისცემას ანალოგიურად პასუხობს.**

**...ისე როგორ იქნებოდა, შუშაკი თბილისში ყოფილიყო და ქართულ მედიას არ შეხვედროდა? სამი ჟურნალისტი, ორი ფოტოკორესპოდენტი და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი კოლეგა ლევან სალუქვაძეც (ურომლისოდაც ეს ინტერვიუ ვერც შედგებოდა) სასტუმროს ნომერში ვსხედვართ და ქართველების ხორვატ მეგობარს ვუსმენთ...**



- ნამდვილად უკეთესი იქნებოდა, თბილისში კარგ საქმეზე ჩამოვსულიყავი... მე და ბატონ ბადრის ერთმანეთთან ჩინებული ურთიერთობა გვქონდა; ნუ დაგვავიწყდება, თუ რა პირობები შეუქმნა თბილისის "დინამოს". ამიტომაც იყო, რომ გუნდმა საქართველოს ჩემპიონატიც მოიგო, თასიც და მერე დსთ-ს თასზეც გავიმარჯვეთ მოსკოვში. ბატონ ბადრის მეგობრად ვთვლიდი და ვალდებული ვიყავი, თბილისში ჩამოვსულიყავი. არადა, გუშინ ჩემს მეუღლეს იუბილე ჰქონდა - 60 წელი შეუსრულდა, მაგრამ ვერ დავრჩი; აქ, თბილისში უნდა ვყოფილიყავი...

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- ხორვატიის საფეხბურთო აკადემიაში ლექციებს ვკითხულობ. სერიოზული სამსახურია - კურსდამთავრებულები მწვრთნელის "პრო-კატეგორიას" იღებენ. სხვათა შორის, აქ სწავლობენ და მწვრთნელობას აპირებენ ხორვატიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები ივიცა მორნარი და დადო პრშო, ახლახან რომ დაასრულეს აქტიური კარიერა.

**- თქვენ თვითონ სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას არ აპირებთ?**

- არ დაგიმალავთ - დასვენება ნამეტანი გამიგრძელდა. კი, არის რამდენიმე წინადადება, მაგრამ აჩქარება არ მინდა. ადრეც არაერთხელ მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ - ისეთ გუნდში ვიმუშავებ, სადაც შესაფერისი სპორტული პირობები იქნება. ამასთან, კლუბსაც ამბიციური მიზნები უნდა ჰქონდეს. ქართულ მედიას არც იმას დავუმალავ, რომ ზაფხულიდან, ალბათ, სამწვრთნელო საქმიანობას დავუბრუნდები. უფრო, ალბათ, უცხოეთში ვიმუშავებ - აი, ახლაც ჩემი მენეჯერი ჩინეთის ერთ-ერთ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

**- საქართველოდან შემოთავაზება არ ყოფილა?**

- შემოთავაზება არ ყოფილა, თუმცა აქაური ფეხბურთის სიახლეების საქმის კურსში ვარ. ყოველ მეორე-მესამე დღეს ვეკონტაქტები ჩემს ქართველ მეგობრებს და ძალიან მიხარია, რომ თბილისის "დინამო" პირველ ადგილზეა. აი, რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, არანაკლებ განვიცდი, რომ ცუდი შედეგები აქვს.

**- ხორვატიის ნაკრებზე და მის ახალგაზრდა მწვრთნელზე სლავენ ბილიჩზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი.**

- მასთან ჩინებული ურთიერთობა მაშინ ჩამომიყალიბდა, როცა ხორვატიის ნაკრებში ვმუშაობდი. ბილიჩი განსაკუთრებული ნიჭით არ იყო დაჯილდოებული, მაგრამ არცთუ ურიგო საფეხბურთო კარიერა ჰქონდა - "ჰაიდუკის" მერე წლების განმავლობაში თამაშობდა "კარლსრუესა" და "ევერტონში". ყველაფერს მაქსიმალური შრომისმოყვარეობით მიაღწია და მიხარია, რომ სამწვრთნელო ასპარეზზეც წარმატებები აქვს.

**- და მაინც, როგორ ფიქრობთ, ბილიჩი-მწვრთნელის მიღწევები რამ განაპირობა?**

- როცა მას ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებში ნიშნავდნენ, მის კანდიდატურას საჯაროდ დავუჭირე მხარი. იქ რომ თავი გამოიჩინა, უკვე ეროვნულის გაძღოლა ანდეს და თამამად დაიწყო ახალგაზრდა ფეხბურთელების (კრანჩარი, ედუარდო, მოდრიჩი, ჩორლუკა, პეტრიჩი, რაკიტიჩი) ძირითადში შეყვანა. ოღონდ, ეტაპობრივად ხდებოდა ეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

**- შესაძლოა, უხერხულ კითხვად მოგეჩვენოთ, მაგრამ ხომ არ იცით ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ანაზღაურება რამდენია? ჩვენთვის ცნობილია, რომ ბილიჩი, ვინც გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, საკმაოდ მოკრძალებულ ხელფასს იღებს...**

- სწორი ინფორმაცია გქონიათ - თვეში 6000 ევროს იღებს. თუმცა როცა მას ნაკრებში ნიშნავდნენ, განსაკუთრებული პირობები არც მოუთხოვია. რა თქმა უნდა, იმის გარდა, რომ სამწვრთნელო შტაბი თვითონ უნდა დაეკომპლექტებინა და მის საქმიანობაშიც არავინ ჩარეულიყო.

**- კიდევ ერთ კოლეგაზე და თქვენს უფროს მეგობარზე, მიროსლავ ბლაჟევიჩზეც გვინდა, რომ გკითხოთ. მართალია, რომ მას კოსოვოს ნაკრების გაძღოლა შესთავაზეს?**

- პოლიტიკა არ მიყვარს, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, კოსოვო სერბეთის რესპუბლიკაში უნდა დარჩეს (ამას ხორვატი კაცი ამბობს-გ.ტ.) რაც შეეხება ბლაჟევიჩს, კოსოველებს ის ძალიან უყვართ და ეთაყვანებიან. ყოფილი იუგოსლავიის საფეხბურთო ჩემპიონატის დროს, 1983 წელს, კოსოვოს "პრიშტინას" 10 ტურით ადრე უმაღლეს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსიღა ჰქონდა. აი, მაშინ მიიყვანეს ბლაჟევიჩი "პრიშტინაში" და იქ ყველაფერი შეიცვალა: სტადიონზე 30 000 კაცი დადიოდა, გუნდმა შეუძლებელი შეძლო და მიზანს მიაღწია. იმიტომ, რომ ბლაჟევიჩს "არანორმალურად" შეუძლია ფეხბურთელებს მოტივაცია აუმაღლოს; პლუს ძალიან კომუნიკაბელურია და ადგილობრივებთან ჩინებული ურთიერთობა ჩამოაყალიბა.

**- ანუ, დიდ ფეხბურთში ბლაჟევიჩის დაბრუნება შესაძლებელია?**

- არა მგონია, ბოლოს და ბოლოს, 74 წლის არის. თუმცა მისგან ყველაფერს უნდა ველოდოთ...

**- ჩერნოგორიის ნაკრებზეც გვაინტერესებს თქვენი აზრი. მით უმეტეს, რომ ჩერნოგორია და საქართველო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ერთად არიან.**

- როგორი ნაკრები ეყოლება ამ ქვეყანას, ძნელი სათქმელია. თუმცა ყოფილი იუგოსლავიისა და მერე უკვე სერბეთის ნაკრებში ყოველთვის თამაშობდა წარმოშობით 5-6 ჩერნოგორიელი ფეხბურთელი . ჯერ მარტო დეიან სავიჩევიჩისა და პრედრაგ მიატოვიჩის ხსენებაც საკმარისია. ძალიან ძლიერი ფეხბურთელია "რომაში" მოასპარეზე მირკო ვუჩინიჩიც. საერთოდ, ამ ქვეყნის ხალხი ნიჭითა და პატიოსნებით გამოირჩევა, თუმცა, ამასთან, ხანდახან, აგრესიულობითაც. და მაინც, მიმაჩნია, რომ საქართველოს უკეთესი ნაკრები ჰყავს.

**- წელან ბილიჩი ვახსენეთ, ახლა საქართველოს ნაკრები. როგორ ფიქრობთ, ვისთანაც გიმუშავიათ, რომელ ქართველ ფეხბურთელს შეუძლია, რომ მომავალში კარგი მწვრთნელი გახდეს?**

- არც დავფიქრდები, ისე გიპასუხებთ - შოთა არველაძე! შოთა ბოლო წლების საუკეთესო ქართველი ფეხბურთელია; აღიარებულ გუნდებში ითამაშა და არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელებთან მუშაობდა. კიდევ ვიმეორებ, მას ყველა წინაპირობა აქვს, რომ სამწვრთნელო კარიერაც წარმატებული ჰქონდეს.

**- საერთოდ, დამწყებ მწვრთნელებს რას ურჩევდით?**

- რატომღაც ბევრს ჰგონია, რომ რახან კარგი ფეხბურთელი იყო, სამწვრთნელო ასპარეზზეც თავს გამოიჩენს. მე ცოტა სხვაგვარად ვუცქერ ამ საკითხს: როცა ფეხბურთელი კარიერას ასრულებს, უნდა დაივიწყოს, რომ თამაშობდა და დავარქვათ ასე - ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს. მწვრთნელობას სხვა ნიჭი სჭირდება. მთავარი მომენტია, რომ ყველა ფეხბურთელს ერთნაირი პატივისცემით ეპყრობოდეს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ არცერთ გუნდში 22-ივე ნიჭიერი ფეხბურთელი არ გეყოლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელი ყოველდღიურად უნდა მუშაობდეს თავის პროფესიული განათლების ასამაღლებლად. თანაც, როცა ფეხბურთელი მწვრთნელობას დააპირებს, თავდაპირველად ჯობია ახალგაზრდულ გუნდთან დაიწყოს მუშაობა. ასე უფრო გაუადვილდება სამომავლოდ სერიოზული მიზნების რეალიზება.

**- ისევ თქვენს ახლანდელ სამსახურს დავუბრუნდეთ. სასწავლო პროცესი როგორ მიმდინარეობს?**

- წმინდა საფეხბურთო ასპექტების გარდა აქ ლექციები ტარდება ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, სოციოლოგიაში და სპორტულ მედიცინაში. ამ ყველაფერს კი ამ დარგების პროფესორები უძღვებიან. ამას გარდა, ლექციების ჩასატარებლად ხშირად ჩამოდიან მსოფლიოში აღიარებული მწვრთნელები. აი, ახლახან მარჩელო ლიპი და ალექს ფერგიუსონი გვეწვივნენ და ორი-სამი დღე თავის ცოდნას გადასცემდნენ დამწყებ მწვრთნელებს.

**- თემებს ვცვლით და ახლა საქართველოს ნაკრებზე ვისაუბროთ. იმ ნაკრებზე, ხორვატიიდან რომ ქომაგობთ ყველა მატჩში და ჩვენი ინფორმაციით, მეტ-ნაკლებ ინფორმაციასაც ფლობთ.**

- ყოველთვის ასე ვფიქრობდი: ფეხბურთელები არ უნდა განასხვავო როგორც - მაღალი თუ დაბალი, სწრაფი თუ ნელი, სუსტი აღნაგობის თუ ჯანიანი. განსხვავების ჩემეული ფორმულა ასეთია: გუნდში, შესაძლოა, გყავდეს კარგი ან ნაკლებად კარგი ფეხბურთელი. კვლავაც ზოგადი საუბრით შემოვიფარგლები და შეგახსენებთ, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში 10 წელიწადში ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი უნდა გამოჩნდეს. ისეთი ფეხბურთელი, განსაკუთრებული მონაცემები რომ აქვს და ყველას აალაპარაკებს. რა თქმა უნდა, იმ ახალგაზრდა ტალანტისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილი მოთამაშეების გვერდით ასპარეზობას; მაგრამ საუბარია ერთზე და არა - ერთდროულად რამდენიმე სრულიად ჭაბუკ ფეხბურთელზე. დიახ, ვამტკიცებ, რომ ნაკრებში ყოველთვის საუკეთესო უნდა თამაშობდეს და მნიშვნელობა არ უნდა მიექცეს ასაკს. ეს გუნდშია შესაძლებელი - ერთდროულად რამდენიმე ჭაბუკისათვის შანსის მიცემა, მაგრამ ნაკრებში - გამორიცხულია. ან, იქნებ, თქვენ დამისახელოთ მსოფლიოში რომელიმე ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც 17-18 წლის ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობდეს?

**- აბა, რასთან გვაქვს საქმე?**

- ხომ გაგიგიათ, ხშირად მწვრთნელი რომ ამბობს ხოლმე - გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი დავიწყეო. მე თუ მკითხავთ, ეს უფრო თავის დაზღვევას ჰგავს; გნებავთ, ალიბი დაარქვით - შედეგს რომ ვერ მიაღწევს, თავს ამით მაინც გაიმართლებს...



**გია ტუხაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ნიუკასლი

# კიგანი: უთანხმოება დირექტორებთან?

## ჯორდების მწვრთნელი კლუბს შეიძლება ნაადრევად გამოეთხოვოს...

**კევინ კიგანი** "ნიუკასლში" ხუთი კვირის წინ დაბრუნდა, მაგრამ უკვე წასვლაზე ფიქრობს. მიზეზი კლუბის ხელმძღვანელობასთან არსებული უთანხმოებაა. კარგად ინფორმირებული წყარო ამტკიცებს, რომ მწვრთნელს არავინ არაფერს ეკითხება. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ მასთან შეუთანხმებლად მეორე მწვრთნელი დანიშნეს. ვაკანტური პოსტი **კრის ჰუტონმა** დაიკავა. ის "ტოტენჰემის" ყოფილი მწვრთნელია. ჰუტონს კიგანთან კონტრაქტის გაფორმებამდე არცკი უსაუბრია. ანალოგიური რამ მოხდა **დენის უაიზთან** დაკავშირებით. მისტერ კევინთან არც მისი დანიშვნა შეუთანხმებია ვინმეს.

გადაწყვეტილებებს კლუბის თავმჯდომარე **კრის მორტი** იღებს. მისი მარჯვენა ხელია "ტოტენჰემის" ყოფილი დირექტორი **პოლ კელმსლი**. ის პრეზიდენტ **მაიკ ეშლის** მეგობარია. კიგანის დანიშვნამდე კელმსლი **ჰარი რედნაპის** კანდიდატურას ლობირებდა. უაიზისა და ჰუტონის დანიშვნა მის სახელს უკავშირდება. მანვე გაუწია რეკომენდაცია "ნიუკასლის" ვიცე-პრეზიდენტ **ტონი ხიმენესს**. ამ უკანასკნელს ტრანსფერებზე მუშაობა ევალება. უაიზი, რომელიც ფეხბურთელების შერჩევაზეა პასუხისმგებელი, ხიმენესთან ურთიერთობს და კიგანს, ფაქტობრივად, არ ელაპარაკება.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ფეხბურთელების დარაზმვა ვერ მოახერხა. გუნდმა მისი ხელმძღვანელობით ექვსი მატჩი ჩაატარა, მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ და ხუთი წააგო. გასულ შაბათს ჯორდებმა "მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:5 წააგეს. გუნდში გამეფებული ატმოსფერო სავალალოა. 1990-იან წლებში, კიგანის "ნიუკასლი" ყველაზე შემტევ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. დღევანდელმა გუნდმა ექვს შეხვედრაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა და 16 მიიღო. ჰუტონის დანიშვნასაც ამით ხსნიან. მისი მოვალეობა დაცვის ხაზის გამართვა იქნება.

პოპულარულმა გამოცემამ "დეილი მეილმა" მკითხველს შეახსენა კიდევ რამდენიმე დეტალი, რომელიც სრულად ახასიათებს კიგანის "ნიუკასლში" მეორედ მისვლას. მისი დანიშვნის შემდეგ გუნდს არცერთი ფეხბურთელი არ უყიდია და ერთხელაც არ გაუმარჯვია. სამიდან ორი გოლი **მაიკლ ოუენმა** შეაგდო. "ნიუკასლს" 16-დან 9 გოლი ბოლო ორ შეხვედრაში გაუტანეს ("ასტონ ვილასა" და "მანჩესტერ იუნაიტედთან"). გუნდმა 13 გოლი მეორე ტაიმებში გაუშვა. ჯორდებს, საშუალოდ, 34 წუთში ერთხელ უტანენ. "ნიუკასლმა" პრემიერლიგაში უკანასკნელად 75 დღის წინ გაიმარჯვა. გუნდმა "ფულჰემს" მინიმალური ანგარიშით მოუგო და მისი დამრიგებელი ჯერ კიდევ **სემ ელერდაისი** გახლდათ. უცნაურია, მაგრამ "ნიუკასლის" საშინაო მატჩებზე "სენტ ჯეიმს პარკი" ისევ პირთამდე ივსება. 52 ათასი მაყურებელი სტადიონზე იმ იმედით დაიარება, რომ კრიზისი მალე დასრულდება. რეალობა კი ისაა, რომ ჯორდებს შინ 8 დეკემბრის შემდეგ არ მოუგიათ.



კევინ კიგანი

ხვალ "ნიუკასლი" "ბლექბერნს" ეთამაშება. ამ გუნდს მრისხანე თავდასხმა ჰყავს. "ვარდები" ჯორდების დაცვის ხაზს მორიგ გამოცდას მოუწყობენ. გუნდს გამარჯვება ჰაერივის ესაჭიროება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიგანისა და ეშლის ურთიერთობა იმდენად გაცივდება, რომ მწვრთნელს ადრინდელივით დაუმშვიდობებლად მოუწევს წასვლა. დათხოვნის შემთხვევაში, მას მრავალმილიონიანი კომპენსაცია გარანტირებული აქვს.

ლივერპული

# რაფას პიიპია სჭირდება

**რაფა ბენიტესი** სემი ჰიიპიას შეხვდა. ესპანელი მწვრთნელი 34 წლის ვეტერანის თამაშით კმაყოფილია. ის მზადაა, ფინელ ლეგიონერს ახალი კონტრაქტი გაუფორმოს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კლუბის ხელმძღვანელობასთან მოთათბირებაა საჭირო. ჰიიპიას კონტრაქტი ივნისში იწურება. თავდაპირველად, "ლივერპული" მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას არ აპირებდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. მერსისაიდელთა ძირითადმა ცენტრალურმა მცველმა **დანიელ აგერმა** მძიმე ტრავმა მიიღო. მას თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. ასევე თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში ჰიიპიას სასტარტო შემადგენლობაში მოუხდა თამაში. ფეხბურთელმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა. ის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა. ბენიტესმა მის შესახებ აზრი შეიცვალა. მწვრთნელს სემის გაშვება აღარ სურს, მაგრამ ჯერჯერობით კონტრაქტის გაგრძელების გარანტიასაც ვერ იძლევა. "ლივერპულიდან" წასვლის შემთხვევაში, ჰიიპიას უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება. მისი შეძენა "სელტიკს" სურს. გლაზგოელებს გამოცდილი ფეხბურთელის ხელში ჩაგდება უკომპენსაციოდ შეუძლიათ.

## რამოსის ტრავმა 500 ევროდ შეაფასეს

ესპანეთის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ხულიგანს, რომელმაც გასულ სეზონში, "სევილიისა" და "ბეტისის" სათასო მატჩისას სევილიელთა ყოფილ თავკაც **ხუანდე რამოსს** ბოთლი ესროლა და გონება დააკარგვინა. 31 წლის მამაკაცს, რომლის ვინაობა არ ხმაურდება, 5 000 ევროს გადახდა დაეკისრა. ის რამოსს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 500 ევროსაც გადაუხდის. ბოროტმოქმედს მომდევნო ორი წლის განმავლობაში საფეხბურთო სტადიონებზე შესვლა აეკრძალა. შეგახსენებთ, ინციდენტი სათასო დერბის 59-ე წუთზე მოხდა. რამდენიმე წამით ადრე "სევილიამ" ანგარიში გახსნა. "ბეტისის" ინჩასმა გაბრაზება ბოთლის სროლით გამოხატა. რამოსის ნაქცევას მდგომარეობის უკიდურესი გამწვავება მოჰყვა. არბიტრმა თამაში შეწყვიტა. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ "ბეტისის" სტადიონს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

## მილანი ახალგაზრდებს ექურქურება

"მილანმა" "მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების შემტევ ნახევარმცველ **სამირ ნასრის** დაადგა თვალი. ნასრის არაერთი ევროპული გრანდი ეპატიჟება. რიგში დგანან "ინტერი", "რეალი", "არსენალი", "ლივერპული" და "ბაიერნი". "ტუტოსპორტის" ცნობით, "როსონერიმ" უეფას თასზე, "მარსელისა" და მოსკოვის "სპარტაკის" მატჩზე ემისარი მიავლინა. ნასრის ფრანგული კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება. სეზონის ბოლოს "ოლიმპიკი" მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას შეეცდება. თუ სამირი უარს იტყვის, დაუყოვნებლივ ტრანსფერზე დააყენებენ. ფეხბურთელის ფასი უცნობია.

"მილანი" კიდევ ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელით, "სან პაულუს" 22 წლის მცველ **ალექს სილვათი** დაინტერესდა. იმავე "ტუტოსპორტში" ვკითხულობთ, რომ სილვამ "როსონერისთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და იტალიას ზაფხულის არდადეგების შემდეგ მიაშურებს. ალექს სილვა ბრაზილიის ნაკრების მცველის, **ლუიზაოს** ძმაა. ეს უკანასკნელი "ბენფიკაში" ასპარეზობს.

## ულტრასები მანჩინის გვერდში დაუდგნენ

"ინტერის" ულტრასებმა მთავარ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის** მხარდაჭერა გამოუცხადეს. ერთი კვირის წინ "ლივერპულთან" წაგებული შეხვედრის შემდეგ იტალიურ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს "ნერაძურის" ქომაგებს მანჩინის გათავისუფლება სურდათ. "რომასთან" ბოლო ტურის მატჩში "ინტერის" რადიკალმა ტიფოზებმა სან სიროს "კურვა ნორდზე" უზარმაზარი ტრანსპარანტი გამოფინეს. მასზე ეწერა: *"ნუ ენდობი გაზეთებს. შენ გვერდით ვართ, როგორც არასდროს."* სხვათა შორის, "ჯალოროსისთან" მატჩში მილანელ ქომაგებს კიდევ ერთი იმედგაცრუება ელოდათ. "ინტერი" წაგებას 88-ე წუთზე, **ხავიერ ძანეტის** გოლით გადაურჩა, 1:1. აქვე, კიდევ ერთი ინფორმაცია "ინტერის" ბანაკიდან. ინგლისური გამოცემა "დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ "არსენალის" **ალექსანდრ გლები** მზადაა, მილანურ გრანდში გადავიდეს. მილანელები ბელორუს ლეგიონერს **ლუიშ ფიგუს** შემცვლელად მიიჩნევენ. სპეკულაციების თანახმად, "ინტერი" მზადაა, 14 მილიონი გირვანქა გადაიხადოს.

## იუვენტუსი ზაფხულის გეგმებს განიხილავს

"იუვენტუსის" დირექტორატმა საზაფხულო გეგმების განსახილველად საგანგებო სხდომა გამართა. "ტუტოსპორტის" ცნობით, შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილეს თავდამსხმელისა და ცენტრალური ნახევარმცველის ტრანსფერებზე. შეტევის გასაძლიერებლად, ტურინელები პალერმოელ **ამაურის** ან ტულუზელ **იოჰან ელმანდერს** შეიძენენ. დღის წესრიგიდან არ მოხსნილა მილანელი **ალბერტო ჯილარდინოს** საკითხი. შალკელი **ივან რაკიტიჩის** აგენტმა "ტუტოსპორტს" აუწყა, რომ "ქალბატონი" მისი კლიენტითაც დაინტერესდა. რაკიტიჩს მილანის "ინტერიც" ადევნებს თვალს. აქვე გეტყვით, რომ ტურინულმა გრანდმა ჩეხი ვარსკვლავი **პაველ ნედვედი** 7 ათასი ევროთი დააჯარიმა. მიზეზი სამშაბათს, ტურინული დერბისას (0:0) მომხდარი ინციდენტია. ნედვედმა "ტორინოს" მცველ **ჯანლუკა კომოტოს** თმაზე მოქაჩა. ამ საქციელისათვის ფეხბურთელს წითელი ბარათი აუფრიალეს.

## ირანში მაინც კლემენტე დაინიშნება?

ირანის ფეხბურთის ფედერაცია არ კარგავს იმედს, რომ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ხავიერ კლემენტეს** დანიშნავს. ეს საკითხი დიდი ხნის წინ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მხარეები ერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. ირანელებმა მოითხოვეს, რომ კლემენტეს თეირანში ეცხოვრა. მწვრთნელმა სპარსეთში გადასახლება ზედმეტად მიიჩნია და განაცხადა, რომ საქმეს ბასკეთში, საკუთარი ვილიდანაც უპრობლემოდ გაუძღვებოდა. კლემენტემ განაცხადა, რომ ირანში თამაშებამდე ორი-სამი კვირით ადრე ჩასვლაც საკმარისი იქნებოდა. მისმა კომენტარმა ფედერაციის მაღალჩინოსნების უკმაყოფილება გამოიწვია და მოლაპარაკებები, ფაქტობრივად, შეწყდა. მაგრამ დროებით. ორი დღის წინ ირანული ფედერაციის პრეზიდენტი **ალი ქაფშიანი** სენიორ ხავიერს ტელეფონით ესაუბრა. მხარეები გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდნენ. დეტალური ინფორმაცია მოგვიანებით გავრცელდება. ირანმა 2010 წლის მუნდიალის შესარჩევი ტურნირი უსახურად დაიწყო. მან სირიასთან საკუთარ მოედანზე ჩატარებულ პირველ მატჩში 0:0 ითამაშა.

დაკავება

# მანჩესტერ სიტის მესაკუთრე დაიჭირეს

## 17 თვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნება შინავატრას ძვირად დაუჯდა...



ფაბიო კაპელო და მანჩესტერ სიტის მფლობელი ტაქსინ შინავატრა

"მანჩესტერ სიტის" ბოსი **ტაქსინ შინავატრა** საპყრობილეში მიაბრძანეს. 17-თვიანი პაუზის შემდეგ ის პირველად ეწვია ტაილანდს. 17 თვის წინ ქვეყნის არმიამ მისი მთავრობა დაამხო. სახელმწიფო გადატრიალებისას პრემიერ-მინისტრი უცხოეთში იმყოფებოდა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა სამხედროებმა შინავატრა კორუფციაში დაადანაშაულეს და ბრალი წაუყენეს. ის აეროპორტში, თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე დააპატიმრეს. შინავატრამ იცოდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში პატიმრობა ემუქრებოდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტაილანდის მართლმსაჯულების იმედი ჰქონდა. 58 წლის ყოფილი პოლიტიკოსი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. ის საკუთარი უფლებების დაცვას სასამართლოში აპირებს. ტაილანდის ხელისუფლებას მომხდართან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია. ცნობილია, რომ შინავატრასთან ერთად ტაილანდში ჩაფრინდნენ "მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელები **კასპერ შმაიხელი** და **კელვინ ეტუჰუ**. ისინი ბავშთა საფეხბურთო სკოლებში აპირებდნენ მისვლას და საჩვენებელი ვარჯიშების ჩატარებას. კლუბის მეპატრონის დაკავებასთან დაკავშირებით არც ინგლისურ კლუბს გამოუქვეყნებია განცხადება.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბენზემას ბარსელონაში უნდა

"ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების ახალგაზრდა ვარსკვლავ **ქარიმ ბენზემას** "ბარსელონაში" თამაში სურს. 20 წლის ფეხბურთელს რონალდოს ადარებენ. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მან "ლურჯების" შემადგენლობიდან ამოაგდო "იუვენტუსის" ლიდერი **დავიდ ტრეზეგე**. ბენზემას წყალობით, ჩელსელი **ნიკოლა ანელკას** სანაკრებო პერსპექტივაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ქარიმს ევროპის საუკეთესო კლუბებმა დაადგეს თვალი. მას ინგლისში ტრანსფერს უწინასწარმეტყველებდნენ. "მანჩესტერ იუნაიტედი" "ლიონთან" საერთო ენის გამონახვას ცდილობდა. "ეშმაკები" ფრანგებს ამ საკითხზე ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩის წინაც ესაუბრნენ. ის თამაში ფრედ, 1:1 დასრულდა. ლიონელთაგან გოლი ბენზემამ შეაგდო. როგორც ირკვევა, ქარიმს "იუნაიტედის" ვარიანტი სულაც არ ხიბლავს. მისი ოცნების კლუბი "ბარსელონაა". ფეხბურთელი ოცნებობს, მომდევნო ათი წლის განმავლობაში 9-ნომრიანი მაისურით "კამპ ნოუზე" ითამაშოს: *"ერთი რამ ნათელია: ლიონში მინიმუმ კიდევ ერთ სეზონს გავატარებ. ჯერ მხოლოდ 20 წლის ვარ. მთელი კარიერა წინ მაქვს. "ლიონის" შემდეგ "ბარსელონაში" გადასვლას ვისურვებდი. ეს კლუბი ყოველთვის გამორჩეულად მიყვარდა. სტოიჩკოვი და რომარიო ჩემი კერპები იყვნენ. "ბარსა" ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს. რონალდინიოს ნახვა ერთ რამედ ღირს.*



ქარიმ ბენზემა

*ერიკ აბიდალი ჩემი მეგობარია. მას ხშირად ველაპარაკები. ერიკი აღფრთოვანებულია. მეუბნება, "ბარსელონას" შესანიშნავი ფეხბურთელები და გულშემატკივრები ჰყავსო."*



ინტერი-რომა. სტუმრებს ტოტის გოლი არ ეყოთ

იტალია. სერია A. XXV ტური

# ფრე, რომელიც მოგებაზე ძვირად ფასობს

## კატანიური ტაბუ მილანისთვის. ანჩელოტი შეშინებულია...

შესაძლოა, **ხავიერ ძანეტის** მიერ "რომას" კარში გატანილი გოლი გადამწყვეტიც იყოს სკუდეტოსთვის ბრძოლაში. მატჩის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე, "ჯალოროსი" 1:0-ს იგებდა, მაგრამ "ინტერის" კაპიტანმა მაინც მონახა პატარა ბზარი და საჯარიმოს ხაზიდან, თანაც ორი რომაელის გარემოცვაში, ზუსტი დარტყმით ბურთი **დონისგან** მარჯვენა დაბალ კუთხეში მოათავსა (ეს იყო მისი პირველი გოლი 2006 წლის 5 ნოემბრის შემდეგ). გავბედავთ და ვიტყვით, რომ უფრო სამართლიანი შედეგი სტუმრების გამარჯვება იქნებოდა. **ლუჩანო სპალეტის** შეგირდები პირველივე წუთებიდან უნარიანად აკონტროლებდნენ მოედანს და არაერთხელ ჩააყენეს კიდეც ლიდერი უხერხულ სიტუაციაში. **დე როსის, პეროტასა** და **ტოტის** დარტყმები მიზანს მცირედით ასცდა, მთელ რიგ ეპიზოდებში კი "ინტერის" მეკარემაც იყოჩაღა. თავის მხრივ, პირველ ნახევარში მასპინძლებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგალითად, ის ეპიზოდი, როცა **კრესპო** "მაკრატელათი" ურტყამდა...

"ინტერის" მთავარი მინუსი **იბრაჰიმოვიჩის** არყოფნა იყო. **რობერტო მანჩინიმ** არ გარისკა და კრესპო თავდასხმაში მარტო დატოვა. თუმცა მერე იძულებული გახდა, ერთბაშად ორი ფორვარდი დაემატებინა. "რომამ" განსაკუთრებით კარგად ითამაშა დაცვასა და შუა ხაზში, სადაც **ვიეირამ, კამბიასომ** და **სტანკოვიჩმა** უპირატესობის მოპოვება ვერ მოახერხეს. ვითარებიდან გამომდინარე, ლოგიკური იყო ტოტის გოლიც. "ჯალოროსის" სიმბოლომ კარგად შეარჩია პოზიცია, წამით დაასწრო **კივუს** და **ტადეის** ჩაწოდებულს ჰაერშივე შეუცვალა მიმართულება.

არც იყო გასაკვირი, რომ "რომამ" ლიდერზე უკეთ ითამაშა. "სან სიროზე" გამარჯვებები მისთვის უცხო არ არის. ასე იყო შარშან (3:1), ან კიდევ ორი წლის წინათ (3:2), გნებავთ, სათასო მატჩები გავიხსენოთ. მაგრამ აქ ერთი ნიუანსია: რომაელები "ინტერს" კონკრეტულ, აუცილებლად მოსაგებ მატჩებში ვერ ამარცხებენ. ალბათ, სწორედ ამაშია "ინტერის" ძალაცა და უპირატესობაც. მაგრამ ეს "ინტერი" დღეს ვერ არის ძველებურ ფორმაში და "რომასთვის" ქულების დაკარგვა ამადაც საწყენია. ოთხშაბათს, ნამდვილად იყო სერიოზული შანსი, სკუდეტოსთვის ბრძოლას სიმძაფრე დაბრუნებოდა. შესაძლოა, სპალეტის გუნდს ეს შანსი მომავალშიც გაუჩნდეს. ახლა კი, მისთვის მთავარია, ბოლო წუთებზე გაშვებული გოლის გამო გუნდი ფსიქოლოგიურად არ გატყდეს და ბოლომდე მეომრად დარჩეს. სხვათა შორის, ამის ნიშნები თამაშის მიწურულს მართლაც გამოჩნდა, როცა **მექსე** უწყინარ სიტუაციაში გააძევეს (თუმცა ფეხბურთელი ამტკიცებს, რომ მეორე ყვითელი ბარათი არბიტრის ფანტაზიის ნაყოფი იყო), ან ცოტა მერეც, როცა პეროტამ და დე როსიმ მეტოქეს გაუმართლებელი უხეშობით უპასუხეს...

"რომას" თავკაცმა მატჩი ასე შეაფასა: *"ვფიქრობ, ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო 3 ქულის აღება. მაგრამ ამავე დროს, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო მეტად უნდა გვეზრუნა, რადგან "ინტერი" ბოლოს სამი ფორვარდით თამაშობდა. მატჩი საკვანძო იყო და ამიტომ, ამოცანად დავისახეთ, მეტოქისთვის მაქსიმალურად შეგვეზღუდა სივრცეები. შემიძლია ვთქვა, რომ ძანეტის გოლამდე ჩვენ ეს შევძელით კიდეც. სამწუხაროდ, ამ დარტყმის თავიდან აცილება ვერ მოვახერხეთ, არადა, ესეც შეიძლებოდა".*

მანჩინი კი, თქვენ წარმოიდგინეთ, ქულითაც კმაყოფილი დარჩა: *"თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რა მიმართულებით წავიდა თამაში, ეს ფრე მოგებაზე ძვირფასიც შეიძლება იყოს. გუნდმა ხასიათის სიმტკიცე აჩვენა, ხშირად ვცვლიდით ტაქტიკას, თუ საჭირო იყო, ვიყენებდით პრესინგსაც, ანუ ყველაფერ იმას, რითიც დღევანდელი "ინტერი" ძლიერია. კვლავ 9 ქულით ვართ წინ. ეს შესანიშნავი, მაგრამ არასაიმედო უპირატესობაა. დღეს რომ მოგვეგო, უფრო მშვიდად ვიქნებოდით. ნებისმიერ ვარიანტში, ყველაფერი წინაა და ჯერაც დიდი ბრძოლები გველის".*

"კატანია" "მილანისთვის" ერთგვარ ტაბუდ იქცა. მიმდინარე სეზონში გუნდები უკვე მეოთხედ შეხვდნენ ერთმანეთს და "როსონერიმ" ვერც ერთი ამ შეხვედრის მოგება ვერ შეძლო: ორი ფრე ჩემპიონატში და სიცილიელთა ორი გამარჯვება სათასო მერვედფინალში. მატჩის წინ, "მილანის" ერთადერთი სტატისტიკური უპირატესობა ის იყო, რომ კატანიაში 1963 წლის მერე არ ჰქონდა წაგებული. სამაგიეროდ, მასპინძლები გუშინწინ ოპტიმალური შემადგენლობით იყვნენ მოედანზე, რასაც ვერ ვიტყვით "მილანზე". სხვადასხვა მიზეზის გამო, **კარლო ანჩელოტიმ** სასტარტო თერთმეტეული გვარიანად გადაახალისა. ვფიქრობთ, მთავარი მიზეზი "არსენალთან" საჩემპიონთალიგო მერვედფინალისთვის ძალების დაზოგვა იყო. მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ ითამაშებდნე **კაკა** და **პირლო**, რომლებიც, შეიძლება, გუნდს ვერც "მეთოფეებთან" საპასუხო დაპირისპირებაში დაეხმარონ.

მასპინძლებისთვის მთავარი საფრთხე **პატო** იყო. ბრაზილიელ ვუნდერკინდს მატჩის დასაწყისშივე შეეძლო გოლის კი არა, გოლების გატანა. მერე თამაშში ჩაბმა მოუნია **კალაჩსაც**, რომელმაც **სარდოს** ურთულესი ბურთი აუღო. მსგავსი მომენტები ხშირი არ იყო, თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. მოწყენილობა ისევ პატომ დაარღვია. მეორე ნახევრის დასაწყისში მან სამი მცველი გააცურა და ასე 25 მეტრიდან ბურთი მიზანში მოარტყა. აქ კი, "კატანიის" მწვრთნელ **სილვიო ბალდინის** ცვლილებამ გაუმართლა. **სპინეზი** სულ რაღაც ოთხი წუთის შესული იყო მოედანზე, როცა **ვარგასის** ფლანგური ჩაწოდება გოლად აქცია.

მატჩის ბოლომდე მეტ-ნაკლებად ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის შეცვლა, მაგრამ 1:1 ლოგიკური შედეგი იყო და სამართლიანობაც ესაა. ცხადია, ანჩელოტი უკმაყოფილო იყო, მეტიც, მან ერთგვარ შიშზე ისაუბრა: *"გამარჯვების შანსი ხელიდან გავუშვით. სამწუხაროცაა და სირცხვილიც, რომ ანგარიში მიგვყავდა და არაფერი გავაკეთეთ საჩვენო სიტუაციის შესანარჩუნებლად. სიმართლე გითხრათ, შეშინებული ვარ იმით, რომ ამ მომენტისთვის გუნდი ძალიან მოდუნებულია, მაგალითად, შეტევის ხაზი სიმწვავის აშკარა დეფიციტს განიცდის. დიახ, მე მეშინია"...*

ეტყობა, წინა ტურში "ინტერთან" ბრძოლით (1:1) "სამპდორია" ისე დაიქანცა, რომ "ატალანტასთან" პირველივე ტაიმში დაყარა ფარ-ხმალი, არადა, **ვოლპის** გოლით მე-3 წუთზე დაწინაურდა. გენუელებს დანაკლისი ჰქონდათ ტრავმირებული **კასანოსა** და **ბელუჩის** სახით, ეს კი ლამის ნახევარი გუნდია. მაგრამ ნურც ბერგამოელებს დავუკარგავთ ღვაწლს. 4:1, რაც არ უნდა შესუსტებული შემადგენლობით იყოს მეტოქე, ასე ჰაერიდან არ მოდის. საინტერესოა, რომ "ატალანტას" ლიგურიელებთან შინ 11 წელია არ წაუგია.

"ფიორენტინამ", რომელსაც თავდასხმაში **მუტუ** და **ვიერი** აკლდა, ტოსკანურ დერბიში "ლივორნოს" ძლივს მოუგო. შეცვლაზე შესულმა **პაპა ვაიგომ** მეტოქე მცველთა წამიერი ჩაძინებით ისარგებლა და სერია A-ში პირველი გოლი გაიტანა.

"ჯენოამ" ისე მოუგო "ნაპოლის", ამ უკანასკნელს მასპინძელთა მეკარე ერთხელაც არ შეუწუხებია. სამაგიეროდ, **ჯანელოს** უამრავი საქმე ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ნეაპოლელები შეტევაში პასიურები იყვნენ, თამაშის ბედი მაინც მოგვიანებით გადაწყდა, როცა 74-ე წუთზე **დომიციმ** "ბოლო იმედის" ჯარიმა მიიღო და მსაჯს თავი გააძევებინა, მეტოქეს კი პენალტი აჩუქა. 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა **ბორიელომ** და 16 გოლით სნაიპერთა სიაში გალიდერდა. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა ამ სეზონში, რომ **ტრეზეგეს** საბომბარდირო ჰეგემონია დაემხო.

"პალერმომ" შინ პირველად შეძლო "ემპოლის" დამარცხება (2:0). ორივე გოლში ბრალი სტუმართა მეკარეს **ბასის** მიუძღვის. "ლაციომ" "რეჯინას" თამაშით ვერ აჯობა, თუმცა 3 ქულისთვის **ბიანკის** მიერ ზუსტად შესრულებული 11-მეტრიანი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეს მისი პირველი გოლია. "პარმა"-"უდინეზეს" მატჩში მთავარი მოვლენები მატჩის მიწურულს განვითარდა. ემილიელებმა სასიცოცხლოდ აუცილებელი გამარჯვება მოიპოვეს. აღსანიშნავია **ლუკარელის** გოლი, რომელიც ფორვარდმა "მაკრატელათი" შეაგდო. ზედ ფარდის დაშვების წინ გაირკვა "სიენა"-"კალიარის" მატჩში გამარჯვებულიც. **მაკარონეს** სოლოგარღვევას მეკარესთან პირისპირ გასვლა და უაღრესად საჭირო გოლი მოჰყვა. ამ მოგებით ტოსკანელებმა ცოტათი კი ამოისუნთქეს, მაგრამ სამშვიდობომდე ჯერ კიდევ შორია.

### მომდევნო ტური

**1 მარტი.** რომა-პარმა, მილანი-ლაციო.
**2 მარტი.** კალიარი-ჯენოა, ემპოლი-სიენა, იუვენტუსი-ფიორენტინა, ლივორნო-კატანია, რეჯინა-პალერმო, სამპდორია-ტორინო, უდინეზე-ატალანტა, ნაპოლი-ინტერი.

### იუვენტუსი-ტორინო 0:0

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, ზებინა-6, ლეგროტალიე-6.5, კიელინი-7, მოლინარო-6, პალადინო-6 (64. ნოჩერინო-5.5), კამორანეზი-6.5, სისოკო-6, ნედვედი-5.5, იაკვინტა-6, დელ პიერო-6.

**ტორინო:** სერენი-7.5, კომოტო-6, დი ლორეტო-6, ნატალი-შ.გ (27. დელაფიორე-6), მ. პიზანო-6.5, დიანა-5.5 (48. როზინა-6.5), გრელა-6.5, ბარონე-6, პ. ძანეტი-6, რეკობა-5.5 (81. ლანა-შ.გ), სტელონე-6.

**გაძევება:** ნედვედი (90. იუვენტუსი)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 23-22; **თამაშგარე:** 3-8; **კარში დარტყმა:** 15-13 (8-7); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 22 000

### ინტერი-რომა 1:1

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6, ბურდისო-5.5, კივუ-5.5, მაქსველი-5.5, ხ. ძანეტი-7, ვიეირა-5.5, კამბიასო-6 (58. ბალოტელი-5), ფიგუ-5.5 (62. პელე-5.5), სტანკოვიჩი-5 (46. სუასო-5.5), კრესპო-6.5.

**რომა:** ა. დონი-6.5, კასეტი-5.5, ფერარი-5.5, მექსე-5, ტონეტო-6, დე როსი-6, პისარო-5.5 (61. აკვილანი-6.5), პეროტა-6.5, ტადეი-6.5 (86. ჟუანი-შ.გ), ვუჩინიჩი-5.5 (77. ჟიული-შ.გ), ტოტი-7.

**გოლები:** 0:1 ტოტი (37), 1:1 ხ. ძანეტი (88)

**გაძევება:** მექსე (84. ინტერი)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 22-17; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 12-15 (3-7); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 48 717

### კატანია-მილანი 1:1

**კატანია:** პოლიტო-6, სარდო-6.5 (59. სპინეზი-7), სილვესტრი-6, სტოვინი-6, სილვესტრე-6, ხ. ვარგასი-7, კოლუჩი-6.5, ედუსეი-6, ბაიოკო-6.5, მარტინესი-6.5 (84. პ. ალვარესი-შ.გ), მასკარა-6.

**მილანი:** კალაჩი-6.5, კაფუ-5.5 (67. ოდო-6), ბონერა-6, მალდინი-6, ფავალი-5.5, ბროკი-5.5 (79. გატუზო-შ.გ), ემერსონი-6, ამბროზინი-6, ზეედორფი-5.5, პატო-6.5, ფ. ინძაგი-5.5 (77. ჯილარდინო-შ.გ).

**გოლები:** 0:1 პატო (55), 1:1 სპინეზი (63)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 23-26; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 8-13 (4-8); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 21 000

### ფიორენტინა-ლივორნო 1:0

**ფიორენტინა:** ფრეი-6, უიფალუში-6.5, დაინელი-6.5, გამბერინი-6, პასკუალი-6, კუჟმანოვიჩი-7, ლივერანი-5.5 (46. მონტოლივო-5.5), დონადელი-6.5, სემიოლი-5 (37. პაპა ვაიგო-6.5), პაცინი-5, ოსვალდო-6 (72. იორგენსენი-6).

**ლივორნო:** ამელია-6, გრანდონი-5.5, პასკუალე-5 (48. ბალერი-6), გალანტე-5.5, კნეჟევიჩი-6, პულცეტი-6, ლოვიზო-5.5, ვიდიგალი-5, ა. ფილიპინი-5.5 (65. დიეგო ტრისტანი-5), დიამანტი-5 (89. ვაილატი-შ.გ), ბოგდანი-5.

**გოლი:** 1:0 პაპა ვაიგო (62)

**გაფრთხილება:** 4-1; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 23-17; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 18-4 (6-0); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 26 291

### პარმა-უდინეზე 2:0

**პარმა:** ბუჩი-6, კოლი-6, დ. ძენონი-5.5 (58. ჩიგარინი-6.5), ფალკონე-6, კასტელინი-6, მ. როსი-5.5, მორონე-6, მარიგა-6.5, პიზანუ-6, კ. ლუკარელი-7 (85. დესენა-შ.გ), რეჟინალდო-5.5 (71. ბუდანი-7).

**უდინეზე:** კიმენტი-6, ფერონეტი-5.5 (72. კოლომბო-შ.გ), ფელიპე-6 (81. ფლორო ფლორესი-შ.გ), ლუკოვიჩი-5.5, ზაპოტოჩნი-5.5, გ. დ'აგოსტინო-5.5, ინლერი-5 (85. პინცი-შ.გ), დოსენა-6, პეპე-6.5, კვალიარელა-6.5, დი ნატალე-5.5.

**გოლები:** 1:0 კ. ლუკარელი (78), 2:0 ჩიგარინი (89-პენ)

**გაფრთხილება:** 2-0; **კუთხური:** 1-5; **ჯარიმა:** 23-20; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 11-16 (6-7); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 12 457

### ატალანტა-სამპდორია 4:1

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, რივალტა-6.5, კაპელი-6.5, პელეგრინო-6, თ. მანფრედინი-7, პინტუ-6, ტისონე-6.5, გუარენტე-6.5 (77. დე აშენტისი-შ.გ), ლანჯელა-7 (57. პადოინი-6), კ. დონი-7.5 (81. პაოლუჩი-შ.გ), ფლოკარი-6.5.

**სამპდორია:** კასტელაცი-6, კ. ძენონი-4.5, კამპანიარო-შ.გ (19. მილიონიკო-5), გასტალდელო-5, ლუკინი-5.5, მაჯო-5 (74. კალუ-შ.გ), სამარკო-4.5, ციგლერი-5.5 (54. პიერი-6), ვოლპი-6, დელვეკიო-5, ბონაცოლი-5.

**გოლები:** 0:1 ვოლპი (3), 1:1 კ. დონი (11), 2:1 კ. დონი (32), 3:1 ფლოკარი (36), 4:1 კაპელი (52)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 14-22; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 13-7 (8-4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 13 870

### ჯენოა-ნაპოლი 2:0

**ჯენოა:** სკარპი-შ.გ, კონკო-5, ბოვო-6.5, გლეისონი-6 (55. დე როზა-6.5), კრიშიტო-6.5, მილანეტო-6.5, პარო-შ.გ (20. იურიჩი-7), ფაბიანო-6.5 (71. ა. ლუკარელი-6), ლეონი-6, ბორიელო-7, სკული-7.

**ნაპოლი:** ჯანელო-5.5, გრავა-6, კონტინი-5, დომიცი-4.5, მანინი-5, გარგანო-5 (61. ლავეცი-6.5), ბლაზი-5.5, ჰამსიკი-5 (46. ბოლიაჩინო-5.5), სავინი-5, კალაიო-5.5, სოსა-5 (72. მონტერვინო-5).

**გოლები:** 1:0 სკული (41), 2:0 ბორიელო (75-პენ)

**გაძევება:** დომიცი (74. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 19-19; **თამაშგარე:** 8-0; **კარში დარტყმა:** 13-6 (6-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 000

### პალერმო-ემპოლი 2:0

**პალერმო:** ა. ფონტანა-6, ძაკარდო-6.5, რინაუდო-7, ბარძალი-6.5, კასანი-5.5, ჯოვ. ტედესკო-5.5 (55. გუანა-6), მილიაჩო-6, სიმპლისიუ-6.5 (82. კაზერტა-შ.გ), ბალცარეტი-6, კავანი-5 (66. ბრეშანო-6), ამაური-7.5.

**ემპოლი:** ბასი-4.5, მარძორატი-5.5 (61. ტოსტო-5), პრატალი-5, მორო-6, რაჯი-6, მარკიზიო-5 (46. აბატე-5), ბუდელი-5.5, ბუშე-5.5, ანტონინი-5, ვანუკი-6.5, საუდატი-4.5 (85. ვოლპატო-შ.გ).

**გოლები:** 1:0 სიმპლისიუ (14), 2:0 რინაუდო (38)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 24-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 14-9 (11-5); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 22 000

### ლაციო-რეჯინა 1:0

**ლაციო:** ბალოტა-6, დე სილვესტრი-6.5, კრიბარი-6.5, სივილია-6, რადუ-6, დაბო-6.5 (61. მუდინგაი-6), ლედესმა-6.5, კ. მანფრედინი-6, მეგნი-5.5 (57. მაური-6.5), პანდევი-7, ბიანკი-7.5 (75. როკი-6).

**რეჯინა:** კამპანიოლო-6, ჩირილო-5.5, კ. ვალდესი-6.5, არონიკა-5, მისიროლი-6.5, პ. ალვარესი-5 (46. ბარეტო-6), კოსტა-5 (75. კოცა-შ.გ), ვიჯანი-6 (59. ბრიენცა-6.5), ჰალფრედსონი-7, კაშონე-6, მაკინვა-6.5.

**გოლი:** 1:0 ბიანკი (44-პენ)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 23-21; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 20-9 (12-4); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 16 000

### სიენა-კალიარი 1:0

**სიენა:** მანინგერი-6.5, როსეტინი-6, პორტანოვა-6, ლორია-6, ა. როსი-7, ვერგასოლა-6, კოდრეა-5.5, გალოპა-6 (69. ხარჯა-6), იაროლიმი-5.5 (46. ლოკატელი-6.5), რიგანო-5 (46. ფრიკი-6), მაკარონე-7.

**კალიარი:** სტორარი-6, ფ. პიზანო-6, ლოპესი-5.5, ბიანკო-6.5, აგოსტინი-6, ბიონდინი-5.5 (50. კოსუ-4.5), პაროლა-6, კონტი-6.5, ფოჯა-6, ჟედა-5 (76. მანკოზუ-შ.გ), ლარივეი-5.5 (62. მატრი-5.5).

**გოლი:** 1:0 მაკარონე (88)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 13-11 (5-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 8 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 25 | 18 | 7 | 0 | 50-15 | 61 |
| 2. რომა | 25 | 15 | 7 | 3 | 42-24 | 52 |
| 3. იუვენტუსი | 25 | 13 | 9 | 3 | 44-21 | 48 |
| 4. ფიორენტინა | 25 | 12 | 8 | 5 | 37-23 | 44 |
| 5. მილანი | 25 | 11 | 9 | 5 | 37-19 | 42 |
| 6. უდინეზე | 25 | 10 | 6 | 9 | 31-35 | 36 |
| 7. სამპდორია | 25 | 10 | 5 | 10 | 32-31 | 35 |
| 8. ატალანტა | 25 | 8 | 10 | 7 | 40-38 | 34 |
| 9. ჯენოა | 25 | 9 | 8 | 8 | 30-33 | 34 |
| 10. პალერმო | 25 | 9 | 7 | 9 | 34-40 | 34 |
| 11. ნაპოლი | 25 | 8 | 6 | 11 | 36-40 | 30 |
| 12. ლაციო | 25 | 7 | 8 | 10 | 28-32 | 29 |
| 13. ტორინო | 25 | 4 | 15 | 6 | 27-30 | 27 |
| 14. პარმა | 25 | 5 | 10 | 10 | 31-37 | 25 |
| 15. სიენა | 25 | 5 | 10 | 10 | 28-34 | 25 |
| 16. ემპოლი | 25 | 6 | 7 | 12 | 21-32 | 25 |
| 17. კატანია | 25 | 5 | 9 | 11 | 21-31 | 24 |
| 18. ლივორნო | 25 | 5 | 8 | 12 | 26-39 | 23 |
| 19. რეჯინა | 25 | 4 | 9 | 12 | 21-39 | 21 |
| 20. კალიარი | 25 | 4 | 6 | 15 | 19-42 | 18 |

**ბომბარდირები:** 16 - ბორიელო (ჯენოა); 15 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 11 - დელ პიერო (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), ტოტი (რომა); 10 - კრუსი (ინტერი), კ. დონი (ატალანტა), ტავანო (ლივორნო); 9 - ამაური (პალერმო), ბელუჩი (სამპდორია), პანდევი (ლაციო); 8 - კაკა (მილანი), როკი (ლაციო).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# მოურინიო თუ რაიკაარდი?

## პორტუგალიელის დანიშვნას გამორიცხავენ, გუშინ კი ჰოლანდიელის გარდაუვალ წასვლაზე საუბრობდნენ...

ესპანური გაზეთები ორი კვირის წინ დიდი ამბით წერდნენ, რომ **ჩიკი ბეგირისტაინი ჟოზე მოურინიოსთან** შესახვედრად განას გაემგზავრა და პორტუგალიელ სპეციალისტს ფარულად ესაუბრა. ბუნებრივია, კატალონიური გრანდის გენერალური დირექტორი აფრიკაში მოურინიოსთან უსაქმოდ სალაყბოდ არ წავიდოდა. სავარაუდოა, რომ მას თანამშრომლობა შესთავაზა. ესპანური მედიაც სწორედ ამას წერდა.

შეხვედრიდან ორი კვირის თავზე "ბარსელონაში" გაცილებით უკეთესი სიტუაციაა. გუნდმა "რეალთან" არსებული ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა. ჩემპიონთა ლიგის გასვლითი შეხვედრაც მოიგო... ალბათ, ეს გარემოება გახდა იმის საბაბი, რომ **ფრანკ რაიკაარდს** ახლა უწინდებურად უნდობლად აღარ უყურებენ. ყოველ შემთხვევაში, გუშინ "ბარსას" ვიცე-პრეზიდენტმა **მარკ ინგლამ** მოურინიოს შესაძლო დანიშვნის საკითხს საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა და განაცხადა, რომ პორტუგალიელის მიწვევა არ განიხილება: *"ჟოზე მოურინიო თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტია, მაგრამ "ბარსას" ხელმძღვანელობა რაიკაარდის გაშვებასა და მის დანიშვნას არ აპირებს. სენიორ ფრენკის მუშაობით კმაყოფილები ვართ. რა თქმა უნდა, არ მოგვწონს, რომ მეორე ადგილზე ვიმყოფებით, არც ის გვახარებს, რომ რამდენიმე შეხვედრაში ძალიან უსახურად გამოვიყურებოდით. მიუხედავად ამ ყველაფრისა, რაიკაარდის შესაძლებლობებში ეჭვი არ გვეპარება და დარწმუნებულები ვართ, რომ ჰოლანდიელი მომავალ სეზონშიც მოგვიტანს წარმატებებს."*


ფრანკ რაიკაარდი

ვარსკვლავი

# ბექჰემი: ნაკრებისთვის მზად არ ვარ

## დევიდმა იცის, რომ კაპელო მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიძახებს, თუ საუკეთესო ფორმაში იქნება...


დევიდ ბექჰემი

**დევიდ ბექჰემი** და "ლოს ანჯელეს გალაქსი" სეულში იმყოფებიან. ინგლისელმა გალაქტიკომ პრესკონფერენცია გამართა. მან კლუბის გარდა, ეროვნულ ნაკრებზეც ისაუბრა. ჟურნალისტებმა ფეხბურთელს საკუთარი სანაკრებო შანსების შეფასება სთხოვეს. მოგეხსენებათ, დევიდს ინგლისელთა შემადგენლობაში 99 მატჩი აქვს ჩატარებული. **ფაბიო კაპელომ** ის შვეიცარიასთან თამაშისათვის არ გამოიძახა. იტალიელმა მწვრთნელმა მიზეზად ბექჰემის ფორმაში არყოფნა დაასახელა. კაპელომ თქვა, რომ თუ 24 მარტამდე ბექჰემი მაქსიმალურად ბევრ ამხანაგურ მატჩში ითამაშებდა (გალაქსი სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრას 27 მარტს ჩაატარებს), შესაძლოა, სანაკრებო სიაშიც მოხვედრილიყო. 24 მარტს, პარიზში, ინგლისი საფრანგეთს ეთამაშება. აი, ბექჰემის კომენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით: *"რა თქმა უნდა, მე-100 მატჩის ჩატარება ძალიან მინდა, მაგრამ ნაკრებში მოსახვედრად საუკეთესო ფორმაში ყოფნაა აუცილებელი. მე კი მიმაჩნია, რომ ასეთ ფორმაში ჯერ არ ვარ. როგორც იცით, ფაბიო კაპელოს გუნდში მითამაშია. ის დიდი მწვრთნელი და კარგი ადამიანია. კაპელო ძალიან პრინციპულია. ის მხოლოდ იმ მოთამაშეებს ენდობა, რომელთა მომზადების დონე ეჭვს არ იწვევს. შვეიცარიასთან მატჩისას განაცხადს მიღმა დარჩენა ოდნავადაც არ გამკვირვებია. იმ დროისათვის სათამაშო პრაქტიკა საერთოდ არ გამაჩნდა. მწვრთნელმა სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა გამოიძახა ფეხბურთელები, რომელთაც ჩემზე გაცილებით მეტი მატჩი ჰქონდათ ჩატარებული."* მკითხველს შევახსენებთ, რომ ბექჰემს ოფიციალური შეხვედრა გასული წლის ნოემბრის შემდეგ არ გაუმართავს. "გალაქსი" ამერიკის ჩემპიონატის ფლეი ოფში ვერ გავიდა და ხანგრძლივი შვებულება გამოიწერა.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ბენიტესი და რეინა ატლეტიკოში?

მადრიდის "ატლეტიკომ" "ლივერპულის" მთავარ მწვრთნელსა და მეკარეს დაადგა თვალი. "როხიბლანკო", რომელიც უეფას თასის მოპოვებას გეგმავდა, ტურნირს 1/16 ფინალში გამოეთიშა. მან "ბოლტონთან" წააგო. ამ დამარცხებამ მთავარი მწვრთნელის, **ხავიერ აგირეს** პოზიციები საგრძნობლად შეასუსტა. გუშინდელ ნომერში მწვრთნელისათვის წაყენებული ულტიმატუმის შესახებ გაუწყეთ. ესპანური პრესის ცნობით, თუ "ატლეტიკო" მომდევნო ტურში, "ბარსელონასთან" დამარცხდება, მექსიკელ სპეციალისტს სახლში გაუშვებენ.

მადრიდელებს მის ადგილზე **რაფაელ ბენიტესის** მიწვევა სურთ. ბენიტესს "ლივერპულის" ხელმძღვანელობასთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. ყველას კარგად მოეხსენება იმ სკანდალის შესახებ, რომელიც მერსისაიდელთა ერთ-ერთი ბოსის, **ტომ ჰიკსის** განცხადებას მოჰყვა: ნოემბერში **იურგენ კლინსმანს** მთავარი მწვრთნელის პოსტი შევთავაზეთო. "ლივერპულმა" პრემიერლიგაში წელსაც უსახურად იასპარეზა. ის ლიდერ "არსენალს" 17 ქულით ჩამორჩება. ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე ადგილისაგან კი სამი ქულა აშორებს. გუნდმა ასოციაციისა და ლიგის თასებზე ვერაფერი გაანყო. მიმდინარე სეზონში მას მხოლოდ ევროპულ სარბიელზე შეუძლია წარმატების მიღწევა. "ლივერპულმა" "ინტერს" ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში 2:0 მოუგო.


რაფა ბენიტესს ლივერპულიდან დათხოვნის შემთხვევაში უმუშევრად დარჩენა არ ემუქრება

მაგრამ თუ გუნდი ამ ფრონტზეც ხელცარიელი დარჩება, დიდი შანსია, "ლივერპულისა" და ბენიტესის გზები გაიყოს. ასეთ შემთხვევაში, ესპანელ მწვრთნელს "ატლეტიკოში" მიიწვევენ და ტრანსფერებისათვის 40 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. ამ ინფორმაციას გაზეთი "მარკა" ავრცელებს. რაც შეეხება **ხოსე რეინას**, თავის დროზე მისი მამა "ატლეტიკოს" კარის დარაჯი იყო. ბავშვობაში პეპეც ამ კლუბს ქომაგობდა, მაგრამ ვეჭვობთ, ეს საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდეს იმისათვის, რომ რეინამ ლივერპული "ატლეტიკოზე" გაცვალოს. მეკარის ფასი უცნობია. "ლივერპული" მასთან გამოთხოვებას არ აპირებს.

## აგბონლაორი მანჩესტერში ან არსენალში?

"ასტონ ვილის" ახალგაზრდა თავდამსხმელმა **გაბრიელ აგბონლაორმა** ინგლისური გრანდების ყურადღება მიიპყრო. სპეკულაციების თანახმად, მისი შეძენით "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალი" დაინტერესდნენ. არც ხსენებულ კლუბებს და არც "ვილას" მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებიათ. მკითხველს შევახსენებთ, რომ აგბონლაორმა ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის **ფაბიო კაპელოს** მოწონებაც დაიმსახურა. იტალიელმა სპეციალისტმა ის შვეიცარიასთან სადებიუტო მატჩისათვის გამოიძახა, მაგრამ აგბონლაორს ის შეხვედრა ტრავმის გამო გაუცდა. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ "იუნაიტედისა" და "არსენალის" დაინტერესების შესახებ გაზეთებიდან შეიტყო. მის აგენტს არავინ დაკავშირებია. ამიტომ ტრანსფერზე საერთოდ არ ფიქრობს და მთელი ყურადღება დღევანდელი კლუბის თამაშებზე აქვს გადატანილი. 27 ტურის შემდეგ "ასტონ ვილა" მეექვსე ადგილზე იმყოფება და უეფას თასის საგზურზე აცხადებს პრეტენზიას. სხვათა შორის, მას ჩემპიონთა ლიგის ზონისაგან მხოლოდ სამი ქულა აშორებს.

## კრესპო რომაზე თანახმაა

სეზონის ბოლოს **ერნან კრესპო**, შეიძლება, "რომაში" გადავიდეს. ამ ინფორმაციას გაზეთი "ტუტოსპორტი" ავრცელებს. პოპულარული გამოცემის მტკიცებით, "ნერაძურის" ერთ-ერთი თავდამსხმელის გაყიდვას გეგმავს. აზარგების კანდიდატი ორია: **ადრიანო**, რომელიც "სან პაულუშია" განათხოვრებული და კრესპო. "მილანისა" და "ჩელსის" ყოფილმა თავდამსხმელმა მიმომხილველებს განუცხადა, რომ "ინტერში" თავს ჩინებულად გრძნობს, მაგრამ თუ სამსახურის შეცვლა მოუწევს, სიამოვნებით მიაშურებდა "რომას". მისი განცხადებით, **ფრანჩესკო ტოტის** გვერდით თამაში ნებისმიერი თავდამსხმელის ოცნებაა. "ჯალოროსი" თავდამსხმელს ეძებს. არგენტინელი კრესპო მისთვისაც ჩინებული შენაძენი იქნებოდა. დედაქალაქური კლუბი სხვა კანდიდატურებსაც განიხილავს. რომაელებმა "შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების ახალგაზრდა თავდამსხმელ **მარიო გომესს** დაადგეს თვალი. ერთ-ერთი კანდიდატია პალერმოელი **ამაურიც**. "ჯალოროსის" საზაფხულო გეგმები ჯერ არ გამოუმზეურებია.

## ადვოკაატის სამი მატჩი

პეტერბურგის "ზენიტის" თავკაც **დიკ ადვოკაატს** სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ჰოლანდიელი სპეციალისტი "ვილიარეალთან" უეფას თასის განმეორებით 1/16 ფინალში გააძევეს. 21 თებერვლის შეხვედრაში ესპანელებმა 2:1 გამრაჯვეს, მაგრამ სტუმრად გატანილი გოლის წყალობით, მომდევნო ეტაპზე რუსეთის ჩემპიონებმა გააღწიეს. 1/8 ფინალში მათი მეტოქე მარსელის "ოლიმპიკი" იქნება. ფრანგებმა გათამაშებას მოსკოვის "სპარტაკიც" გამოთიშეს. ადვოკაატი "მარსელთან ორივე შეხვედრას და ევროტურნირების კიდევ ერთ შეხვედრას გამოტოვებს. ეს შეხვედრა, შესაძლოა, წლევანდელი უეფას თასის 1/4 ფინალი იყოს, ანდა მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო შეხვედრა.

## მიუნხენური დერბი ზედმეტი გართულებების გარეშე

გერმანიის თასის 1/4 ფინალური მატჩი "ბაიერნსა" და "მიუნხენ 1860-ს" შორის დრამატულად წარიმართა. მეორე ბუნდესლიგის ბინადარმა "1860-მა" თანაქალაქელებს დიდი ბრძოლა გაუმართა. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. მეოთხე ტაიმის მიწურულს, არბიტრმა "ბაიერნის" სასარგებლოდ 11-მეტრიანი დანიშნა. ბურთთან **ფრანკ რიბერი** მივიდა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა. 203-ე მიუნხენური დერბი მინდვრის მიღმაც დაძაბული გამოდგა. "ალიანს არენის" მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგს 400 პოლიციელი იცავდა. მათ მოახერხეს მეტოქე გუნდების გულშემატკივართა დაშორიშორება. მასშტაბური ჩხუბი არ მომხდარა, მაგრამ მცირე შეტაკებებისას ორი ფანი დაშავდა. სამართალდამცველებმა 12 მათგანი დააპატიმრეს. ამათგან 8 ერთ საათში გაათავისუფლეს ოთხი მათგანი კი საპატიმროში დარჩა. ამათგან მხოლოდ ერთია "ბაიერნის" გულშემატკივარი. ის მეტროს სადგურში, მეტროს თანამშრომლის შეურაცხყოფისათვის აიყვანეს.

## ესპანიოლიდან ტოტენჰემში

"ტოტენჰემის" მეორე მწვრთნელმა **გუსტავო პოიეტმა** მიმომხილველებს საზაფხულო გეგმები გაუმხილა. როგორც ირკვევა, "მამლების" თავკაცი **ხუანდე რამოსი** შემადგენლობის გასაძლიერებლად ესპანეთის ბაზარს მიმართავს. სასურველი ფეხბურთელების სიაში პირველ და მეორე ადგილებზე "ესპანიოლის" ვარსკვლავები არიან. რამოსს მცველ **დანი ხარკისა** და მეკარე **კარლოს კამენის** შეძენა უნდა. ამ ფეხბურთელებს სხვა კლუბებიც ეპატიჟებიან. ხარკის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ესპანური გრანდები იჩენენ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. "ესპანიოლის" ხელმძღვანელობას "ტოტენჰემთან" შესაძლო გარიგების თაობაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

## სპარტაკის ვარსკვლავები ევროპელთა ყურადღების ცენტრში

მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველმა **ვლადიმირ ბისტროვმა** ინგლისური კლუბების ყურადღება მიიპყრო. რუსეთის ნაკრების 24 წლის ფეხბურთელით "ტოტენჰემი" და "ნიუკასლი" დაინტერესდნენ. ამ ინფორმაციას გაზეთი "სპორტ ექსპრესი" ავრცელებს. "ტოტენჰემს" ბისტროვის შეძენა გასულ ზაფხულსაც სურდა. მაშინ ლონდონელთა მთავარი მწვრთნელი ჰოლანდიელი **მარტინ იოლი** იყო. "სპარტაკმა" "მამლებს" ფეხბურთელის დათმობაზე კატეგორიული უარი განუცხადა. ამჯერად ინგლისელები მზად არიან, 10 მილიონი ევრო გადაიხადონ. ერთი დღით ადრე გავრცელდა ცნობა "სპარტაკის" კიდევ ერთი ფეხბურთელით, **რომან პავლიუჩენკოთი** "რეალის" დაინტერესების თაობაზე. ამ ბიჭს "მანჩესტერ სიტიც" ეპატიჟება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

## ვინ გაწვრთნის ნიგერიას?

ნიგერიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად, შეიძლება, **დანიელ ამოკაჩი** დაინიშნოს. გულშემატკივარს ეს ფეხბურთელი 1994 წლის მუნდიალიდან უნდა ახსოვდეს. ამოკაჩი "ევერტონის" ყოფილი თავდამსხმელია. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ დანიელმა მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. ამჟამად ის ნიგერიის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, "ნასარავა იუნაიტედის" დამრიგებელია. ნიგერიელები კიდევ ერთ კანდიდატურას განიხილავენ. საუბარია ტოგოს ნაკრების ყოფილ თავკაც **სტივენ კეშიზე**. მის სახელსაც უკავშირდება ამ აფრიკული ქვეყნის 2006 წლის მუნდიალზე გაყვანა. კეში ნიგერიელებს ათი წლის წინ ავარჯიშებდა.

ინტერვიუ ესტებან კამბიასოსთან

# მაკელელეები ისე მოდიან და მიდიან, ვერავინ ამჩნევს

## არგენტინელი ნახევარმცველი იმაზე წუხს, რომ თანამედროვე ფეხბურთში მხოლოდ ფორვარდებს აღმერთებენ...

**ესტებან კამბიასო** რამდენიმე სეზონის განმავლობაში მადრიდის "რეალის" ღირსებას იცავდა. ესპანელი ჟურნალისტები პრიმერა დივიზიონის გუნდების ყოფილ ფეხბურთელებს არასოდეს ივიწყებენ. გამონაკლისი "ინტერის" არგენტინელი ნახევარმცველიც არ აღმოჩნდა. გუშინ კამბიასოს "დიარიო ასის" კორესპონდენტი მარკო რუისი შეხვდა და ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა.



ესტებან კამბიასო

**- როგორ ფიქრობთ, შესწევს "ინტერს" იმის უნარი, რომ "ლივერპულთან" ორბურთიანი ჩამორჩენა ამოქაჩოს და ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გავიდეს?**

- "ინტერს" ნამდვილად გააჩნია საამისო პოტენციალი, თუმცა მდგომარეობის სირთულეს, რა თქმა უნდა, კარგად ვაცნობიერებთ. საკუთარი თავის მოტყუებას არავინ აპირებს. "ენფილდზე" ერთი გოლი მაინც რომ გაგვეტანა, ყველაფერი უკეთ იქნებოდა. ჩვენ 0:2 წავაგეთ და ახლა უკიდურესად რთული ამოცანის წინაშე ვიმყოფებით. მიუხედავად ყველაფრისა, მიმაჩნია, რომ "სან სიროზე" 90 წუთში 2:0 მოგება უტოპია სულაც არ არის. ამ შემთხვევაში დამატებითი დრო დაინიშნება და ის გაიმარჯვებს, ვისაც მეტად გაუმართლებს. მთავარია, "ლივერპულს" გოლის გატანის საშუალება აღარ მივცეთ. ინგლისელები მილანშიც თუ გაგვიტანენ, ალბათ, ყველაფერი დასრულდება.

**- დამეთანხმებით, "ლივერპული" აღარ არის ის გუნდი, რომელმაც "მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაამარცხა...**

- არ მგონია, "წითელი ეშმაკები" მას შემდეგ დასუსტებულიყვნენ. "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის ფინალში შარშანაც გავიდა. ეს ძალიან ბევრ ფაქტზე მეტყველებს. არ ვიცი რატომ, მაგრამ უდავოა, რომ ეს გუნდი ჩემპიონთა ლიგაში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, ვიდრე პრემიერლიგაში. ინგლისის პირველობაზე მათ სტაბილურობას ვერა და ვერ მიაღწიეს. აი, ჩემპიონთა ლიგაში კი ყველაფერი პირიქითაა. "ლივერპული" მუდამ სტაბილურად ასპარეზობს.

**- აბსოლუტურად გეთანხმებით. სხვათა შორის, "ლივერპულისგან" განსხვავებით, "ინტერს" ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით თამაშის გამოცდილება არ გააჩნია. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტი ბრიტანელთა კიდევ ერთ უპირატესობად უნდა მივიჩნიოთ?**

- რა თქმა უნდა, რთული გზის გავლა იმას უფრო უადვილდება, ვისაც ეს გზა მანამდე ათასჯერ აქვს გავლილი. დასამალი არ არის, რომ "ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გაცილებით დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ინტერიც" საკმაოდ ძლიერი გუნდია. "ნერაძური" მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდია. ვინც ანგარიშს არ გაგვიწევს, სასტიკად დაისჯება. სამწუხაროდ, "ლივერპულის" ფეხბურთელებმა ეს ძალიან კარგად იციან (იცინის).

**- "ინტერი" დაარსებიდან საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავს. ამის გათვალისწინებით ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნას ფიასკოდ შეაფასებთ?**

- ბოლო ორი სკუდეტო "ინტერმა" მოიპოვა. მესამე ტიტულამდე ერთი ნაბიჯი გვაშორებს. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა საუკუნოვან იუბილეს გააფერმკრთალებს. გუნდი აშკარად აღმავალი გზით მიდის. ცხოვრება წელს არ სრულდება. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შანსი ბევრჯერ მოგვეცემა. ჩვენ ძალიან დიდი სერიოზულობით ვეკიდებით ამ ტურნირს, რადგან მუნდიალის შემდეგ ის ყველაზე კარგად ორგანიზებული და ვნებით აღსავსე შეჯიბრია.

**- "ინტერის" ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელი ხართ. საინტერესოა, რა შეიცვალა თქვენში?**

- მაგიური ტრანსფორმაციის არ მჯერა. მე ისევ ის ფეხბურთელი ვარ, რომელიც "რეალში" თამაშობდა, თუმცა იმის თქმაც შემიძლია, რომ ყოველდღიურად ვპროგრესირებ. ფსიქოლოგიურად ახლა გაცილებით უფრო ძლიერი ვარ. ეს ფაქტი მარტივი მიზეზითაა განპირობებული. "ინტერში" უსიტყვოდ მენდობიან და უდიდეს პატივს მცემენ. მაგრძნობინეს, რომ დაფასებული მოთამაშე ვარ. მეც ყველაფერს ვაკეთებ, რაც შემიძლია. თავს "რეალშიც" არ ვზოგავდი, მაგრამ მადრიდში სხვანაირად მეპყრობოდნენ. "ინტერში" ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ვთამაშობ. სხვა არაფერი მჭირდება. იმედია, წარმატებები მოკლევადიანი არ აღმოჩნდება (იცინის).

**- იტალიურ ფეხბურთთან შეგუება არ გაგიჭირდათ? კალჩო ხომ ზედმეტად ტაქტიკური და რთული მოვლენაა?**

- ტაქტიკა და ფეხბურთი განუყოფელია. არ არსებობს მაღალი დონის გუნდი, რომელიც სწორი ტაქტიკის გარეშე არსებობს. ჩემი ამპლუიდან გამომდინარე მიყვარს თამაშის გაანალიზება, ტაქტიკური მონახაზების გაშიფვრა და დასკვნების გამოტანა. თავდამსხმელი, ფაქტობრივად, დაუფიქრებლად, ინსტინქტებით თამაშობს. ნახევარმცველმა კი მატჩის დინამიკა უნდა წარმართოს. თანაგუნდელებს ესა თუ ის სცენარი შესთავაზოს. მოკლედ, ნახევარმცველი ვალდებულია, თამაში წაიკითხოს და იმის მიხედვით იმოქმედოს, რას სთავაზობს მეტოქე. ფორვარდები ტაქტიკაზე ალბათ, ნაკლებად არიან დამოკიდებულები. მათ დრო არ აქვთ იმისთვის, რომ იფიქრონ. მოწინააღმდეგის საჯარიმოში წამის მეათედითაც რომ დააყოვნო, ბურთს წაგართმევენ. უნდა გითხრათ, რომ არგენტინასა და ესპანეთშიც ზუსტად იმავე სამუშაოს შესრულება მიხდებოდა, რომელსაც ახლა აქ, "ინტერში" ვასრულებ.

**- მოედნის მიღმაც ისეთივე ორგანიზებული და მოწესრიგებული ხართ, როგორც უშუალოდ მინდორზე?**

- დიახ. მრავალი ფეხბურთელისგან განსხვავებით, პირადი ცხოვრება დალაგებული და მოწესრიგებული მაქვს. ჩემისთანა ადამიანს ალბათ, პერფექციონისტი ჰქვია (იცინის). ვერ ვიტან, როცა კაცი ისე იქცევა, რომ ცხოვრებაში ხანძარი უჩნდება. არ ვიცი, რამდენად ხატოვანი შედარება გამომივიდა, თუმცა იმის თქმა მსურს, რომ არეულ-დარეული და ცეცხლით მოცული ცხოვრება არ მიტაცებს. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი პერფექციონისტიც ვერ შეძლებს, ყველაფერი დაგეგმოს და მოაწესრიგოს. მიუხედავად ამისა, ადამიანი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მშვიდი და არასკანდალური იყოს. მოკლედ, ვცდილობ, ფრთები არ დავიწვა (იცინის).

**- თქვენი ამპლუის გათვალისიწინებით საკმაოდ ბევრი გოლი გაგაქვთ. როგორ ახერხებთ ამას?**

- ვერ ვიტყვი, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მოთამაშე ვარ. გოლები ძირითადად მაშინ გამაქვს, როცა ან ვაგებთ, ან ფრეა. მოკლედ, როცა ძალიან გვჭირდება გოლი. ამ დროს მწვრთნელი მავალებს, წინ წავიდე და შევუტიო.

**- ჩემი აზრით, როცა წინ მიიწევთ და გოლის გატანას ცდილობთ, ყველაზე კარგად მაშინ მტკიცდება, რომ დიდი ნახევარმცველი ხართ...**

- დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. ჩვეულებრივ, საყრდენი ნახევარმცველი დაცვას უფრო ეხმარება ხოლმე. ეს არავის უკვირს, მაგრამ გაოცებას ვერ მალავენ, როცა ჩემი ამპლუის მოთამაშე წინ მიიწევს და შეტევას აძლიერებს. როგორც კი საჭიროება მოითხოვს და მწვრთნელი მანიშნებს, ვცდილობ წინ წავიწიო და ბიჭებს დახმარება აღმოვუჩინო. ამ დროს, დარწმუნებული უნდა იყო, რომ დაგაზღვევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდის ზურგს მოაშიშვლებ და უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდები. თუ უზადო ფიზიკური მომზადება არ გამოგარჩევს, ამხელა დატვირთვას ვერ გაუძლებ. შესაბამისად, საერთო საქმისთვის სრულიად გამოუსადეგარი გახდები. გარდა ამისა, ტექნიკაც უნდა გიწყობდეს ხელს. როცა წინ მიდიხარ, მეტოქე დაცვას უფრო მეტ რესურსს ახმარს. ასე რომ, ძალიან რთული სამუშაოს შესრულება გვიწევს. ეს ფაქტია და ნუ იფიქრებთ, რომ საკუთარ პერსონას ზედმეტ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**- არ გეჩვენებათ, რომ თანამედროვე ფეხბურთში გემოვნება შეიცვალა? ადრე საყრდენ ნახევარმცველებად ტექნიკურ ფეხბურთელებს ეძებდნენ. ახლა კი აფრიკულ კუნთებს ანიჭებენ უპირატესობას...**

- ყველაფერში წინდახედულებაა საჭირო. კლოდ მაკელელეც ამას ამბობს. "ჩელსის" ვარსკვლავი კი ის ნახევარმცველია, რომელიც ყველაზე მეტ ზუსტ გადაცემას აკეთებს. ბოლოდროინდელი ტენდენციების შეფასებაში აბსოლუტურად გეთანხმებით. ახლა არა იმდენად ნახევარმცველებს, არამედ კიდევ ერთ მცველს ეძებენ, რომელიც მოედნის შუაში იმოქმედებს. ალბათ, ამის ბრალია, რომ სანახაობრივი თამაშების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მცირდება. დღეს მთავარია, გოლი არ გაუშვა. მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა კი აშკარად მეორეხარისხოვანი საზრუნავია.

**- ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუნდი ექვსი ფეხბურთელით იცავს თავს, დანარჩენები კი ამ ექვს კაცს უმაგრებენ ზურგს...**

- ნაკრებებზე თუ ვიმსჯელებთ, ბრაზილია ყველაზე წარმატებული და ტიტულოვანია, ანუ პლანეტის საუკეთესო გუნდია. მგონი, სანახაობას მათ ვერავინ დაუწუნებს. ბრაზილიელები თითქმის ყოველთვის ორი საყრდენი ნახევარმცველით თამაშობდნენ. ძალიან კარგად მახსოვს, დუნგასა და მაურო სილვას ტანდემი. "სელესაომ" დაგვარწმუნა, რომ ორი საყრდენით ასპარეზობა ლამაზ ფეხბურთზე უარის თქმას სულაც არ ნიშნავს. მთავარია, როგორ მივუდგებით საკითხს.

**- მას შემდეგ, რაც "რეალი" დატოვეთ, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ სტაბილური საყრდენი ნახევარმცველი ვერა და ვერ იპოვნა. მეთანხმებით?**

- პროვოკაციაზე ვერ წამომაგებთ (იცინის). არასოდეს ვიტყვი, რომ "რეალი" ჩემი გაყიდვის გამო დაისაჯა. სამეფო კლუბი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ჩემ კარიერაში. პირობას ვდებ, მადრიდული გრანდის ხელმძღვანელები ვერასოდეს გაიგებენ ესტებან კამბიასოს მიერ მათი გუნდის მისამართით გამოთქმულ კრიტიკულ სიტყვებს.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს ფერნანდო გაგო "რეალისთვის" ახალი რედონდო გახდეს?**

- რედონდო უნიკალური ფეხბურთელია. მისი დონის მოთამაშე არა თუ "რეალში", არამედ მთელ მსოფლიოში არ მოიძებნება. სწორედ რედონდოს გავლენით გავხდი საყრდენი ნახევარმცველი. "ბერნაბეუზე" მან უდიდესი ეპოქა შექმნა. შემდეგ სამეფო კლუბში ერთი გენიალური ბიჭი მივიდა. ბიჭი, რომელსაც არც გრძელი და გალაქტული თმები ჰქონდა და არც მაღალი ყოფილა. მისი სახელი კლოდ მაკელელეა. ჩემი აზრით, ამ ადამიანმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია და "რეალის" ხელახლა დაბადებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, თუმცა მაკელელეები ისე მოდიან და მიდიან, ვერავინ ამჩნევს. იმ "რეალის" გმირებად ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, რაული და რონალდო მიიჩნეოდნენ. კლოდი კი არავის ახსოვდა. ეს უდიდესი უსამართლობაა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მაკელელეს გარეშე ის თაობა იმ წარმატების მეათედსაც ვერ მიაღწევდა.

**- გაგოზე არაფერი გითქვამთ...**

- ის დიდი ფეხბურთელია, მაგრამ პარალელის გავლებას მიზნობრივად ავარიდე თავი. ყოველ ადამიანს საკუთარი ბედი და ცხოვრება აქვს. გაგომ ჯერ კიდევ "ბოკა ხუნიორსში" გაითქვა სახელი. არგენტინის ნაკრებშიც წარმატებით თამაშობს. "რეალს" ის აუცილებლად გამოადგება.

**- "ინტერზე" კიდევ რას მეტყვით?**

- ჩვენ კომპაქტური გუნდი გვყავს. ლივერპულში მატერაცის გაძევების შემდეგ დავამტკიცეთ, რომ კაცნაკლულებსაც შეგვიძლია ღირსეულად თამაში. სამწუხაროდ, ბოლოს არ გაგვიმართლა და წავაგეთ. მიუხედავად ამისა, ვერავინ იტყვის, რომ მარცხი "ინტერის" შეცდომებმა განაპირობა. ეს უფრო უიღბლობის ბრალი იყო. ჩვენი ღირსება მკაფიო იდეები და ძლიერი შემადგენლობაა. ყოველთვის ზუსტად ვიცით, როდის რა უნდა გავაკეთოთ. მჯერა, მომავალში კიდევ უფრო დიდი წარმატებები გველის. სამ სკუდეტოს ნამდვილად არ დავჯერდებით...

**- სამს?**

- წამომცდა (იცინის)... თუმცა პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ პირველობას ვერავინ შეგვეცილება.

**- თქვენი აღფრთოვანება სრულიად გასაგებია. ამ გუნდში კარგად გეპყრობიან, გაფასებენ და ძალიან ბედნიერად გრძნობთ თავს. იმ ბრალდებაზე რას გვეტყვით, რომელიც "ინტერის" მიერ უსახური ფეხბურთის პროპაგანდას შეეხება?**

- არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. "ინტერი" მშობლიურ ენაზე საუბრობს, ანუ იტალიურ ფეხბურთს თამაშობს. შესაძლოა, ვინმეს ეს სტილი არ მოსწონდეს, მაგრამ დიდი სისულელეა იმის თქმა, რომ იტალიური ფეხბურთი უსახურია. სილამაზის მთავარი ხიბლი ხომ მრავალფეროვნებაშია.

**- ბერნდ შუსტერის "რეალზე" რას გვეტყვით?**

- ვფიქრობ, სამეფო კლუბის გამოცოცხლება ფაბიო კაპელოს სახელს უკავშირდება. ამ ადამიანმა რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ მადრიდელებს საჩემპიონო ტიტული მოუტანა. ჩემი აზრით, ამით ფეხბურთელებმა კომპლექსი მოიხსნეს და ლაღად ათამაშდნენ.

**- მადრიდში ძალიან ახალგაზრდა, 15 წლისა ჩახვედით. გვითხარით, როგორი მოგონებები შემოგინახათ იმ დრომ?**

- მხოლოდ ის რომ ვთქვა, ოცნება ამისრულდა-მეთქი ძალიან უმადური ვიქნები (იცინის). თითქოს ულამაზეს ზღაპარში ამოვყავი თავი. პრეტემპორადა ძირითად გუნდთან ერთად ჩავატარე. წარმოგიდგენიათ? ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, მაგრამ ფაბიო კაპელო მწვრთნიდა. ხელმძღვანელობამ პედია მიატოვიჩი შეიძინა. გარდა ამისა, ჩემი თანაგუნდელები შუკერი, ზეედორფი, პანუჩი და კიდევ უამრავი ვარსკვლავი იყო.

**- 15 წლის ბიჭი "რეალში" როგორ აღმოჩნდით?**

- ბავშვობაში "აიაქსის" საყმაწვილო გუნდი მიწვევდა, მაგრამ ამსტერდამში არ წავედი. ჰოლანდიელებმა ჩემი მშობლების დაფინანსება და ჩემთან ერთად გამგზავრება არ ისურვეს. ამ დროს "რეალის" შეთავაზება მივიღეთ. "აიაქსი" მიხვდა, რომ მკარგავდა და ზღაპრული პირობებით მომმართეს, მაგრამ უკვე გვიან იყო (იცინის). სამეფო კლუბს, რა თქმა უნდა, არაფერზე გავცვლიდი.

**- მენოტიმ "ინდეპენდიენტეში" იმის მიუხედავად წაგიყვანათ, რომ "რეალის" სათადარიგო გუნდშიც კი იშვიათად გიწევდათ თამაში...**

- არგენტინის ახალგაზრდულ ნაკრებებში ჩემს თანატოლებთან მუდმივი კონტაქტი მქონდა. ვხედავდი, რომ ისინი არგენტინის პრიმერა დივიზიონის გუნდებში თამაშობდნენ, მე კი ფაქტობრივად, უსაქმოდ ვიყავი. "რეალის" ხელმძღვანელებს ვთხოვე, არგენტინაში გავენათხოვრებინე, მაგრამ ეს წინადადება მაშინ კაპრიზად აღიქვეს. სრულიად ახალგაზრდას შიში გამიჩნდა, რომ ფეხბურთის თამაშს ველარ გავაგრძელებდი. სწორედ ამ დროს მენოტი დამიკავშირდა და "ინდეპენდიენტეში" გადაბარგება შემომთავაზა. მან დაარწმუნა მადრიდელები, რომ იჯარის წესით არგენტინაში თამაში ძალიან წაადგებოდა. ჰიდინკს პირობა მისცა, რომ სისტემატურად მიაწვდიდა ინფორმაციებს ჩემი ზრდისა და წინსვლის შესახებ. ბოლოს დათანხმდნენ და სამშობლოში დავბრუნდი. მოგვიანებით, სამეფო კლუბმა ისევ მიხმო.

**- საბოლოოდ, რატომ გაგყიდათ "რეალმა?**

- ეგრეთ წოდებული, ზიდანებისა და პავონების პროექტში ვერ ჩავჯექი. არც ზიდანი გახლდით და ბაზარზე პავონივით იაფიც არ ვღირდი (იცინის). მოკლედ, საშუალო დონის მოთამაშე ვიყავი. ძირითადში ადგილი ვერ გამომინახეს და გადაწყვიტეს, ფული გაეკეთებინათ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანო

# საფეხბურთო ისტორიები

*(დასაწყისი №41)*

## ბრაზილია: მთელს მსოფლიოში მიმოზნეული ვარსკვლავები

### კიდევ ერთი რონალდო

იმის გამო, რომ ბრაზილიის ნაკრებში ერთი თაობის ორი მოთამაშის სახელი ერთმანეთს დაემთხვა, უმცროსს ოფიციალურად **რონალდინიო** ეწოდა. საერთოდ, სახელების ან გვარების დამთხვევას ჩვენ ხშირად ვხვდებით ხოლმე. ასე მაგალითად, არგენტინაში ყოველი მესამეს გვარი **დიასია** და მათ ერთმანეთისგან მხოლოდ მეტსახელებით არჩევდნენ. ესპანეთში თამაშობდა panadero დიასი, არგენტინის ნაკრებში pelado დიასი. ჩემთან სამშობლოში ბურთს აგორებდა ერთი დიასი, მეტსახელად viento y tierra (ქარი და მიწა), მაგრამ მას ეს სახელი მეტწილად ირონიით მისცეს, რადგან სინამდვილეში, დიასებიდან ის ყველაზე უარესი იყო.

დავანებოთ თავი დიასებს და **რონალდოს** დავუბრუნდეთ, უფრო სწორად, რონალდინიოს - არანორმალური სისწრაფის მქონე ფორვარდს, ძალიან მოქნილსა და კარგი გაგებით, თავხედს. გოლი მას სისხლში აქვს. ამასთან დაკავშირებით, ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებზე მისი ორი მოქმედება დამამახსოვრდა, რომელიც უნდა შეიტანონ კლასიკური რეკომენდაციების ილუსტრირებულ სახელმძღვანელოში. პირველი რეკომენდაცია, რომელიც გვასწავლის: *"რაც უფრო ახლოა მეკარე, მით უფრო შორს არის გოლი"*, და რონალდინიო გაურბის გოლკიპერთან მაქსიმალურად მიახლოებას. მეორე გაკვეთილი: *"დიდი ფეხბურთელები უპირატესობას ანიჭებენ მეორე ტემპით დარტყმას "*. რონალდინიო ამაში ნამდვილი ოსტატია: თავიდან გვაჩვენებს, რომ დარტყმას აპირებს, ხოლო როცა მეკარე რეაგირებს - ან წინ გამოდის და უკვე მინდორზეა გართხმული, ბურთს ბადეში უშვებს.

რონალდინიო 20 მილიონი ღირს. ბევრს შეიძლება ეს ფასი გადამეტებული ეჩვენოს, მაგრამ ის ეხმაურება ბაზრის ლოგიკას: არის ბევრი ისეთი კლუბი, რომელიც კარგი მოთამაშისთვის 15 მილიონ ევროს არ დაიშურებს, ისეთი კარგები კი, როგორიც რონალდინიოა, ბევრნი არ არიან. სახეზეა კაპიტალისტური სამართლიანობა.

### როზერტო კარლოსი

სამგზის მადლობა მას: როგორც მცველს, როგორც მოედნის ცენტრში ფლანგის მოთამაშესა და როგორც თავდამსხმელს. ჩვენ საქმე გვაქვს მარცხენა ფლანგის მასპინძელთან, უდიდესი დიაპაზონის მქონე უსწრაფეს ფეხბურთელთან. მისი მოძრაობა იწყება საკუთარი მოედნის პირითი ხაზიდან, სადაც ის ბურთის ართმევაში მონაწილეობს, და სრულდება მეტოქის კუთხურის ალამიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებით, დარტყმით ან ერთი და მეორეთი ერთდროულად.

**როზერტო კარლოსის** ღირსება, რომლის წყალობითაც ის წარმატებას აღწევს და ხშირად ზედმეტიც მოსდის - ძალაა. მისი სხეული - ტყვიაა, მისი ბურთი - ჭურვი. ის ისეთი ძალით ურტყამს, რომ ხანდახან შიშიც კი გიპყრობს. ზოგიერთ შემთხვევაში, თამაში ითხოვს უფრო ნაკლებად რადიკალური გადაწყვეტილება აირჩიო, უფრო დახვეწილი იყო, მაგრამ იმას, ვისაც გუნდის თამაშში და მთლიანად სპექტაკლში ასეთი უხვი წვლილი შეაქვს, შეუძლებელია აპლოდისმენტები არ მიუძღვნა.

### რივალდო

ეს არის მოედნის ხედვა, ტექნიკა, ჭკუა... მაშინ რატომ არ უყვართ **რივალდო** ისევე, როგორც რონალდო ან სხვა ვარსკვლავები? იმიტომ, რომ ის იშვიათად არის აგრესიული, ზოგავს სისწრაფეს, ძალასა და ტექნიკას. და თუ მაინც რთავს თამაშში ამ ელემენტებს, ამას რალაცნაირად ზანტად აკეთებს. თითქოს ისე მუშაობს, რომ მალე საწვავი გაუთავდებაო. ან ის იმ ჰიპნოზიორს ჰგავს, რომელსაც ჰგონია, რომ მაყურებელს თითის ერთი მოძრაობით დააძინებს. ზუსტად ასევე მუშაობს რივალდო ბურთთან და უკეთებს მას იმას, რაც მოესურვება.

რამდენჯერ მინახავს, რომ მის მიერ გაშვებული ბურთი პარტნიორის თავს პოულობს და კარისკენ მიფრინავს. ნუ მოტყუვდებით, ეს მის თანაგუნდელს არ გაუტანია გოლი, ეს რივალდომ აილო მეტოქის კარი ვილაცის თავის გამოყენებით. აი ნახავთ, ერთხელ ასეთივე გოლის გასატანად ის ჩვეულებრივი მაყურებლის თავსაც გამოიყენებს. *"როგორი გოლი გაიტანა ხუან პერესმა!"* - დაწერენ შემდეგ გაზეთები. სხვათა შორის, ჟურნალისტები ძალიან არ წყალობენ რივალდოს.

## არგენტინა: მარადონა და ყველა დანარჩენი

**დიეგო არმანდო მარადონა** - საპორტო გარეუბნის პირმშო, იქ სადაც სახლი - სილარიბეს ამტკიცებს, ქუჩა - ცელქობის სკოლაა, ფეხბურთი - ყველაზე კარგი და ხელმისაწვდომი გასართობი, ხოლო ბურთი - საშუალება დასცინო სილარიბეს. ძალიან მალე ბუენოს აირესში ქუჩური ფეხბურთის სპეციალისტები ესტაფეტის ჯოხივით გადასცემდნენ ერთმანეთს: *"არის ერთი ბიჭი, რომელსაც ბურთი მარცხენა ფეხზე აქვს მიწებებული"*.

15 წლის მარადონა თავის თავში აერთიანებდა ილუზიონისტის მოხერხებულობასა და თავხედურ სიგიჟეს. როცა მისი თანატოლები ჯერ კიდევ ოცნებოდნენ პროფესიონალები გამხდარიყვნენ, მას კლუბ "არხენტინოს ხუნიორსის" მაისურით დებიუტი ჰქონდა პირველ დივიზიონში. ზოგიერთები მას ღმერთის გამოგზავნილად მიიჩნევდნენ და თუ შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, იმედები არ უნდა გაუცრუო უფროსებს. მაგრამ ერთ უფროსს არ შერცხვა მიეყენებინა მისთვის მთელს შემდგომ კარიერაში იქნებ ყველაზე ძლიერი და დასანანი დარტყმა. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის წინ, რომელიც არა სადლაც სხვაგან, არამედ არგენტინაში ტარდებოდა, ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა **სესარ ლუის მენოტიმ** საწვრთნელ შეკრებაზე მარადონა 22-კაციან სიაში არ შეიყვანა.

მარადონას მსგავსად დაჩაგრულები - **ბოტანისი** და **ბრავო** შეკრებაზე დარჩნენ და გადაწყვიტეს, ორმხრივ თამაშებში მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ 17 წლის დიეგოსთვის ასეთი პირფერობა მიუღებელი იყო. ის კლუბში დაბრუნდა, მომდევნო ტურში სამი გოლი გაიტანა, მაგრამ მაინც ვერ დაივიწყა წყენა, მით უმეტეს, რომ მუნდიალი არგენტინელთა ტრიუმფით დასრულდა.

მომდევნო წელს, ის იუნიორებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. კიდევ ორი სეზონი "არხენტინოს ხუნიორსში" გაატარა, ოთხი წლის განმავლობაში 166 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 116 გოლი გაიტანა. შემდეგ ეროვნული ჩემპიონატი მოიგო "ბოკა ხუნიორსის" შემადგენლობაში (40 მატჩი, 28 გოლი) და ესპანეთში გაემგზავრა.

### ევროპის დაპყრობა

მე მასზე ზუსტად ხუთი წლით უფროსი ვარ, იმ პერიოდში ესპანეთში უკვე მიღებულ პიროვნებად ვითვლებოდი და კარგად მახსოვს მისი გამოჩენა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ "ბარსელონას" გულშემატკივრები. მას არანორმალური ტექნიკა გააჩნდა, ამას ემატებოდა კარგი ფიზიკური მონაცემები (მიუხედავად დაბალი სიმაღლისა) და აგრეთვე გიჟური ალმაფრენა. მიუხედავად ამისა, "ბარსასთან" ურთიერთობა არ აეწყო, სავალალოდ დასრულდა მისი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი 1982 წელს, იქვე ესპანეთში. წერდნენ იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა ტალანტი ჯერ ჩამოუყალიბებელი და ზედმეტად თავდაჯერებული იყო, ვერ შეძლო პარტნიორებთან საერთო ენის გამოძებნა. ასეა თუ ისე, მარადონას კვლავ ნაღვლიანი პერიოდი დაუდგა. აუცილებელი გახდა სიტუაციისა და კლიმატის შეცვლა. და მან იტალიის "ნაპოლის" წინადადება მიიღო.

"ნაპოლის" არაფრით გამორჩეული ისტორია (არცერთი სკუდეტო) თითქოს არ იმსახურებდა მის რიგებში ასეთი დონის ფეხბურთელის გამოჩენას. ლეგენდარული არგენტინელი **ენრიკე ომარ სივორი**, რომელმაც იტალია თავის მეორე სამშობლოდ აღიარა და ერთი პერიოდი "ნაპოლიშიც" ითამაშა, ტყუილად არ იხსენებდა თბილი სიტყვებით ამ გუნდს: *"ის კარგად თამაშობს, მაგრამ ვერაფერს იგებს, გარდა მაყურებლების სიმპათიისა. მარადონასთან ერთად, ყველაფერი სხვაგვარად უნდა იყოს"*.

და მართლაც, 70 ათასი ნეაპოლელი მას პლაკატებით დახვდა: "კეთილი იყოს შენი მობრძანება. ნეაპოლი სკუდეტოს ელოდება!" მარადონასა და "ნაპოლის" ერთი შეხედვით შეუყვარდათ ერთმანეთი. ქალაქმა ის გამარჯვების სიმბოლოდ აირჩია, დანარჩენი იტალია კი, მასზე, როგორც ჩამორჩენილი სამხრეთის სიმბოლოზე საუბრობდა. მართალია, ნეაპოლი იტალიაა, მაგრამ აფრიკასთან ახლოს მდებარეობს და მარადონაც ტიპიური აფრიკელია.



ხორხე ვალდანო

მაგრამ ძალიან მალე, ჩრდილოელები იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ, რომ მარადონასთან ხუმრობა არ შეიძლება. პირველი სეზონი - მე-8 ადგილი, მეორე - მე-3...

ამ დროს კი, 1986 წელს მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატიც მოახლოვდა. მსოფლიო კუმირს ეძებდა და ლათინოამერიკულ მიწაზე გამოჩნდა ბიჭი ბავშვის ან ანგელოზის სახითა და სხეულით, რომელიც ბურთს ჰგავდა. მარადონა გაჯადოებდა არა მარტო თავისი გახსნილობით, ხელმისაწვდომობითა და ირონიულობით (ის მზად იყო ეხუმრა თავის უარყოფით მხარეებზე). გაუტანა რა ინგლისელებს ენციკლოპედიური გოლი და არ შერცხვა "ღმერთის ხელი" ეწოდებინა თავისი კიდევ ერთი შედევრისთვის, მარადონა ყველამ ერთხმად აღიარა მუნდიალის მთავარ ფიგურად, საუკეთესოდ ყველა ჩემპიონს შორის, ყველაზე დიად ფეხბურთელად მსოფლიოში.

ნეაპოლში ის ღმერთად გამოაცხადეს. დიეგო აგრძელებდა ღმერთთან მეგობრობას - ორი სკუდეტო, იტალიის თასი, უეფას თასი. მარადონამ თავდაყირა დააყენა იტალიის საფეხბურთო რუქა და ამასთან, იტალიელებს ყოველწლიური სკანდალებითაც ანებივრებდა. მოედანზე საუკეთესო, ქუჩაში - ცუდი. პატარა ღმერთი დიდ ბიზნესად გადაიქცა. კვირის გარდა ყველა დღეს, ის პირს არ ხურავდა და საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა, კვირაობით კი, ასევე ყურადღების ცენტრში იყო, ოლონდ ფეხების მაგიური მუშაობის წყალობით. "მეამბოხე", "დიდი სკანდალისტი", სახიფათო პროვოკატორი", - მხოლოდ ჟურნალისტის თავშეუკავებლობას შეუძლია დააყენოს ფეხბურთელი თამაშზე წინ.

როცა "ნაპოლი" მის მიერვე ძლეულ ჩრდილოეთში გამოჩნდებოდა, იქ რასისტული ტიპის გამოხტომებსაც არ ივიწყებდნენ. "ჰიტლერ, შენ აქ სამუშაო გამოგიჩნდა!" ყველაზე უპრეტენზიო და უწყინარი ლოზუნგი ასე ჟღერდა: "ვეზუვი, მორჩი თვლემას!"

1990 წლის მუნდიალზე, იტალია და არგენტინა ნახევარფინალში დაეტაკნენ ერთმანეთს. და თანაც სად, ვულკანივით მძვინვარე ნეაპოლში. მოგვიანებით მარადონა იტყვის: *"გადამწყვეტ მომენტში, ქვეყანამ ნეაპოლს დახმარებისთვის მიმართა, არადა, წელიწადის დანარჩენ 364 დღეს, ვერ ამჩნევდა მას"*. მატჩის ბედი პენალტების სერიაში გადაწყდა და მარადონამ ბოლო, გადამწყვეტი 11-მეტრიანი გაიტანა. მაგრამ ქალაქმა, რომელსაც მან მთელს მსოფლიოში გაუთქვა სახელი, დიეგოს ზურგი აქცია. *"დიეგო, ნეაპოლს უყვარხარ, მაგრამ სამშობლო უფრო ძვირფასია"*, - ეწერა პლაკატებზე. მაშინ, რა უნდა ვთქვათ სხვა ქალაქებზე! *"მილანს ეზიზლები"*, *"მარადონა - ძუკნა"* - არ ერიდებოდათ ასეთი სათაურების გამოქვეყნება გაზეთებს. ვნებათაღელვა ოდნავ ჩაცხრა, როცა არგენტინელებმა ფინალში გერმანელებთან წააგეს. ტრიუმფატორი გახდა ღმერთი, რომლის ადგილი არ იყო ცაში, ხოლო კონტრაქტის მიხედვით, ნეაპოლში კიდევ სამწლიანი ცხოვრება იყო გათვალისწინებული. ნერვებმა ვერ გაუძლეს, ის ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ცუდად გრძნობდა თავს იტალიაში და ამიტომაც ესპანეთში დაბრუნდა, მხოლოდ ერთი წლით, რათა შემდეგ როსარიოში გადასულიყო, იმ "ნიუელს ოლდ ბოისში", სადაც მე ვიწყებდი კარიერას.

*(გაგრძელება იქნება)*



რონალდინიო და რივალდო



მარადონა ღმერთივით იყო



ინგა ჭარხალაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

# თეთრები იწყებენ და... აგებენ

საქართველოს ქალთა 65-ე ჩემპიონატმა სტარტი მშვიდად კი აიღო, მაგრამ საჭადრაკო ბატალიების მხრივ კარგა გვარიანი შეხლა-შემოხლათა მხილველნი გავხდებით. პირველმა ტურმა ამ მხრივ საკმარისად კარგი სანახაობა გვაჩუქა - ლიდერთა ნაწილმა ქულები დაკარგა, **ნინო ხურციძემ** [illegible]ლაც ნააგო, არადა, თეთრებით თამაშობდა.

მისი მეტოქე იყო **ინგა ჭარხალაშვილი**, რომელიც თავადაც ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა, მაგრამ ხურციძეს და კიდევ რამდენიმე მონაწილეს რეიტინგით საკმაოდ ჩამორჩება... საერთოდაც, ინგა ხურციძისთვის უხერხული მეტოქეა - ურთიერთშეხვედრების ბალანსი თანაბარი აქვთ - შარშანდელ ჩემპიონატზე ხურციძემ იმარჯვა, წელს რევანში შედგა, რამდენჯერმე კი ქულები გაიყვეს. ჭარხალაშვილის გამარჯვება სენსაცია არ არის, მაგრამ ძალიან სწრაფად, ორიოდ საათში იმარჯვა და შავი ფერით შეხვედრის ფავორიტის დამარცხება, ნამდვილად მოულოდნელი იყო.

დიდ ინტერესს იწვევდა **ქეთი ნანალაშვილისა** და **სოფიკო გურამიშვილის** დებიუტი - ცხადია, საჭადრაკო პარტიის დებიუტს არ ვგულისხმობთ - ესენი ახალბედები არიან, უმაღლეს ლიგაში პირველად ასპარეზობენ და რამდენად შეძლებდნენ სასტარტო მღელვარების დაძლევას. გურამიშვილი თეთრებით **მაია ლომინეიშვილს** ხვდებოდა, ნანალაშვილი კი შავებით **სოფიკო ხუხაშვილის** შეტევებს უნდა გამკლავებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ქეთიმ ამოცანა ფრიადზე ამოხსნა, - ხუხაშვილის იერიშებს ალღო აუღო და თუმც ოდნავ უარესი პოზიცია მიიღო დებიუტის შემდეგ, შეძლო საკუთარი მეფის უსაფრთხოების დაცვა და ყაიმს მიაღწია. გურამიშვილს არ გაუმართლა: თავიდან ნორმალური პოზიცია მიიღო, მაგრამ შუა თამაშში პასიურად ითამაშა, მეტოქეს ტემპი დაუთმო და უპირატესობაც გადააბარა. ლომინეიშვილს კი შეტევა კარგად ეხერხება და შესაბამისადაც გამოიყენა შანსი, - თეთრების მეფე დაამათა.

თეთრებით მოთამაშეებს გუშინ ბედი არ სწყალობათ: **ბელა ხოტენაშვილმა ნანა ძაგნიძესთან** ნააგო, **სოფიო გვეტაძემ** კი **სალომე მელიასთან** ვერაფერი გააწყო. ორივე პარტია საინტერესოდ წარიმართა, იმ განსხვავებით, რომ ძაგნიძემ უკეთ გაითამაშა დებიუტი და მოპოვებული უპირატესობის რეალიზება მოახერხა, გვეტაძემ კი სადებიუტო პრობლემების მოგვარების შემდეგ შეცდომა შუა თამაშში დაუშვა...

ერთადერთი, ვინც თეთრი ფერით წარმატებას მიაღწია, **სოფიკო ტერელაძეა** - მან **სოფიო ნიკოლაძე** დაამარცხა: დიდი ხნის მეგობრების შეხვედრას ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ტერელაძე ფეხმძიმე თამაშობს, არადა, ასეთ ვითარებაში ასპარეზობა ნიკოლაძისთვის ლამის "ნორმად" იქცა - ხუთი შვილის დედაა და, როგორც წესი, შეჯიბრებებს თავს არ არიდებდა! როგორც ჩანს, დადებითი ემოციებით დატვირთულმა ტერლაძემ ალმაფრენა იგრძნო და საკმაოდ ლამაზადაც გაიმარჯვა.

ალსანიშნავია მესამე დაფაზე მიმდინარე დაპირისპირებაც, სადაც **ინგა ხურცილავა** თეთრებით **ნინო ბაციაშვილს** ხვდებოდა. მოგეხსენებათ, ბაციაშვილმა უმაღლესში თამაშის უფლება **ანა მათნაძის** უარის შემდეგ მიიღო. როგორც ხშირად სპორტში ხდება, მოულოდნელი საჩუქარი წარმატების წინაპირობად იქცევა, რაშიც ისევ და ისევ ემოციური ფაქტორია განმსაზღვრელი. მართალია, ხურცილავა ახლახან დაუბრუნდა ჭადრაკს, მაგრამ საჭადრაკო ძალა მაინც შერჩენილი აქვს და პრაქტიკაც ნორმალური მიილო - შესარჩევი გაიარა. ფავორიტად ალბათ მაინც ინგა მიიჩნეოდა, მაგრამ ნინომ არ დაანება მეტოქეს და უპირატესობას თავად დაეუფლა. შუა თამაშში პაიკითაც დაწინაურდა, რაც თეთრებს კარგს არაფერს უქადდა. ხურცილავა დაცვაზე გადაერთო და ძნელად, მაგრამ ნახევარი ქულის გადარჩენა მაინც შეძლო.

მეორე ტურში შემდეგი წყვილებია: **მაია ლომინეიშვილი-ინგა ჭარხალაშვილი, სალმოე მელია-ნინო ხურციძე, სოფიო ნიკოლაძე-სოფიო გვეტაძე, ქეთი ნანალაშვილი-სოფიკო ტერელაძე, ნინო ბაციაშვილი-სოფიკო ხუხაშვილი, ნანა ძაგნიძე-ინგა ხურცილავა, სოფიკო გურამიშვილი-ბელა ხოტენაშვილი.**

**ზვიად შათირიშვილი**



ინტერვიუ მერაბ კვირიკაშვილთან

# ახალ მწვრთნელი და ახალი იმედები

საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებების შეხვედრის წინ წინასწარ განაცხადში საფრანგეთის "პოს" 10 ნომერი მერაბ კვირიკაშვილიც იყო, თუმცა ბოლო მომენტში შეიცვალა. მეკოს არც თავისი კლუბის შემადგენლობაში არ უთამაშია. კვირიკაშვილის საკლუბო პრობლემებზე უკვე ვწერდით, მაგრამ ბოლო მოვლენები იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ საქმე მოგვარდება.



მერაბ კვირიკაშვილი

- პარადოქსული ამბავი მოხდა. უკანა ხაზის მწვრთნელი დამპირდა ნაკრებში არ ნახვიდე, გვჭირდები, უნდა გათამაშოო. ნაკრების მწვრთნელებს ეს ვაცნობე და ვთხოვე, ამჯერად ნუ გამომიძახებდნენ. მაგრამ ბედის ირონიაა - მეორე დღეს კლუბის პრეზიდენტმა ეს მწვრთნელი თანამდებობიდან გაათავისუფლა, მთავარმა მწვრთნელმა კი წინა მატჩში ნათამაშები შემადგენლობა არ შეცვალა და ასე დავრჩი ამჯერადაც უთამაშებელი.

**- მის ნაცვლად ალბათ ახალს დანიშნავდნენ. მასთან თუ გქონდათ საუბარი?**

- ახალი მწვრთნელი ჩვენი ყოფილი გუნდელი კონრად სტოლსია. ის ანრი ბრონკანის ასისტენტის უმცროსი ძმაა. ადრე "აჟენში" თამაშობდა. კარგი მორაგბე იყო და სპეციალიტიც კარგია. მითხრა, აუცილებლად გათამაშებო, ნელ-ნელა ძირითადშიც შეიძლება ადგილი დაიმკვიდროო. შაბათს გასვლითი თამაში გვაქვს ლიონში და გუნდთან ერთად მივდივარ. ძირითადში ვითამაშებ თუ თადარიგში ვიქნები ჯერ არ ვიცი.

**- ბოლოსდაბოლოს, ან უკვე ყოფილი მწვრთნელი რას გერჩოდათ?**

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ერთი კია კაცი ყველანაირად ცდილობდა დავეძირე. მისი ყველა ქმედება პირდაპირ ამისკენ იყო მიმართული. ეს ფსიქოლოგიურად ძალიან დამთგრუნველია.

**- სხვა გუნდში გადასვლაზე ხომ არ დაგიწყიათ ფიქრი?**

- ერთი კვირის მერე კლუბის მენეჯერს უნდა შევხვდე. რასაც მეტყვის, იქიდან გამომდინარე მივილებ გადაწყვეტილებას. თუ დარჩენას შემომთავაზებენ, ალბათ დავრჩები. თუ არადა სხვა გუნდს მოვძებნი.

**- რაიმე შემოთავაზება თუ გაქვთ?**

- ფედერალ 1-ის გუნდებიდან რამდენიც გნებავთ იმდენია. მაგრამ მე იქ წამსვლელი არ ვარ. მირჩევნია აქ ვიყო ამ პირობებში, თუნდაც უთამაშებელი, ვიდრე იმ დონეზე დავბრუნდე. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ მენეჯერთან ამ თემაზე ჯერ არ მილაპარაკია. თუ ისე განვითარდა მოვლენები, რომ გუნდის დატოვება მომიწია, მაშინ აუცილებლად ელიტარულ დივიზიონებში შეეცდება გუნდის მოძებნას.

**- ეს გაურკვევლობა ხელს ხომ არ შეგიშლით ნაკრების დარჩენილ შეხვედრებში?**

-ახალ მწვრთნელს უკვე ველაპარაკე ამის თაობაზე. სხვათა შორის, ინიციატივა მან გამოიჩინა. მითხრა, ნაკრებში თამაში თუ გინდა, ჩვენ უფლება არ გვაქვს ხელი შეგიშალოთო, მაგრამ გუნდსაც ძალიან უჭირს და შენი დახმარება საჭირო იქნებაო. მე ვუთხარი თუ კლუბში რეგულარულად მომცემთ თამაშის საშუალებას, შევხედავ და მერე დავსხდეთ, მოვილაპარაკოთ-მეთქი. თუმცა თავშივე ვუთხარი, აპრილში რუსეთთან გვაქვს ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში და ამ მატჩში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მივილო! მით უფრო, რომ საფრანგეთში მოთამაშე ნაკრების ყველა მოთამაშე ამ შეხვედრისთვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სპორტული ტენდენციები

# მოსკოვი, ევროპა, საფრანგეთი და პეკინი

ილია გიორგაძე ყველაზე გამოცდილი სპორტსმენი იქნება, რომელიც პეკინში საქართველოს ოლიმპიურ გუნდში იასპარეზებს. ილიამ შარშან თავისი მეოთხე ოლიმპიადის საგზური მოიპოვა.

როგორც საქართველოს სპორტული სტილით ტანმოვარჯიშეთა ნაკრების მწვრთნელმა ბესიკ გამსახურდიამ გვითხრა, ილია გიორგაძე პეკინის ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ დროში, საზღვარგარეთ მოემზადება.

- ილია ამჟამად მოსკოვში იმყოფება და იქ ვარჯიშობს. 19 აპრილიდან 4 მაისამდე, შვეიცარიაში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, სადაც გიორგაძე და ახალგაზრდა პაატა ნოზაძე იასპარეზებენ. ისინი კონტინენტის პირველობისთვის მოსამზადებელ შეკრებას საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გაივლიან ნაკრების მთავარ მწვრთნელ ამირან ბერიანიძის ხელმძღვანელობით.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ილია თავის ფრანგულ კლუბ "ლილს" მიაშურებს, საიდანაც 26 მაისს ისევ მოსკოვში დაბრუნდება. 27-31 მაისს, რუსეთის დედაქალაქი მსოფლიო თასს უმასპინძლებს, სადაც გიორგაძეც გამოვა.

**- დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ მოსამზადებელ ეტაპს. სად გაივლის მას გიორგაძე?**

- რაც შეეხება დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს, ჩვენი სურვილია, რომ იგი რუსეთში გაიაროს. როგორც შევიტყვეთ, 10-დან 29 ივლისამდე, რუსეთის ნაკრები ჩინეთის საზღვართან ახლოს გაივლის შეკრებას. რუსებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, რომ გიორგაძე მათ გუნდთან ერთად მოემზადოს. ეს საკითხი საბოლოოდ მოსკოვის მსოფლიო თასზე გადაწყდება.

**- ილია უკვე 30 წლისაა. ასაკიდან გამომდინარე, რა შედეგს უნდა ველოდეთ მისგან პეკინის ოლიმპიადაზე?**

- რა თქმა უნდა, წლები თავისას შვრება, მაგრამ სამაგიეროდ, ეს გამოცდილების მატებაცაა. ილია ცოტა არ იყოს, უილბლო სპორტსმენია. წინა სამ ოლიმპიადაზე ნამდვილად შეეძლო მაღალი შედეგების ჩვენება, მაგრამ სულ მცირე რაღაც აკლდებოდა. ფინალში წესით ახლაც უნდა გავიდეს, ფინალში კი ყველაფერი ხდება...

**კობა ხატისაშვილი**

ანტიკური ჭიდაობა

მსოფლიო თასი

# დღეს ბრინჯაოსთვის იჭიდავებენ

**გუშინ უნგრულ სომბათჰეიში, "არენა სავარიაში" "ანტიკოსთა" მსოფლიო თასის გათამაშება დაიწყო, თუმცა ჩვენებისთვის არცთუ წარმატებულად - საქართველოს ნაკრები მხოლოდ ბრინჯაოსთვის იბრძოლებს.**

ჩვენები რუსებთან და კორეელებთან ერთად მოხვდნენ ქვეჯგუფში და პირველი ბრძოლა სწორედ რუსებთან გამართეს. ცხადია, ჩვენებისთვის უმთავრესი მეტოქეები რუსები იყვნენ და ძირითადი ბრძოლაც მათთან ელოდათ, მაგრამ ასეთ საპასუხისმგებლო შეხვედრაში რატომღაც ბეგი დარჩიამ ახალგაზრდები დააყენა. ჩანს, მწვრთნელი ამ ტურნირს უფრო ახალგაზრდების გამოსაცდელად იყენებს და შედეგზე ნაკლებად ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, რუსებმა 5:2 მოიგეს. ჩვენებიდან მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონმა **დავით ბედინაძემ** (60) და **შმაგი გულიაშვილმა** (74) მოიგეს - პირველმა **ისლამბეკ ალბიევი** დაამარცხა, მეორემ კი თვით მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონი **ვარტარეს სამურგაშევი**. სხვა ჩვენებურებმა წააგეს - **ლაშა გოგიტაძემ** (55) - **ნაზირ მანკიევთან, მუხრან მაჭუტაძემ** (66) - **სერგეი კოვალენკოსთან, ვლადიმერ გეგეშიძემ** (84) - **ოლეგ შოკალოვთან, გივი მორჩილაძემ** (96) - **ასლანბეკ ხუშტოვთან, გურამ ფერსელიძემ** (120) - **ხასან ბაროევთან**.

კორეელებთან შეხვედრაც მარცხით დავიწყეთ - გოგიტაძემ მეორე ბრძოლაც წააგო. ამჯერად **კიმ სანგ-ლისთან**. სამაგიეროდ, ბედინაძემ მეორეც მოიგო - **პარკ ეუნ-ჩოლთან** და ანგარიშიც გათანაბრდა. ამის შემდეგ კორეელთა ჯერი დადგა, რომლებმაც ორი ბრძოლა მოიგეს - მაჭუტაძემ **იუნგ ჯიჰუნთან** დამარცხდა, გულიაშვილმა კი ამჯერად ვერ იყოჩალა და **პარკ ჯინსუნგთან** წააგო. ამდენად, გუნდური ანგარიში 3:1 გახდა კორეელთა სასარგებლოდ. მდგომარეობა თითქოს გამოუვალი ჩანდა, მაგრამ ჩვენებმა პატარა სასწაული ჩაიდინეს, დარჩენილი სამივე ბრძოლა მოიგეს და საბოლოოდ 4:3 გაიმარჯვეს. გეგეშიძემ **ჩო ჰუ-ჩოლთან** მოგებით ანგარიში შეამცირა, მორჩილაძემ კი პირწმინდად დაჩაგრა **პარკ კუნგ-რაკი** და ანგარიში გაათანაბრა - 3:3. ამდენად, ყველაფერი მძიმეწონოსანთა შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა, აქ კი ჩვენი იმედები ისევ ახალგაზრდა და გამოუცდელ გურამ ფერსელიძეს დააწვა მხრებზე. საბედნიეროდ, ნაკრების დებიუტანტი ფსიქოლოგიურ ტვირთს ვაჟკაცურად გაუმკლავდა, **ჰონგ ჰუნ-ჰეს** დამაჯერებლად მოუგო და საკუთარ გუნდსაც გაამარჯვებინა.

ამდენად, ჩვენმა ნაკრებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და დღეს ბრინჯაოს მედლისთვის ირანელებს შეერკინება. მსოფლიო თასისთვის ჯგუფების გამარჯვებულები - რუსეთი და მასპინძელი უნგრეთი იბრძოლებენ, მაჩანჩალები - აშშ და კორეა კი მეხუთე ადგილისთვის იჭიდავებენ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის დასრულებისთანავე სომბათჰეიში, იგივე დარბაზში "ოქროს დიდი პრიზის" მეორე ტურნირი იწყება, რომელშიც ჩვენი ნაკრებიც გამოვა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ნახევარფინალში უბრძოლველად

19 წლის **სოფიო ქვაცაბაია** საერთაშორისო ასპარეზზე წყვილთა თანრიგში უკეთ თამაშობს, ვიდრე ერთეულებში. ის, წყვილებში მსოფლიოს 468-ე ჩოგანია ერთეულებში კი - 708-ე. სოფიო ესპანურ სანტ ბოიშია, სადაც მცირე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) ასპარეზობს. ერთეულთა თანრიგში მან ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში დათმო, წყვილებში კი ძირითად ბადეში მე-4 ნომრად განთესეს ჩეხ **სიმონა დობრასთან** (688) ერთად. პირველ წრეში მათ 7:5, 6:1 დაამარცხეს "უაილდ ქარდით" მიწვეული ესპანური დუეტი (**აბუხეიბ-სელო, როსეტ-ფრანკო**). მეოთხედფინალში ქვაცაბაია და დობრა ავსტრიელი **ფრანცისკა კლოცის** და ბულგარელი **დესისლავა მლადენოვას** დუეტს შეხვდებიან.

გერმანულ ბიუხენში (10 ათასი დოლარი) მე-7 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (409) პირველ წრეში მასპინძელი **ანა ცაია** დაამარცხა - 6:3, 6:2. მეოთხედფინალში შაფათავას მეტოქე შვეიცარიელი **ნიკოლ რინერია** (459). წყვილთა თანრიგში ტურნირის პირველ ნომრად ქართველი **ოქსანა კალაშნიკოვას** და გერმანელი **რია დოირნემანის** (347) დუეტი განთესეს, ისინი პირველ წრეში ისვენებდნენ, ისევე როგორც - შაფათავას და ხორვატი **ანა ბეზიაკის** დუეტი. დოირნემანი და კალაშნიკოვა ნახევარფინალშიც უბრძოლველად გავიდნენ, რადგან მეტოქეები არ გამოუცხადნენ. შაფათავას და ბეზიაკს თავიანთი მეოთხედფინალური მატჩი ჯერ არ უთამაშიათ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მილოცვა

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს ულოცავს საქართველოს სახელოვან მოფარიკავეთა თაობების აღმზრდელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს და სპორტის დამსახურებულ მუშაკს თემურ ისლამოვს.**

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი

# დაფიქრდი, ვიდრე საჭეს მიუჯდები



ოთარ თავართქილაძე



არჩილ ბიძინაშვილი

ავტოსპორტში საქართველოს შარშანდელმა ჩემპიონატმა ცხადყო, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველნაირი პრობლემის მიუხედავად, ავტორბოლა აღორძინების გზას ადგას. მას მაყურებელიც ნელ-ნელა ემატება, რადგან მასმედიის საშუალებით გებულობს, რომ ამა თუ იმ პილოტების პაექრობა საინტერესო და დაძაბული ხდება. მაყურებელთა ნაწილმა ემოციების მოთოკვაც რომ ისწავლოს და ექსპერიმენტატორობას თავი გაანებოს, მაშინ ხიფათიც თავიდან იქნება აცილებული, რბოლას უფრო სხვა თვალით შეხედავს და ისედაც დაძაბული ავტომრბოლები უფრო მეტად დაძაბულები აღარ იქნებიან, კონცენტრირებულები იქნებიან მხოლოდ რბოლაზე. ამას ითხოვს არა მარტო ავტოსპორტის მმართველი ორგანიზაცია, არამედ ყველა პილოტიც. შედეგს, ასე თუ ისე, აღწევენ, მაგრამ უსაფრთხოების მხრივ პრობლემები მაინც სახეზეა.

იმისთვის, რომ რბოლები უსაფრთხო იყოს და ერთნაირად დაცული იყოს როგორც პილოტის, ისე მაყურებლის სიცოცხლე, თავისი ძალისხმევით არც საქართველოს ავტოკლუბია განზე გამდგარი. მისი ხელმძღვანელობა ცდილობს, ყოველნაირად დაეხმაროს ფედერაციას. ამას ადასტურებს ავტოკლუბის პრეზიდენტი, **დავით ნებიერიძე**. მან მოგვითხრო, რომ ზემოთ ხსენებული ორგანიზაცია 2004 წელს დაარსდა. ეს იყო პერიოდი, როცა ავტოსპორტი თითქმის აღარ არსებობდა საქართველოში. ამ დროს კლუბის დაარსების არსი იყო ავტოსპორტის პოპულარიზაცია საქართველოსა და ხალხში. ავტოკლუბი ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა, აწყობდა სამოყვარულო შეჯიბრებებს თბილისში, რიყეზე, რესპუბლიკის მოედანზე, ბათუმში ჩქაროსნულ მანევრირებაში.

ავტოკლუბის წევრები გახდნენ ავტომოყვარულები, რომლებმაც შემდეგ ავტომრბოლობა პროფესიად აირჩიეს. ასეთი ბევრია, მათ შორის, **ოთარ თავართქილაძე, ლადო კუხიანიძე, არჩილ ბიძინაშვილი, მევლუდ მელაძე, არჩილ ჩიქოვანი, დათა ქაჯაია, კოკა სვანიძე, გიორგი ოგბაიძე** და წლევანდელი დებიუტანტების უმეტესობაც.

ზემოთ ჩამოთვლილი პილოტებიდან თავართქილაძემ და კუხიანიძემ ეკიპაჟიც კი შექმნეს რალიში მონაწილეობისთვის. უმეტესობა "ჰონდა სივიკით" ასპარეზობს, ზოგჯერ თავართქილაძე "სუბარუ იმპრეზათიც" გამოდის, განსაკუთრებით ალმართის ჩქაროსნულ დაძლევაში, რადგან მიაჩნია, რომ ამგვარ შეჯიბრში ეს მანქანა უფრო საიმედო და სტაბილურია.

დასაწყისში შარშანდელი ჩემპიონატი ვახსენეთ. ეს იყო, მართლაც, დაძაბული პაექრობა არა მარტო ავტოკლუბის წევრ პილოტებს შორის, არამედ სხვა ორგანიზაციიდან გამოსულ ავტომრბოლებს შორისაც. მაგრამ მაინც გამოიკვეთა ორი ლიდერი, **ოთარ თავართქილაძისა** და **არჩილ ბიძინაშვილის** სახით. თუ ერთი ძლიერი იყო ე.წ. "მთის რბოლებში", მეორე შეუდარებელი იყო - წრიულში. მცირე გაუგებრობა რომ არა, ალბათ, ჩემპიონის ტიტული ერთდროულად ორივესთვის უნდა მიენიჭებინათ. ორივე ღირსი იყო ჩემპიონობის. მათი პაექრობა 2008 წლის სეზონის გამხსნელ რბოლაში, კუს ტბაზე, ალმართის ჩქაროსნულ დაძლევაშიც გაგრძელდა. თავართქილაძემ კვლავ დაამტკიცა, რომ ამ სახეობის უბადლო ოსტატია. მას ცოტათი ჩამორჩა არჩილ ბიძინაშვილი და, როგორც ჩანს, ჩემპიონის ტიტული სწორედ მათ შორის გათამაშდება .

კითხვაზე - როდის გამოჩნდა ავტოკლუბის პირველი წარმატება? **დავით ნებიერიძემ** გვიპასუხა, რომ ეს მოხდა 2004 წელს, ჟურნალისტთა შორის შეჯიბრის შემდეგ. ტურნირი საინტერესო ფორმატით ჩატარდა. შეიქმნა გუნდები ოთხი წევრისგან, რომელთა შორის ერთი პროფესიონალი ავტომრბოლი იყო, დანარჩენი სამი კი - მოყვარული. ისინი სპორტული ავტომობილებით ასპარეზობდნენ. ამგვარი შეჯიბრი, ჩქაროსნულ მანევრირებაში, წელსაც აუცილებლად ჩატარდება. ყოველ შემთხვევაში, ავტოკლუბი ამისთვის მზადყოფნას გამოხატავს.

იყო ექსპერიმენტიც, კერძოდ, რუსთავის ავტოდრომზე წყვილთა რბოლა ჩატარდა მოყვარულთა შორის. სიჩქარის გრძნობას, სწრაფი მანქანის გაკონტროლების უნარს იმდენი შეუძლია, რომ ბევრი პილოტი სამოყვარულოდან პროფესიონალურ სპორტში გადადის. ავტოკლუბი სწორედ ამ მიზნით მოღვაწეობს - ეძებს ტალანტებს, რომლებიც მცირე ხნის შემდეგ პროფესიონალებში გადაჰყავს, აკვირდებიან ადამიანის ხასიათს, კონცენტრაციის უნარს, რეაქციის სისწრაფეს.

დავით ნებიერიძე ადასტურებს, რომ უსაფრთხოების წესების დაცვა ავტოკლუბის უპირველესი ამოცანაა. მოყვარულთა შეჯიბრზე მკაცრად კონტროლდება მონაწილეთა მიერ დამცავი ღვედების აუცილებელი დამაგრება. მაყურებელი სახიფათო ადგილებიდან მოშორებით უნდა იდგეს.

საქართველოში FIA-ს, საერთაშორისო ავტოფედერაციის პრეზიდენტის, **მაქს მოსლის** ცოტახნისწინანდელი ვიზიტი შედგა დევიზით - Think before you drive, რაც ითარგმნება, როგორც "დაფიქრდი, სანამ საჭეს მიუჯდები!" აქცია ითვალისწინებს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ გზებსა და სპეციალურ ტრასებზე სახიფათო შემთხვევები. დევიზს ეთანხმება და მხარს უჭერს საბურავების იაპონური ფირმა "ბრიჯსთოუნი" და ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, ამჟამად "ფერარის" ტესტერი და მრჩეველი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი**. საქართველოს ავტოკლუბი მხარში უდგას მათ, ვინც იღწვის უსაფრთხოების წესების დაცვისთვის.

**დავით ჩუბინიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა


გიორგი ჯგერენაია (შუაში)

ტრანსფერი

# ჯგერენაია მეორე ჯორჯიაში

საქართველოს კადეტთა ნაკრების ყოფილი მოთამაშე **გიორგი ჯგერენაია** ამიერიდან ამერიკის ქალაქ ატლანტას სკოლის გუნდ "ჯორჯია ელიტში" ითამაშებს. იგი გუნდში იქაურმა მწვრთნელმა **ლინზი დევისმა** მიიწვია, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე იცნობს. ბატონი ლინზი საქართველოში გასული წლის ბოლოს იმყოფებოდა, ჩვენთან საუბარში ვიზიტის მთავარ მიზეზად ქართველი ტალანტების ძიება დაასახელა - მთელს მსოფლიოს გარს ვუვლი და ნიჭიერ ახალგაზრდებს ვათვალიერებ. მათი ამერიკაში წასვლა იქაური გუნდებისთვისაც სასარგებლო იქნება და თავად მოთამაშეებისთვისაცო.

ასე რომ, სწორედ ლინზი დევისის ინიციატივით, გიორგი ჯგერენაია "ჯორჯია ელიტის" ღირსებას დაიცავს. ეს ინფორმაცია ერთ-ერთ ამერიკულ ვებ გვერდზე გამოქვეყნდა, ზედ მწვრთნელის კომენტარებიც ერთვის და ჩვენი გაზეთის შიდა გვერდის ფოტოსურათიც - ლინზის ინტერვიუთი.

ზემოთნახსენებ სტატიას მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

*"საქართველოში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ვნახე, რომლებიც თავისუფლად ითამაშებენ ამერიკული სკოლების გუნდებში. 10 მათგანის სასწავლებლებში მოწყობაზე უკვე ვმუშაობ. ერთი, გიორგი ჯგერენაია კი ჩემს კლუბში ჩავრიცხე და იმედი მაქვს, რომ საკმაოდ გაგვაძლიერებს," - ამბობს ამერიკის სასკოლო ასაკის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ლინზი დევისი, რომლის ხელში სხვადასხვა დროს გამოიარეს კარმელო ენტონიმ, კევინ დურანმა, შელდენ უილიამსმა და სხვებმა.*

*დევისმა საქართველოში სტუმრობისას გაიცნო იქაური მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია, რომლის აღზრდილი რამდენიმე კალათბურთელი დღეს ამერიკის კოლეჯთა ლიგებში თამაშობს (ლაშა ფარღალავა, დათო ერქვანია, ირაკლი ჯგერენაია... ავტ.).*

*ლინზის საზაფხულო გეგმებში ევროპის 16-წლამდელთა ჩემპიონატზე დასწრებაა. იგი ამ ტურნირზე ვაჟა კვარაცხელიასთან ერთად აპირებს წასვლას. "ჩემს ქართველ მეგობართან ერთად კადეტთა ევროპის პირველობაზე მოთამაშე კალათბურთელებს დავაკვირდები. ვფიქრობ, იქაც იქნება არაერთი მოთამაშე, რომელიც ამერიკულ გუნდებში თავის სიტყვას იტყვის."*

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

# მეტრეველის კანონზომიერება: 13, 15, 17

იტალიის "მონტეპასკიში" მოთამაშე ქართველმა მეფარემ **ნიკა მეტრეველმა** სიენელთა სხვადასხვა ასაკის გუნდებთან ერთად ბოლო დღეებში სამი მატჩი ჩაატარა და ტრადიცია ერთხელაც არ დაარღვია - 10-ქულიან ბარიერს სამჯერვე იოლად ასცდა.

ჯერ ვთქვათ ნიკას მიერ "მონტეპასკის" 20-წლამდელებთან ერთად გამართულ მატჩზე, რომელიც სიენელთა გამარჯვებით დასრულდა - 83:65.

"პისტოიას" ძლევაში მეტრეველის წილი 13 ქულით განისაზღვრა.

მეორე მატჩი ქართველმა ცენტრმა "მონტეპასკის" 17-წლამდელთა მაისურით ჩაატარა და თანაქალაქელ "ვირტუსს" დამაჯერებლად მოუგო - 80:46. იტალიის 17-წლამდელთა ჩემპიონატში სიენელები ჯერჯერობით, წაუგებლად ასპარეზობენ. "ვირტუსთან" ნიკა მეტრეველმა 17 ქულა ჩააგდო, თუმცა სნაიპერობამდე სამი ბალი დააკლდა - მისმა თანაგუნდელმა ჩენტანიმ 20 ქულას გამოჰკრა ხელი.

26 თებერვალს დაიწყო ყოველწლიური, ტრადიციული ტურნირი სახელწოდებით პიომბინოს "კარნევალეს თასი". მასში მეტრეველი "მონტეპასკის" 19-წლამდელებთან ერთად მონაწილეობს. პირველ მატჩში სიენურ კლუბს მეტოქედ ადგილობრივი "პიომბინო" ერგო და "ვირტუსზე" სასტიკად დაამარცხა - 95:32.

საყურადღებოა, რომ 30-ე წუთისთვის სიენელები 73:26-ს იგებდნენ... მასპინძელთა რბევაში თავისი წვლილი შეიტანა მეტრეველმა, რომელმაც 15 ქულა ჩააგდო. სნაიპერობამდე ამჯერადაც ცოტა დააკლდა - მონტეპასკელმა პორტანეზემ 17 ქულა მიითვალა. "პიომბინოდან" კი ვერც ერთი კალათბურთელი ვერ ასცდა 9 ქულას.

მომდევნო მატჩში ნიკას მეტოქე მისი ყოფილი კლუბი, რიმინის "კრაბსი" იქნება.

**ვაჟა სიმონიშვილი**


ნიკა მეტრეველი

ახალგაზრდა ლეგიონი

# შენგელიას დუბლი და აკადემიის ნახევარფინალი


ლევან შენგელია

ლიტვის მეორე ლიგაში ორი ქართველიდან ერთმა მოახერხა პლეი ოფის პირველი ეტაპის გადალახვა - მარჩულიონისის აკადემიაში მოთამაშე **ლევან შენგელიამ** "მერესტას" 3:1 აჯობა და პირველობისთვის ბრძოლას აგრძელებს. რაც შეეხება **ტატო ვაშაკიძის** "პუნტუკასს", მან პირველ ეტაპზე 0:3 დათმო "ჟამპერასთან" და პლეი ოფს გამოემშვიდობა.

სამშაბათს მოგახსენეთ, რომ შენგელიას "აკადემია" "მერესტასთან" 2:1 დაწინაურდა და ბევრი რამ კაუნასში გასამართ მეოთხე მატჩს უნდა გაერკვია. ასეც მოხდა - "აკადემიკოსებმა" სასწორის პინა თავის სასარგებლოდ მესამე მეოთხედში გადახარეს - 30:12 და საბოლოოდ, 20 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს 93:73.

თუკი, აქამდე "აკადემიის" მწვრთნელი ლევან შენგელიას არ ენდობოდა, ხან 4 წუთს ათამაშებდა, ხან - ნაკლებს, გადამწყვეტ შეხვედრაში ქართველმა ფორვარდმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით საუკეთესო იყო: სათადარიგოთა სკამიდან თამაშში ჩართვის შემდეგ შენგელიამ 6-6 ორქულიანი და საჯარიმო ისროლა და მხოლოდ 2 საჯარიმო ტყორცნა ააცილა. ლევანი 16 ქულით არ შემოფარგლულა - 11 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და 3 ჩაჭრა მიითვალა. მართალია, ქართველის მსგავსად ორმაგი დუბლები არ შეუსრულებიათ, მაგრამ "აკადემიას" გამარჯვებაში არანაკლები წვლილი შეიტანეს **ტომას ლისაუსკამ** (24 ქულა) და **იანას ჟურგომ** (21 ქულა).

ვიდრე შენგელიას გუნდის მერვედფინალის მეტოქეს გაგაცნობდეთ, "აკადემია"-"მერესტას" ოთხივე მატჩის შედეგს შეგახსენებთ: 61:66, 86:83, 83:74 და 93:73.

მომდევნო ეტაპზე "აკადემიას" რეგულარული ჩემპიონატის მეორეადგილოსანი "ადაკრისი" დაუპირისპირდება. მერვედფინალური სერიის პირველი მატჩი "ადაკრისის" მოედანზე 4 მარტს გაიმართება.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ შენგელიას "აკადემია" გასულ სეზონში ლიტვის მეორე ლიგის ჩემპიონი გახდა, მაგრამ უმაღლეს ეშელონში მაინც ვერ აღზევდა, საქმე ისაა, რომ ელიტაში მხოლოდ წელმაგარი კლუბები მხოლოდ კონტრაქტით თამაშობენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მოგება და 5 ქულა

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, რეგულარული სეზონის რიგით 55-ე მატჩი გამართა **ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა". ჯორჯიელებმა "საკრამენტო კინგზს" უმასპინძლეს და საკმაოდ ქულაუხვ მატჩში, 123:117 იმარჯვეს.

წინა მატჩში ჩაგდებული 14 ქულის შემდეგ, ისევ დაღმასვლა განიცადა ფაჩულიას შედეგიანობამ. ქართველმა ცენტრფორვარდმა ამჯერად 16 წუთში მხოლოდ 5 ქულა (4-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 ჯარიმა) მიითვალა. ამას გარდა, ზაზას აქტივ-პასივმა შეადგინა 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შეცდომა და 3 ფოლი.

"ატლანტა ჰოქსი" აღმოსავლეთ კონფერენციაში ისევ მე-9 პოზიციაზეა და პლეი ოფში გამსვლელ ზონამდე 1 საფეხური აშორებს. მერვე ადგილზე მყოფ 'ნიუ ჯერსი ნეთსს" 25 მოგება და 32 წაგება აქვს.



**კალათბურთი**

## სელტიქსმა ბრაუნი დაიმატა

გუშინ, "ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ვეტერან ცენტრთან, **პი ჯეი ბრაუნთან** გააფორმა კონტრაქტი. ხელშეკრულების დეტალები არ ხმაურდება. ბრაუნზე პრეტენზიას "ნიუ ორლეან ჰორნეთსიც" აცხადებს, მაგრამ კალათბურთელმა ის გუნდი აირჩია, სადაც კარიერის საუკეთესო წლები აქვს გატარებული.

38 წლის ბრაუნისთვის ეს NBA-ში ჩატარებული მე-15 სეზონი იქნება. შარშან ის "ჩიკაგოში" თამაშობდა და საშუალოდ 20 წუთის განმავლობაში, 6.1 ქულასა და 4.8 მოხსნას აგროვებდა.

## უოკერს სხვა გუნდში უნდა

"მინესოტა ტიმბერვულვზის" ფორვარდ **ანტუან უოკერს** პირველი მატჩში ჯერაც აქვს იმის იმედი, რომ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებას მიაღწევს და "მინესოტა" კალათბურთელის კონტრაქტს გამოისყიდის. ეს უოკერს საშუალებას მისცემს, 1 მარტამდე კონტრაქტი გააფორმოს ისეთ გუნდთან, რომელიც პლეიოფში მოსახვედრად იბრძვის.

უოკერის კონტრაქტი 2009-10 წლების სეზონის შემდეგ იწურება და ვეტერანმა კალათბურთელმა სამი წლის განმავლობაში 30 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს. მიმომხილველთა აზრით, "მინესოტას" მფლობელი **გლენ ტეილორი** კალათბურთელის პირობებს არ დათანხმდება, რადგან კლუბმა **ჯუვან ჰოვარდსა** და **ტროი ჰადსონს** უნდა გადაუხადოს კომპენსაციები. ამ მოთამაშეების კონტრაქტი "მგლების" ხელმძღვანელებმა ამ სეზონის წინ გამოისყიდეს.

## ფაზეკაში კლიპერსმა აიყვანა

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" გამოსაცდელი ვადით აიყვანა ახალზედა კალათბურთელი **ნიკ ფაზეკაში**. კალიფორნიელებმა ახალგაზრდა მოთამაშეს 10-დღიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ფაზეკაში, რომელიც ამჟამად თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს, "დალას მავერიქსმა" აირჩია დრაფტზე, მაგრამ კალათბურთელს NBA-ში თამაშის საშუალება არ მიეცა. ფორვარდმა სეზონის ძირითადი ნაწილი D-ლიგაში გაატარა, სადაც "ყველა ვარსკვლავის მატჩშიც" უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ეს ტრავმის გამო ვერ მოახერხა.

## ლეტუვოს რიტასს მაღლები აღარ ჰყავს

ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის მონაწილე "ლეტუვოს რიტასი" ტანმაღალი კალათბურთელების დეფიციტს განიცდის. ორი დღის წინათ, ლიტვურმა კლუბმა ძირითადი ცენტრი **მარიუნას პეტრავიჩუსი** დაკარგა. ამ კალათბურთელმა "ფენერბაჰჩესთან" მესამე ტურის მატჩის წინ, ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა და სავარაუდოდ, ამ სეზონში თავის კლუბს ველარ დაეხმარება. შეგახსენებთ, რომ ასევე ტრავმირებულია და უკვე დიდი ხანია არ თამაშობს "ლეტუვოს რიტასის" მძიმე ფორვარდი **მეტ ნილსენი**.

პეტრავიჩუსმა წლევანდელ ევროლიგაზე 16 მატჩი ჩაატარა და ყველა სასტარტო ხუთეულში დაიწყო. მისი საშუალო სტატისტიკური მონაგარი 13.9 ქულასა (თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 72.1 პროცენტი) და 5.9 მოხსნას შეადგენდა.

**რაგბი**

## 13 კვირა თამაშგარეთ

მკაცრი განაჩენი გამოუტანეს იტალიის ნაკრების ფლანგის მოთამაშეს, **მაურო ბერგამასკოს**. ეს მორაგბე 13 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის მიღებას. დისკვალიფიკაცია 3 მარტიდან შევა ძალაში, ანუ იმ დღიდან, როცა ბერგამასკო მხარის ტრავმისგან განიკურნება. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იტალიელისთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა. ასეთი ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია იმით არის გამოწვეული, რომ უელსის წინააღმდეგ ექვსი ერის თასის მატჩში, ბერგამასკომ თვალში თითი ატაკა უელსელ **ლი ბირნს**.

იტალიელს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს.

**ჰოკეი**

## ოტავამ მწვრთნელი გამოიცვალა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 18 ტურით ადრე, მთავარი მწვრთნელის შეცვლა გადაწყვიტა "ოტავა სენატორზმა". კლუბის ხელმძღვანელობამ ეს პოსტი დაატოვებინა **ჯონ პადოკს**. კანადელები ცოტა ხნის წინათ დამაჯერებლად ლიდერობდნენ აღმოსავლეთ კონფერენციას, მაგრამ ბოლო 21 მატჩში 14-ჯერ, უკანასკნელ 8 ტურში კი, ექვსჯერ დამარცხდნენ და ლიდერობა "ნიუ ჯერსი დევილზს" გადაულოცეს.

"ოტავას" დარჩენილ ტურებში გენერალური მენეჯერის ფუნქციების შემსრულებელი **ბრაიან მიურეი** უხელმძღვანელებს. ეს ის სპეციალისტია, რომელმაც შარშან "სენატორები" სტენლის თასის ფინალში გაიყვანა.

## მეტყევემ მილიონი მოიგო

იღბლიანი გამოდგა "ვანკუვერისა" და "კოლორადოს" მატჩი 35 წლის მეტყევე **დარვინ ჰედისთვის**. პირველი პერიოდის შემდეგ შესვენებაზე, ჰედი მილიონერი გახდა, როცა კომპანია TSN-ის მიერ ორგანიზებული კონკურსი მოიგო.

მეტყევემ 24 წამის განმავლობაში, შორეული ცისფერი ხაზიდან ცარიელ კარში 15 გოლი გაიტანა, ანუ ზუსტად ის რაოდენობა, რომელიც მილიონის მოსაგებად იყო საჭირო.

სხვათა შორის, კონკურსის პირველ ნაწილში, ჰედის კუზენმა **ლენს ბეჯერმა** და მისმა მეგობარმა **რენდი ბუტმა** "შევროლეს" ახალი მოდელები დაიმსახურეს. მათაც 15-15 შაიბის გატანა შეძლეს, ოღონდ უფრო ახლოდან, ცენტრის ხაზიდან ასრულებდნენ დარტყმებს.

**ჩოგბურთი**

## კლაისტერსი დედა გახდა

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს **კიმ კლაისტერსს** გოგონა შეეძინა. ბელგიელმა ჩოგბურთელმა გუშინ იმშობიარა და თავის პირმშოს უკვე სახელიც შეურჩია - ბავშვს **ჯადი** დაარქვეს.

როგორც ცნობილია, კლაისტერსმა შარშან მაისში დაასრულა კარიერა და მთლიანად ახალშექმნილ ოჯახზე გადაერთო. კიმის მეუღლე გახლავთ ამერიკელი კალათბურთელი **ბრაიან ლინჩი**, რომელიც ბელგიის ლიგაში თამაშობს.

**კრივი**

## კლიჩკო ახალ სარტყელზე ფიქრობს

სუპერმძიმე წონაში ორი ვერსიით (IBF და WBO) მსოფლიო ჩემპიონმა, უკრაინელმა **ვლადიმერ კლიჩკომ** თავის მომავალ გეგმებზე ისაუბრა.

*"ახალი მწვერვალების დაპყრობა მსურს. იმედი მაქვს, ჩემი გუნდი წარმატებით გამართავს მოლაპარაკებებს მომდევნო ბრძოლების ორგანიზებისთვის. WBA-ს ტიტული რუსლან ჩაგაევს ეკუთვნის, WBC-ის სარტყელს კი, ოლეგ მასკაევი ფლობს. უახლოეს მომავალში, ამ ორიდან ერთ-ერთთან შეხვედრა იქნება ჩემი მთავარი პრიორიტეტი"*, - განაცხადა უმცროსმა კლიჩკომ, რომელმაც გასულ უიქ ენდზე WBO-ს მსოფლიო ჩემპიონი **სულთან იბრაჰიმოვი** დაამარცხა და ახლა ორი ვერსიით ითვლება საუკეთესოდ.

ინტერვიუ ბენ უოლასთან

# ავტობუსის ქვეშ ადრეც ვყოფილვარ



**მარკუს კემბი, ბრიუს ბოუენი, რონ არტესტი და ბენ უოლასი - ბოლო 5-6 წლის განმავლობაში, ლიგაში საუკეთესო დამცველებად სწორედ ესენი ითვლებიან. ამ ოთხი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ინდივიდუალისტის ავ-კარგის ჩამოთვლას არ დავიწყებ, რადგან ოთხივე შემდგარი ვარსკვლავია და მათზე ბევრიც თქმულა და არანაკლები დაწერილა.**

**დღეს მხოლოდ უოლასს შევეხებით. "დიდი ბენი" "ბულზში" გატარებული არცთუ წარმატებული სეზონნახევრის შემდეგ "კლივლენდში" ჩაირიცხა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისმა ახალმა გუნდმა მინიმუმ, მეოთხე პოზიცია ვერ დაიკავოს არცთუ ძლიერ აღმოსავლეთში, სადაც სიტყვა "გრანდის" მოშველიება მხოლოდ "დეტროიტისა" და "ბოსტონის" დახასიათებისას შეიძლება.**

**უოლასი აღნიშნულ ინტერვიუში "ჩიკაგოზე", მიმდინარე საპლეიოფო რბოლაზე, "დეტროიტში" გატარებულ პერიოდსა და კიდევ სხვა საინტერესო ნიუანსზე საუბრობს.**

**- ბენ, ვის წაადგება ყველაზე მეტად ეს ტრანსფერი, თქვენ, "კავალიერსის" სხვა ახალ მოთამაშეებს, "ჩიკაგოსა" თუ ლებრონს?**

- "კლივლენდი" დაგავიწყდათ.

**- თავისთავად, "კლივლენდიც".**

- მგონი, ყველა კმაყოფილია. "კლივლენდი" ამბიციური გუნდია, რომელმაც მიიღო ისეთი შევსება, რაც ამ გუნდს საპლეიოფოდ აშკარად გააძლიერებს. სიმართლე გითხრათ, სეზონის მსვლელობისას ნამდვილად არ დავინტერესებულვარ, თუ რა პრობლემები ჰქონდა "კავალიერსს", მაგრამ ფაქტია, რომ გუნდი თავის პოტენციალს ბოლომდე ვერ იყენებდა. იყო ტრავმებიც, თუმცა გუნდი მაინც ვერ გაიშალა და ძალიან არასტაბილურად თამაშობდა. ზუსტად იგივეს თქმა შეიძლება "ჩიკაგოზეც", რომელშიც ბევრი ძლიერი, გამოცდილი მოთამაშე იყო, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, თამაში ვერ აეწყო და ძალიან ბევრი დაუგეგმავი წაგება განვიცადეთ. ასე რომ, დღევანდელი გადმოსახედიდან, ეს დიდი გაცვლა მისი ყველა მონაწილისთვის სარგებლის მომტანი უნდა იყოს.

**- ლებრონმა თქვენს ტრანსფერს ფანტასტიკური უწოდა და საკმაოდ პოზიტიური შეფასება მისცა უოლი შჩერბიაკისა და ჯო სმიტის ტრანსფერსაც.**

- ლებრონი კარგი ახალგაზრდაა, რომელიც ძალიან ბევრს მიაღწევს. იმედი მაქვს, რომ ჩემს პირველივე სეზონში, "კლივლენდს" საჩემპიონო შანსებს შევუქმნი. გუნდი მხოლოდ ჯეიმსი არ არის, თუმცა ისიც ყველას მშვენივრად ესმის, რომ "კავალიერსის" ბედი მეტწილად ამ მოთამაშეზეა დამოკიდებული.

**- დღეს, როდესაც უკვე "კლივლენდის" წევრი ხართ, არ ნანობთ, რომ თავის დროზე, "დეტროიტთან" ხელშეკრულება 3 მილიონის გამო არ გაახანგრძლივეთ?**

- არა, არ ვნანობ და ამავე დროს, საუკეთესოდ მაგონდება "პისტონზში" გატარებული წლები. იმ გუნდს უფრო მეტისთვის უნდა მიეღწია, თუმცა ჩემპიონობა ერთხელ მაინც მოვიპოვეთ და ისტორიაში შესვლა მოვახერხეთ. საქმე მხოლოდ 3 მილიონში არ იყო, რადგან იმ თანხას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია: უბრალოდ, როდესაც ჩემმა აგენტმა ხელშეკრულების გახანგრძლივებისთვის ჩვენი თანხა დაასახელა, "დეტროიტის" ბოსმა, ჯო დუმარსმა 3 მილიონი იმ არგუმენტით დააკლო, რომ მისი აზრით, ბენ უოლასი დაბერდა და ძველებურად ველარ ითამაშებდა. მაშინაც კარგად ვგრძნობდი თავს და ახლაც, მშვენიერ ფორმაში ვიმყოფები, რის გამოც ვერ გავიზიარე მისტერ დუმარსის აზრი და გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი ვთქვი. არ ვნანობ, რომ დღეს "დეტროიტში" აღარ ვირიცხები.

**- რეგულარულს დავუბრუნდეთ. ახალი შემადგენლობით პირველი მატჩი "მემფისთან" უპრობლემოდ მოიგეთ, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ ეს არ იყო ის მეტოქე, ვის წინააღმდეგაც "კლივლენდის" ამ შემადგენლობის პლუს-მინუსები საუკეთესოდ გამოჩნდებოდა.**

- ვერ დაგეთანხმებით, რადგან "მემფისი" კარგი გუნდია, თუმცა არ არის გრანდი, იგივე "ბოსტონის", "ლეიკერსის" ან "დალასის" მსგავსად. ჩვენთვის მთავარი არა მეტოქის დონე, არამედ შეთამაშების, აკლიმატიზაციის საკითხი იყო და მგონი, ცუდად არ გვითამაშია. დროთა განმავლობაში, "კლივლენდის" თამაში უფრო დაიხვეწება, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამისთვის დრო არცთუ ბევრი დაგვრჩა.

**- "ბულზის" ფანები გუნდის საშინაო მატჩებისას, თქვენი გვარის გამოცხადების დროს გისტვენდნენ. რატომ ასეთი რეაქცია?**

- ალბათ, იქიდან, რომ გუნდის წარუმატებლობაში ყველაზე მეტად მის ლიდერებს ადანაშაულებდნენ და რადგან "ბულზის" ლიდერებში შევდიოდი, პასუხსაც სხვაზე მეტად მე მთხოვდნენ. ეგ არაფერი, ავტობუსის ქვეშ ადრეც მოვქცეულვარ და ვიცი, რომ ყველაფერი ადრე თუ გვიან მაინც სასიკეთოდ იცვლება.

ზურაბ თალაკვაძე

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-კლივლენდი 92:87**

25:16, 22:24, 28:22, 17:25

**ბოსტონი:** რ. ალენი (22 ქ. 4 მ), გარნეტი (18 ქ. 11 მ. 5 პ. 4 ჩ), პოუ (13 ქ. 3 მ), პირსი (12 ქ. 5 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (26 ქ. 8 მ. 4 პ), დელონტე უესტი (20 ქ. 5 მ), შჩერბიაკი (12 ქ. 5 მ. 2 ჩ), ბ. უოლასი (8 ქ. 12 მ).

**ფილადელფია-ორლანდო 101:89**

33:25, 28:17, 22:26, 18:21

**ფილადელფია:** ა. მილერი (26 ქ. 9 პ. 6 მ. 2 ჩ), უ. გრინი (26 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), იგუოდალა (24 ქ. 7 პ. 2 მ. 2 ჩ. 2 დ), დალემბერი (9 ქ. 12 მ).

**ორლანდო:** თურქოღლუ (20 ქ. 7 მ. 6 პ), რ. ლიუისი (19 ქ. 6 მ), დ. ჰოვარდი (14 ქ. 16 მ), ბოგანსი (13 ქ), რედიკი (10 ქ).

**ატლანტა-საკრამენტო 123:117**

40:28, 19:30, 34:27, 30:32

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (26 ქ. 6 პ), ჩილდრესი (25 ქ. 5 მ. 3 პ), ბიბი (24 ქ. 12 პ. 4 მ. 2 ჩ), ჰორფორდი (16 ქ. 14 მ. 4 პ. 2 დ), ჯოშ სმიტი (14 ქ. 10 მ. 2 პ. 2 დ. 2 ჩ), **ზაზა ფაჩულია (5 ქ. 5 მ).**

**საკრამენტო:** უდრიხი (25 ქ. 8 პ. 4 მ), ბ. მილერი (25 ქ. 13 მ. 6 პ. 2 ჩ), არტესტი (23 ქ. 7 მ. 4 პ), გარსია (14 ქ. 4 მ. 2 ჩ), მური (10 ქ. 7 მ).

**სიეტლი-დენვერი 96:138**

19:31, 26:33, 30:36, 21:38

**სიეტლი:** დიურანი (16 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 პ), ქელაბალი (16 ქ. 4 პ. 3 მ), პეტრო (15 ქ. 8 მ. 2 ჩ), ჯ. გრინი (15 ქ).

**დენვერი:** აივერსონი (31 ქ. 6 პ. 5 მ), კენიონ მარტინი (23 ქ. 7 მ. 2 პ), ენტონი (16 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), კლეიზა (15 ქ. 3 მ. 3 პ), ჯეი. არ. სმიტი (15 ქ), კემბი (12 ქ. 14 მ. 5 დ. 4 პ. 3 ჩ), ე. კარტერი (12 ქ. 12 პ. 4 მ. 4 ჩ).

**კლიპერსი-პორტლენდი 80:82**

15:26, 14:16, 28:16, 23:24

**კლიპერსი:** მაგეტი (32 ქ. 6 მ. 3 პ), ტიმ ტომასი (21 ქ. 11 მ. 3 პ), ტორნტონი (11 ქ. 6 მ).

**პორტლენდი:** ჯეკი (21 ქ. 8 მ. 3 პ), უებსტერი (15 ქ. 5 მ. 3 პ), ფრაი (12 ქ. 3 მ), უოფერი (11 ქ. 5 მ), ტ. აუთლო (10 ქ), ოლდრიჯი (9 ქ. 6 მ. 2 დ).

**ნ. ორლეანი-ფინიქსი 120:103**

25:29, 34:26, 38:22, 23:26

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (27 ქ. 4 მ. 2 ჩ), პოლი (25 ქ. 15 პ. 6 მ. 3 ჩ), პარგო )22 ქ. 2 ჩ), სტოიაკოვიჩი (17 ქ. 4 მ. 3 პ), ჩენდლერი (12 ქ. 15 მ. 2 პ. 2 ჩ), პიტერსონი (11 ქ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (32 ქ. 14 მ. 4 პ. 4 დ), ბარბოსა (17 ქ. 3 პ), შ. ონილი (15 ქ. 7 მ. 2 დ), რ. ბელი (14 ქ), ნეში (8 ქ. 13 პ).

**ნიუ იორკი-შარლოტი 113:89**

20:25, 34:16, 29:21, 30:27

**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (22 ქ. 6 პ. 3 მ), ჯ. კროუფორდი (20 ქ. 5 პ. 3 მ), ზ. რენდოლფი (18 ქ. 8 მ. 3 პ), ქ. რიჩარდსონი (17 ქ. 6 მ), ფ. ჯოუნსი (12 ქ. 5 მ. 4 პ), ლი (4 ქ. 14 მ. 3 პ).

**შარლოტი:** კეროლი (19 ქ. 4 მ), ოკაფორი (18 ქ. 14 მ. 2 დ), ფელტონი (14 ქ. 5 პ. 4 მ), მოჰამედი (10 ქ. 11 მ. 2 პ).

**ინდიანა-ჩიკაგო 107:113**

27:27, 30:29, 25:26, 25:31

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (25 ქ. 3 მ. 3 პ), დიენერი (22 ქ. 9 პ), მერფი (19 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ), გრეინჯერი (17 ქ. 8 მ. 3 პ. 2 ჩ), ფოსტერი (4 ქ. 15 მ).

**ჩიკაგო:** ლ. ჰიუზი (29 ქ. 6 პ. 3 მ. 3 ჩ), დენგი (16 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), გორდონი (15 ქ. 6 პ. 2 ჩ), ნოა (11 ქ. 7 მ. 2 ჩ), ნოჩიონი (11 ქ), გუდენი (10 ქ. 10 ქ. 15 მ. 2 პ), ტაირუს ტომასი (6 ქ. 10 მ. 2 დ).

**ტორონტო-მინესოტა 107:85**

26:28, 25:15, 33:22, 23:20

**ტორონტო:** ბოში (28 ქ. 7 მ), ტი. ჯეი. Fფორდი (16 ქ. 3 მ. 3 პ), ბარნიანი (12 ქ. 5 მ), მუნი (11 ქ. 7 მ. 4 პ), კაპონო (10 ქ. 2 ჩ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (23 ქ. 5 მ. 3 პ), მაკკენტსი (19 ქ. 3 მ), ფოიე (18 ქ. 3 მ).

**იუტა-დეტროიტი 103:95**

21:30, 21:23, 25:18, 36:24

**იუტა:** ოქური (24 ქ. 7 მ. 4 პ), მილსეპი (19 ქ. 3 მ), ბუზერი (18 ქ. 15 მ. 3 პ), დ. უილიამსი (14 ქ. 14 პ), რ. ბრიუერი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (22 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), ბილაპსი (21 ქ. 4 მ. 4 პ), პრინსი (13 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), რ. უოლასი (11 ქ. 9 მ. 2 დ), მაქსიელი (11 ქ), მაკდაიესი (8 ქ. 10 მ).

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ნეშვილი 8:4**

2:0, 4:3, 2:1

გოლები: 1:0 ბერნიე-14 (დ. რუა-31, ვანეკი-23), 2:0 ბერნიე-15 (ლიდმანი-18, ვანეკი-24), 3:0 პეი-14 (გოსტადი-19, ლიდმანი-19), 3:1 ჰლავაჩი-10 (ჟიდლიცკი-32, ერატი-28), 3:2 არნოტი-23 (დუმონი-36, რადულოვი-27), 4:2 პეტერსი-1 (კალეტა-1, მეირი-6), 4:3 არნოტი-24 (ჟიდლიცკი-33, ლეგვანდი-27), 5:3 პომინვილი-19 (კოტალიკი-18, პრატი-5), 6:3 დ. რუა-25 (ბერნიე-11, ლიდმანი-20), 6:4 ლეგვანდი-14 (სატერი-19, ჟიდლიცკი-34), 7:4 ტ. კონოლი-6 (ლიდმანი-21, კოტალიკი-19), 8:4 კოტალიკი-19 (ტ. კონოლი-33, კალინინი-6).

**კოლამბუსი-სან ხოსე 2:4**

1:1, 1:3, 0:0

გოლები: 0:1 ჩიჩუ-19 (პაველსკი-11, ჯ. ტორტონი-55), 1:1 ვიბორნი-4 (ბრული-5), 1:2 ვიბორნი-5 (ჰეიდა-12, ნეში-21), 2:2 ტ. მიტჩელი-10 (მ. კარლი-12, გრირი-12), 3:2 რიონიკი-10 (ჯ. ტორტონი-56, რივე-25), 4:2 პაველსკი-13 (მარლო-20, ბ. კემპბელი-39).

**ტამპა ბეი-მინესოტა 2:3**

0:0, 1:2, 1:1

გოლები: 0:1 ფედორუკი-3 (ბუშარი-39), 0:2 დემიტრა-13 (მ. კოივუ-19), 1:2 ულეტი-9 (რეინჯერი-18, ჰალპერნი-15), 1:3 როლსტონი-24 (ფოსტერი-10, ბუშარი-40), 2:3 ჰალპერნი-11 (დერჩი-8).

**ფლორიდა-ტორონტო 3:4 (ბ)**

2:0, 0:1, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 კალიმორი-2 (გლასი-1, ლარმენი-1), 2:0 მაკლინი-10 (ო. იოკინენი-31, ოლეში-10), 2:1 ჯერემი უილიამსი-1 (სუნდინი-38, ტლუსტი-4), 2:2 სუნდინი-27 (ჯ. ბლეიკი-28, ტ. კაბერლე-34), 3:2 ოლეში-11 (მაკლინი-13, ბოუმისტერი-16), 3:3 სუნდინი-28 (უელვუდი-10, მური-8).

ბულიტები გაიტანეს: კაბერლე (ტორონტო).

**ჩიკაგო-ფინიქსი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

გოლი: 1:0 ჯეისონ უილიამსი-9 (ბოლანდი-8, ზიუზინი-3).

**ვანკუვერი-კოლორადო 2:3 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 რეიმონდი-7 (შენონი-6, ედლერი-10), 1:1 ბრუნეტი-13 (სვატოსი-10, ლაილსი-24), 2:1 ბაროუზი-9 (პიატი-17, უ. მიტჩელი-8), 2:2 საკიკი-8 (სალეი-21, შჩასტნი-34).

ბულიტები გაიტანეს: საკიკი (კოლორადო), სვატოსი (კოლორადო).

## ოლიმპიადა

პეკინი 2008

# სამარანჩი მოსკოვს და პეკინს ადარებს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი **ხუან ანტონიო სამარანჩი** ამბობს, რომ პეკინისთვის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მინიჭება ნაკლებ სარისკო საქმე იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირში მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარება.

*"ჩინეთი ყველა ასპექტში ძალიან სწრაფად ვითარდება. მიმაჩნია, რომ თავის დროზე, ჩვენ გაცილებით დიდ რისკზე წავედით, როცა მოსკოვს 1980 წლის ოლიმპიადის ჩატარება მივანდეთ, ვიდრე ახლა, როცა პეკინი ავირჩიეთ. მიმაჩნია და ასეც არის, რომ ჩინეთის ახლანდელი რეჟიმი გაცილებით გახსნილი და ჰუმანურია იმაზე, რაც საბჭოთა კავშირში იყო. უფრო მეტიც, ჩინეთი ახლა გახსნილი ქვეყანაა და რადიკალურად იცვლება. ამ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკა მოქმედებს, არსებობენ მილიონერები. ბევრი ისეთი რამაა, რაც თანამედროვე ცივილიზაციას შეეფერება. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის 500-600 მილიონი მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა. მაგრამ ამაზე მეტი სიღარიბეში ცხოვრობს, ქვეყნის აგრიკულტურა კი კვლავაც ჩამორჩენილია. მაგრამ ესეც დროებითია და მალე ეს ქვეყანა ამ სფეროშიც განვითარდება"*, - გაზეთ "მარკასთან" საუბარში განაცხადა 87 წლის სამარანჩმა, ვინც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი 1980-2001 წლებში იყო, ამ თანამდებობის დაკავებამდე ორი წლით ადრე კი საბჭოთა კავშირში ესპანეთის ელჩის თანამდებობა ეკავა.



ხუან ანტონიო სამარანჩი

ალსანიშნავია, რომ კარგა ხანს, ჩინეთი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ის) წევრი არ იყო. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახლდათ, რომ სოკ-ის წევრთა შორის, ჩინეთის რესპუბლიკის სახელით ტაივანი შედიოდა. ჩინეთი სოკ-ში გაწევრიანების წინაპირობად იქედან ტაივანის გამოძევებას ასახელებდა. ანალოგიური მოთხოვნით, ჩინეთი კარგა ხანს იგნორირებას უკეთებდა გაეროს, იუნესკოსა და წითელ ჯვარს. მოგვიანებით, მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა ამ ორგანიზაციებში მხოლოდ მას შემდეგ გაწევრიანდა, რაც იქედან ტაივანი გარიცხეს, ან სხვა სახელით გააწევრიანეს.

*"პირველი პრობლემა, რაც სოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ჩემი არჩევის შემდეგ მოვაგვარე, ის იყო, რომ ოლიმპიურ მოძრაობაში ჩინეთი ისე მივიღეთ, რომ იქედან არავინ გაგვირიცხავს. ტაივანის კომიტეტმა თავისი სახელი, დროშა და ჰიმნი შეიცვალა. ჩინეთის გაწევრიანებას ჩვენთვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა, ამით ოლიმპიური თამაშები უფრო სრულყოფილი გახდა"*, - იხსენებს სამარანჩი.

კითხვაზე, რას ფიქრობს ჩინეთში ადამიანის უფლებათა დაცვასა და იმ ფაქტზე, რომ სუდანში მომხდარ ამბებში ჩინეთის ხელი ურევია, რის გამოც, გახსნისა და დახურვის ცერემონიალების დადგმაში მონაწილეობაზე უარი თქვა ცნობილმა რეჟისორმა **სტივენ სპილბერგმა**, სამარანჩმა შემდეგი პასუხი გასცა:

*"ნებისმიერი ადამიანის მოსაზრებას პატივს ვცემ, მაგრამ თუ ადამიანის უფლებათა დაცვასა და ჩინეთში არსებული სიტუაციის შეფასებას ვაპირებთ, მაშინ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ადამიანის უფლებები სხვა, უფრო დემოკრატიულ ქვეყნებშიც ირღვევა".*

თანამშრომლობა

# ფერარი ოლიმპიურ მოძრაობაში ერთვება



ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო

**იტალიის** ოლიმპიურმა კომიტეტმა და საავტომობილო კომპანია "ფერარიმ" გააფორმეს კონტრაქტი, რომლის მიზანსაც ოლიმპიადებზე იტალიელი სპორტსმენების უკეთ გამოსვლა და მედლების მონაგარის გაზრდაა.

"ფერარის" ფორმულა ერთში ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ჰყავს და ბევრი ავტომოყვარულისთვის საოცნებო სპორტულ ავტომობილებს აწარმოებს. მისი ინჟინრები განსაკუთრებით აეროდინამიკაში არიან ძლიერები და იტალიის ოლიმპიურ მოძრაობას სწორედ მათი ამ გამოცდილების იმედი აქვს.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ზამთრის ოლიმპიადებისთვის ბობებსა (ბობსლეიში სასპარეზოდ) და ციგებს იტალიელ ოლიმპიელებს "ფერარი" დაუმზადებს. გარდა ამისა, მარანელოელების კონსულტაციები იქნება გათვალისწინებული ბაიდარებისა და კანოეების, ასევე ნიჩბოსნობის სხვა დისციპლინებისთვის ნავების აგებისას. ოლიმპიური ნავების წარმოებისთვის, გამოყენებულ იქნება კომპოზიციური მასალები, ამ საქმეში კი "ფერარის" უზარმაზარი გამოცდილება აქვს. არაა გამორიცხული, რომ პირველი პროექტების წარმატებით განხორციელების შემდეგ, "ფერარიმ" და იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტის სხვა სახეობებშიც ითანამშრომლონ.

*"თუ იტალიელი სპორტსმენების, ფედერაციებისა და იტალიის ოლიმპიური კომიტეტის მიღწევებში ჩვენ მინიმალური წვლილის შეტანას შევძლებთ, ეს კომპანიისთვის მხოლოდ სიამაყის საფუძველი შეიძლება გახდეს"*, - დადებულ კონტრაქტთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა "ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა კორდერო დი მონტეძემოლომ**.

დი მონტეძემოლო კმაყოფილია "ფერარის" ახალი ბოლიდის (F2008) პროგრესით, თუმცა ამბობს, რომ პროგნოზებისგან თავის შეკავება ურჩევნია, რათა ამით, თავისი გუნდის ყურადღების მოდუნება და ზედმეტი თავდაჯერება არ გამოიწვიოს.

*"თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავიმშვიდებდი, თუ რბოლებში მარტო ჩვენ მივიღებდით მონაწილეობას, მაგრამ ეს არარეალურია. ჩვენს გარდა, სხვა ბევრი ამბიციური გუნდიც არსებობს და როგორც კი ოდნავ მოვდუნდებით, ისინი მალევე დაგვეწევიან"*, - ამბობს დი მონტეძემოლო.

## TV სპორტი

### 29 თებერვალი. პარასკევი

**HTB-ალუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. ხეტაფე-რასინგი. I მატჩი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
16:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:40 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ
18:25 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
20:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 პირდაპირი ხაზი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის ნინ.
23:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:40 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
01:35 საფეხბურთო კლუბი.
02:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის ნინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სამხრეთ ამერიკა.
11:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:03 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
12:31 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი - TOP16. III ტური. მაკაბი-რეალი.
14:07 ფეხბურთი. Barca TV.
14:14 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სამხრეთ ამერიკა.
16:48 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ასტონ ვილა.
18:37 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სარაგოსა.
20:22 ფეხბურთი. Barca TV.
20:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ოტავა.
22:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:44 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:14 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:45 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:59 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
00:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბრაგა-გიმარაეში (LIVE).
02:25 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
03:27 ფეხბურთი. Barca TV.
03:34 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:04 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-სან ხოსე (LIVE).
07:08 სპორტდოსიე.
07:34 მინი-მოედანი.

**EUROSPORT**

11:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური. ჯგუფური ეტაპი. IV დღე. ჩინეთი (LIVE).
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სპრინტი. კორეა.
14:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. კორეა (LIVE).
14:45 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS128. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
15:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები.
17:15 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 15 კმ. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. კორეა.
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS213. ობერსტდორფი. გერმანია.
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი (LIVE).
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. კორეა.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
00:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
01:00 სპორტული ცეკვები.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ლაჰტი. ფინეთი.
04:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის პროლოგი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
15:45 ახალი ამბები.
17:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მექსიკა.
17:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ცდა. დოჰა. კატარი.
19:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. დოჰა. კატარი.
20:00 კარტინგი. ფელიპე მასას მეგობრები.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XII ტური. მონტობანი-მონპელიე (LIVE).
01:15 დართსი. მსოფლიო თასი. ფინალი. ჰოლანდია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
02:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი | |
|---|---|
| ხეტაფე-რასინგი | 3:1 |
| **ჰოლანდიის თასი. 1/4 ფინალი** | |
| ფეიენოორდი-ცვოლე | 2:1 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| მარიეჰამნი-ლაჰტი | 3:4 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ატრომიტოსი-ოფი | 3:1 |

### კალათბურთი

| ევროლიგა | |
|---|---|
| ფენერბაჩე-ლეტუვოს რიტასი ო.ტ. | 95:91 |
| მაკაბი-რეალი | 94:75 |
| არისი-ტაუგრესი | 69:87 |
| ბარსელონა-რომა | 86:57 |
| პარტიზანი-ეფესი | 78:65 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-აკ ბარსი | 4:1 |
| სიბირი-ხიმიკი | 1:3 |
| ტრაქტორი-ავანგარდი | 2:6 |
| ს. იულაევი-მეტალურგი (მ) | 3:0 |
| ლადა-სევერსტალი | 1:1 პენ. 1:0 |
| ვიტიაზი-ლოკომოტივი | 5:5 პენ. 0:1 |
| ნეფტეხიმიკი-მვდ | 2:3 |
| სპარტაკი-ცსკა | 3:3 პენ. 3:4 |
| ტორპედო-დინამო | 3:1 |
| **გერმანია** | |
| აისბერენი-ინგოლშტადტი | 2:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-პოპრადი | 3:2 |
| სლოვანი-ჟილინა | 6:2 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-პელიკანსი | 2:3 |
| ტაპარა-საიპა | 1:0 |
| ტპს-ილვესი | 2:5 |
| ესპოო-იოკერიტი | 1:5 |
| იუვიასკიულა-ჰპკ | 4:0 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-კლადნო | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ფრიბურგი | 5:3 |
| ჟენევა-რაპერსვილი | 1:1 |
| კლოტენი-ციურიხი | 1:5 |
| ცუგი-დავოსი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ბრიუნასი-სკელეფტე | 1:3 |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 4:3 |
| სიოდერტალიე-ლულეა | 2:0 |
| ტიმრე-იურგორდენი | 1:1 |
| ფერიესტადი-მორა | 2:3 |
| პე 71-მოდო | 2:2 ო.ტ. 3:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. ზაგრები | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-სტახოვსკი | 6:3, 4:6, 2:6 |
| ლუბიჩიჩი-გაბაშვილი | 6:2, 6:7, 6:3 |
| ანჩიჩი-ჰაასე | 6:3, 3:6, 6:3 |
| **ATP. მემფისი** | |
| სიოდერლინგი-ჰანესკუ | 6:2, 6:1 |
| ფალა-იანგი | 1:6, 6:1, 3:6 |
| ტ. იოჰანსონი-გუჩიონე | 3:6, 4:6 |
| **WTA. დუბაი** | |
| კუზნეცოვა-მორესმო | 6:1, 7:6 |
| იანკოვიჩი-ჩაკვეტაძე | 6:1, 6:0 |
| ანენი-სკიავონე | 6:7, 6:7 |
| ივანოვიჩი-დემენტიევა | 7:5, 3:6, 3:6 |
| **WTA. მემფისი** | |
| პეერი-არვიდსონი | 3:6, 6:1, 6:3 |
| გოვორცოვა-გორჯესი | 7:6, 6:2 |

## კრივი

ვარსკვლავი

# დე ლა ჰოიამ ნასვლის დრო დათქვა

**ოსკარ დე ლა ჰოია** ამბობს, რომ ამ სეზონში კიდევ სამ ბრძოლას გამართავს და შემდეგ თავის ხელთათმანებს ლურსმანზე დაკიდებს. ახლა კარიერის ისეთ სტადიაზე ვიმყოფები, რომ გადაწყვეტილება მაქვს მისაღები და მეც ეს გადაწყვეტილება მივიღეო, - თავს იმართლებს სახელოვანი მოკრივე, ვინც ახლა 35 წლისაა.

*"გადაწყვეტილება მიღებული მაქვს. არ ვაპირებ, რინგზე კიდევ ორი წლით დარჩენას. დროა, ხელთათმანები ლურსმანზე დავკიდო. ამ სეზონის შემდეგ, რინგზე საბრძოლველად გასულს ველარ მნახავთ"*, - ამბობს დე ლა ჰოია, ვინც 3 მაისს ბრძოლას გამართავს ტელეშოუ "კონტენდერის" ვიცე ჩემპიონ **სტივ ფორბსთან**.

დე ლა ჰოია სექტემბერში **ფლოიდ მეივეზერ უმცროსთან** განმეორებით ბრძოლას გეგმავს. მანამდ კი მოთელვას ფორბსთან გაივლის და თუ მეივეზერს "გადაურჩა", ესე იგი, თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც "ოქროს ბიჭს" სურს, მაშინ კარიერის ბოლო ბრძოლას დეკემბერში გამართავს. ოღონდ ვისთან, ეს ჯერაც უცნობია.

შეგახსენებთ, რომ დე ლა ჰოიას მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ხუთ წონით კატეგორიაში აქვს მოპოვებული. ამასთან, კარიერაში 38 ბრძოლა მოიგო (აქედან 30 ნოკაუტით) და 5 წააგო. ისიც ალსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი ბრძოლიდან ოსკარს სამი წაგებული აქვს, მათ შორის, მეივეზერთან მსაჯების არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით.

*"დიდი ხანია, სპორტული კარიერის დასრულებაზე ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ ეს სეზონი ამის გასაკეთებლად საუკეთესოა. თუმცა, ისიც უნდა ვქთვა, რომ ჩემს სხეულს ჯერაც შეუძლია უზარმაზარი დატვირთვების ატანა და ბრძოლის ჟინიც ჯერ არ გამნელებია. არ მინდა, სპორტიდან ისე წავიდე, ვინმემ თქვას, მეტიც შეეძლოო. ან ჯერ წავიდე, მერე კი დავბრუნდე, რათა კიდევ ერთი, ან მეტი ბრძოლა გავმართო. მინდა წავიდე და თანაც ისე, რომ ეს ბრძოლა ყველას დაამახსოვრდეს"*, - ამბობს დე ლა ჰოია.

მეტსახელი "ოქროს ბიჭი" დე ლა ჰოიამ მას შემდეგ მიიღო, რაც 1992 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თავისი თაობის მოკრივეებს შორის, ის ყველაზე პოპულარული არაზემძიმეწონოსანი მოკრივეა.

რაც შეეხება ფორბსს, პროფესიულ რინგზე მას 38 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგან 33 მოიგო (მათგან მხოლოდ 9 ნოკაუტით). რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ მეივეზერთან განმეორებითი შეხვედრა რეალობად იქცეს, დე ლა ჰოიამ ჯერ ფორბსს უნდა მოუგოს. 31 წლის ფორბსი ამბობს, რომ არც მოყვარულობისას და არც პროფესიონალობისას, მას ნოკაუტით არასოდეს წაუგია, ოსკარს კი თავად დასცემს რინგზე.

თავის მხრივ, ფორბსთან შეხვედრას დე ლა ჰოია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. წაგების შემთხვევაში, ჩემი გეგმები სრულებით აირევა და იქნებ, კარიერაც მაშინვე დავასრულოო, - ამბობს დე ლა ჰოია, ვინც ამ ბრძოლას მოთელვად სულაც არ განიხილავს.

*"არავითარი მოთელვა. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ბრძოლაა. ის ტელეშოუს ერთ-ერთი გამორჩეული ვარსკვლავია. მე კი ჩემპიონი კი არა, ჩვეულებრივი მებრძოლი ვარ"*, - ამბობს დე ლა ჰოია.

ფორბსი ამბობს, როცა პირველად მითხრეს, შენთან შეხვედრა დე ლა ჰოიას სურსო, ეს შაყირად ჩავთვალეო. მაგრამ ეს სინამდვილეში ხდება და არ გაგიკვირდებათ თუ ვიტყვი, რომ ეს ჩემი ცხოვრების გამორჩეული ბრძოლააო.

*"ოსკარი კრივის სახეა. აქამდე რეალურად არც მქონია თავის გამოჩენის საშუალება. ამის შანსი ახლა მეძლევა. ეს დაახლოებით ისეთივე შანსია, როგორიც ფილმ "როკიში" როკი ბალბოას ეძლევა. მე ამ შანსის გამოყენებას ვაპირებ"*, - ამბობს ფორბსი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



დე ლა ჰოია (მარცხნივ) ფორბსს დიდ შანსს აძლევს

## ცურვა

პეკინი 2008

# ჰენრის პეკინში გამოსვლა სათუოა

ცურვაში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა **ჯოდი ჰენრიმ** შეიძლება პეკინის ოლიმპიადაზე ასპარეზობა ვერ შეძლოს. ამის მიზეზი კი ის გარემოებაა, რომ მოცურავეს ბოლო ხანს მუცლის პრესის არეში ძლიერი ტკივილი დასჩემდა.

საქმე ისაა, რომ თავისუფალი ცურვის 24 წლის სპეციალისტს უკვე სამი თვეა, ვარჯიშში ხელი ეშლება, რის გამოც ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე მისი გამოსვლა სათუოა. ავსტრალიის მოცურავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ალან ტომპსონი** აცხადებს, რომ ასეთ სიტუაციაში, დიდია შანსი იმისა, რომ ჰენრი ვერც შესარჩევ ტურნირზე გამოვა და აქედან გამომდინარე, ვერც პეკინში გაემგზავრება.

მოცურავის სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მას მენჯის არეში კუნთები არათანაბრად აქვს განვითარებული და ძლიერი ტკივილების გამომწვევიც სწორედ ესაა. ამის გამო, ჰენრი ტკივილგამაყუჩებლებზე დამოკიდებული გახდა, რაც მის ფიზიკურ კონდიციებს ასუსტებს. შედეგად, ვარჯიშები ნაკლებად ეფექტურია.

მოცურავის მენეჯერი **ტონი ბოქსი** ამბობს, რომ ჰენრის კონდიციის გასაუმჯობესებლად ინტენსიური ფიზიოთერაპიაა საჭირო, რასაც გარკვეული დრო სჭირდება. თანაც, ამ პროცედურების გავლა შესარჩევ ტურნირამდე ვერ მოესწრება. არადა, პეკინის საგზურის მოსაპოვებლად, ჰენრის სხვა საშუალება აღარ ექნება.

*"არსებობს იმის რეალური რისკი, რომ ჯოდი შესარჩევ ტურნირზე ვერ იასპარეზებს. კარგი ამბავი ისაა, რომ ამაზე უარესად ის არ იქნება. ჩვენ უკვე დავიწყეთ მკურნალობა. ცუდი კი ისაა, რომ სწრაფად პრობლემის მოგვარება შეუძლებელია. ეჭვიც არ მეპარება, რომ პეკინის ოლიმპიადამდე ჯოდი ჩვეულ ფორმას აღიდგენს, მაგრამ პეკინამდე შესარჩევი ტურნირია გასავლელი, რაც სერიოზულ პრობლემას გვიქმნის. ჩვენ დიდი დრო დავკარგეთ და ამის ანაზღაურებას ვერ ვასწრებთ. თუ ჩავთვლით, რომ შესარჩევისთვის მზადება დროის ტყუილად კარგვაა, მაშინ ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ ჯოდი შემდგომ მიზანს დაისახავს და იმ მიზნის შესასრულებლად მზადებას დაიწყებს"*, - ამბობს ბოქსი, ვინც დასძენს, რომ პეკინის საგზური რომც ვერ მოიპოვოს, ჰენრი სპორტიდან წასვლას მაინც არ აპირებს.

## ჩოგბურთი



ტურნირები

# ჟუსტინს წაუგებელი სერია შეაწყვეტინეს

გუშინდლამდე მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ბელგიელ **ჟუსტინ ანენს** დუბაიში ერთი თამაშიც არ ჰქონდა წაგებული, თავად კი 17 მოეგო. ამასთან, მას ემირატული ტურნირი ორჯერ (2003 და 2004 წლებში) აქვს მოგებული და ბუნებრივია, მიმდინარე გათამაშებაშიც მთავარ ფავორიტად მოიაზრებოდა. მაგრამ მისი წაუგებელი სერია გუშინ, მეოთხედფინალში იტალიელმა **ფრანჩესკა სკიავონემ** შეწყვიტა.

უნდა ითქვას, რომ ჟუსტინმა ჯერ კიდევ სკიავონესთან შეხვედრამდე წაიბორძიკა. ეს მეორე წრეში, საკვალიფიკაციო ეტაპგამოვლილ, სლოვაკ **კატარინა სრებოტნიკთან** შეხვედრაში მოხდა. ბელგიელმა იოლად მოიგო პირველი სეტი და მეორეშიც ბრეიკი (5:3) მოიპოვა. მაგრამ სრებოტნიკმა ანგარიშის გათანაბრება და სეტის ტაიბრეიკზე გადაყვანა შეძლო, რომელიც თავად მოიგო. თუმცა, გადამწყვეტ სეტში ჟუსტინის უპირატესობა აშკარა იყო.

მაგრამ გუშინ, ბელგიელმა ხეირიანი ვერაფერი დაუპირისპირა სკიავონეს თავდადებასა და მონდომებას. ორივე სეტი მან ტაიბრეიკზე დათმო. განსაკუთრებით საინტერესო მეორე სეტი გამოდგა, რომელშიც თავიდან იტალიელმა ორი ბრეიკის აღება შეძლო და თითქოს, თავის მოწოდებაზე (5:2-ზე) შეხვედრისთვისაც წერტილი უნდა დაესვა, მაგრამ ჟუსტინმა სასწაული მოახდინა და ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებით, სეტის თავის სასარგებლოდ დასრულების შანსი გაუჩნდა. და მაინც, სკიავონემ, ვისაც გუშინდლამდე ჟუსტინთან შვიდივე თამაში წაგებული ჰქონდა, საქმე ტაიბრეიკზე მიიყვანა, სადაც შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა.

გუშინვე, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**, ვინც პირველი სეტი იოლად მოუგო რუს **ანა ჩაკვეტაძეს**, შემდეგ კი მეტოქის ტრავმის წყალობით, თითქმის უბრძოლველად გავიდა ნახევარფინალში. შეხვედრის დასრულების შემდეგ, იანკოვიჩს ტურნირის ორგანიზატორებმა საიუბილეო ტორტი (დუბაიში ის 23 წლის გახდა) მიართვეს, რომელიც მან თავის სერბ ქომაგებს გაუზიარა.

ნახევარფინალში რუსი **სვეტლანა კუზნეცოვაც** გავიდა, რომელმაც ტურნირი ფრანგ **ამელი მორესმოს** დაატოვებინა. რუსმა პირველი სეტი ოც წუთში მოიგო, მაგრამ მეორეში დიდი ბრძოლა გადახდა, სანამ ნახევარფინალის საგზურს დაეუფლებოდა.

მეორე სეტში მორესმომ გაბრძოლება სცადა. მეორე გეიმში მას ბრეიკის შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, მეხუთეში თავად დათმო თავისი მოწოდება, თუმცა მომდევნო გეიმშივე დაიბრუნა ბრეიკი - 3:3. მერე კიდევ ორი გეიმი მოიგო და 5:3 დაწინაურდა.

მეტად დაძაბული გამოდგა მეცხრე გეიმი, რომელზეც მომწოდებელი მორესმო იყო. ფრანგმა სეტ პოინტი მოიპოვა, მაგრამ მისი ქულად გარდაქმნა ვერ შეძლო. მერე კი რუსმა სამი ბრეიკ პოინტი მოიპოვა, რომელთაგან მესამეთი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მომდევნო გეიმში კუზნეცოვამ თავის სერვისზე იოლად აიღო ქულა, რითაც სეტი ტაიბრეიკზე გადაიყვანა და იქ იოლად მიაღწია გამარჯვებას.

ნახევარფინალში კუზნეცოვა სკიავონეს დაუპირისპირდება.

### ATP

ABIERTO MEXCICANO TELCEL
აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 794 000 დოლარი

#### II წრე

**დავიდ ნალბანდიანი (არგ, 1)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 6:2, 6:3; **ნიკოლას მასუ (ჩილ)**-კარლოს მოია (ესპ, 2) 6:4, 6:2; **ლუის ორნა (პერ)**-ხუან მონაკო (არგ, 3) 7:6 (4), 6:3; **ხოსე აკასუსო (არგ)**-გილერმო კანიასი (არგ, 4) 4:6, 6:2, 6:2; **აგუსტინ კალერი (არგ)**-ხუან იგასიო ჩელა (არგ, 5) 7:6 (4), 2:6, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 6)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:3, 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 8)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:3, 6:3; **მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:2, 7:6 (6).

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ნალბანდიანი (1)-სტარაჩე (8); კალერი-ორნა; გრანოლერს პუიოლი-აკასუსო; ალმაგრო (6)-მასუ.

### PBZ Zagreb Indoors

ზაგრები (ხორვატია). ხალიჩა
**საპრიზო ფონდი:** 370 000 ევრო

#### II წრე

**ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 1)**-ლოვრო ზოვკო (ხორ) 6:4, 7:6 (3); **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ჟილ სიმონი (საფ, 3) 6:2, 6:4; **სიმონე ბოლელი (იტა)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 5) 6:4, 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)**-როკო კარანუშიჩი (ხორ) 6:3, 6:7 (4), 6:4; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-დენის გრემელმაირი (გერ) 6:3, 6:2; **ოლივიე როხუსი (ბელ)**-სტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:2, 6:4; **თეიმურაზ გაბაშვილი (რუს)**-რიკ დე ვოესტი (ს. აფრ) 7:5, 6:1; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 7:6 (7), 3:6, 6:4.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ლუბიჩიჩი (1)-გაბაშვილი; ჰაასე-ანჩიჩი; ბოლელი-ო. როხუსი; ტიპსარევიჩი (8)-სტახოვსკი.

### Regions Morgan Keegan

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 769 000 დოლარი

#### I წრე

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-ჟილ მიულერი (გერ) 6:4, 7:6 (4); **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 8)**-ფრედერიკ ნიმაიერი (გერ) 6:2, 6:1.

#### II წრე

**ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ტომი ჰაასი (გერ, 3) 3:6, 6:2, 7:5; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 4)**-ფლორან სერა (საფ) 7:6 (6), 2:6, 7:5; **სტივ დარცისი (ბელ)**- იურგენ მელცერი (ავსტრია, 7) 6:3, 7:6 (4).

### WTA

DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS
დუბაი (საემიროები). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 დოლარი

#### II წრე

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**- კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ) 7:5, 6:7 (6), 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:1, 6:2; **ანა ივანოვიჩი (სერ, 3)**- ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) 6:4, 6:0; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-სანია მირზა (ინდ) 4:6, 6:3, 6:4; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)**-დინარა საფინა (რუს) 6:7 (3), 6:4, 6:3; **ელენა დემენტიევა (რუს, 8)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 6:2, 6:1; **ფრანჩესკა სიკავონე (იტა)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:3, 6:2; **ამელი მორესმო (საფ)**-აიკო მორიგამი (იაპ) 4:6, 6:1, 6:4.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ანენი (1)-სკიავონე; ივანოვიჩი (3)-დემენტიევა (8); იანკოვიჩი (4)-ჩაკვეტაძე (6); კუზნეცოვა (2)-მორესმო.

### Regions Morgan Keegan

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

#### II წრე

**შაარ პეერი (ისრ, 3)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:0, 3:6, 6:2; **ლინდსი დავენპორტი (აშშ, 4)**-ევგენია როდინა (რუს) 6:1, 6:1; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 6)**-მიჩელ ლარჩერდ ბრიტო (პორ) 6:2, 6:4; **მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელ)**-ამბერ ლიუ (აშშ) 7:5, 6:3; **ჯულია გორჯესი (გერ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:4, 6:3; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:7 (8), 7:5, 6:1.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

კუდრიავცევა-ერაკოვიჩი; დავენპორტი (4)-ვოზნიაჩკი (6); პეერი (3)-არვიდსონი (7); გოვორცოვა (5)-გორჯესი.

### Abierto Mexicano

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 185 000 დოლარი

#### II წრე

**ფლავია პენეტა (იტა, 1)**-ჯულია შრუფი (გერ) 6:2, 6:3; **ალიზ კორნე (საფ, 2)**-მელისა ტორეს სანდოვალი (მექ) 6:2, 6:0; **ჯილ კრეიბასი (აშშ)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 3) 6:1, 4:6, 7:6 (2); **მარია კორიტცევა (უკრ)**-სარა ერანი (იტა, 5) 7:5, 6:1; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:1, 7:5; **ედინა გალოვიტცი (რუმ, 8)**-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:4, 6:3; **კაია კანეპი (ესტ, 7)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:7 (1), 6:1, 6:3; **სორანა კრისტეა (რუმ)**-ოლივია სანჩესი (საფ) 6:1, 7:5.

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

პენეტა (1)-გალოვიტცი (8); კანეპი (7)-კრისტეა; ბენეშოვა-კრეიბასი; კორნე (2)-კორიტცევა.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებელი:
შპს გაზეთი ლელო



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა